




ევროპაშა და ტექნიკა

№ 1 ივნისი 1958





გეზნიანება და ტექნიკა

ყოველთვიური გეზნიანება-კონკრეტი
ზურავი

№ 1 იანვარი 1958

გამოცემის
X
წელი

ს ა ქ ა რ ი ვ ა დ რ ს ს ს რ მ ა ვ ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ი ს მ ჩ ა ნ ი

მოძმე უზბეკეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში

*600
1958*

ჩემი პერსი მეგამაღაის უზიდუსი რაიონი

გ. ჩანჩავილი

ზ. გინგილოზოვი

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატები

3761-6

დღი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 აგვისტოს დადგენილებამ ბაბბის წარმოების გასაღილებლად უზბეკეთისა და ყაზახეთის მოძმე რესპუბლიკებში „მშერი სტეპის“ უდაბნო მიწების მორწყვისა და ათვისების შესახებ. ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უზბეკეთის სსრ და ყაზახეთის სსრ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალთა მეურნეობის ორგანოებს, ამ რესპუბლიკების მტს-ებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს დაუსახეს დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ბრივი ამოცანა — შექმნან გოლოფნაია სტეპში ყამირი მიწების ათვისების გზით მებამბეობის უდიდესი რაიონი ბაბბის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვეს ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესაბამისად და ამასთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი გოლოფნაია სტეპში ათვისებულ მიწებზე ბაბბის მოსავლიანობის გასაღილებლად.“

„მშერი სტეპი“ (Голодная степь) მდებარეობს მდინარე სირ-დარიის აუზის ცენტრალურ ნაწილში. ჩრდილო-აღმოსავლეთით მას ესაზღვრება მდ. სირ-დარია, სამხრეთით — თურქესტანისა და ნურატაუს ქედების მთის კალთები, ხოლო დასავლეთით უდაბნო ყიზილ-ყუმი. მისი ფართობი 10 ათას კვ. კმ-ია. ეს ვეებერთელა სივრცე ოდნავ მაღლდება სამხრეთით და მისი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 250-300 მ-ია. რელიეფის ერთფეროვნებას არღვევს მრავალრიცხვანი გაუდინარი ღრმულები და პატარ-პატარა მშრალი ხევები.

კარგი სანახავია „მშერი სტეპი“ გაზაფხულზე. წლის ამ დროს იგი დაფარულია ლამაზი ყვავილოვანი მცენარებით, კარგად გრძნობენ თავს ფრინველებიც, მაგრამ სტეპი

ასე „სადღესასწაულოდ“ მორთულია მხოლოდ ორ თვეს. შემდეგ, შუა აზის მზის მწველი სხივებით მცენარეულობა ხმება, ფრინველები არემარეს ტოვებენ, ქვეწარმავლები უფსკრულისენ მიისწრავებან, აღარ ჩანს სიცოცხლის არავითარი ნიშანი.


„მშერი სტეპი“ უდაბნოს კლიმატით ხასიათდება. საშუალო წლიური ტემპერატურა 10-14°-ია, ნალექების წლიური ოდენობა კი 200-300 მმ შეადგენს; უყინვო დღეთა რიცხვი წელიწადში 200-230 აღწევს.

სირ-დარიის წყლებით „მშერი სტეპის“ წყალს მოწყურებული ვეებერთელა ფართობის მორწყვა შუა აზის ხალხების მრავალსაუკუნოვანი ოცნებაა. ამ სტეპის ათვისება პირველად XII-XV საუკუნეებში ცადეს. შემდეგში სტეპის მორწყვას შეეცადა მეფის მთავრობა. ეს იყო გასული საუკუნის დასასრულს. როცა იქ ათეულათასობით მუშა გარევას. მძიმე პირობებში უხდებოდათ მათ მუშაობა და ცხოვრება. პაპანაქება სიცხეში მიწის სამუშაოები ხელით სრულდებოდა, არასაკამარისი იყო სასმელი წყალი და საკვები, მძიმვნარებდა ეპიდემიები; დიდი იყო სივალი-ლიანობა, ხოლო მოპოვებული შედეგები — უმნიშვნელო. საგულისხმოა აღინიშნოს. რომ მთელ რევოლუციამდელ რუსეთში „მშერი სტეპის“ დამორჩილების მრავალრიცხვანი ცდების შემდეგ მოხერხდა მხოლოდ 35 ათასი ჰექტარი ფართობის ათვისება.

ვ. ი. ლენინი უდიდესი სახელმწიფო ბრივი მნიშვნელობის ამოცანად თვლიდა თურქესტანის მიწების მორწყვას. მისი უშუალო ინიციატივით 1918 წელს, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა გარეშე და შინაურ მტრებთან, დაწყებულ იქნა „მშერი სტეპის“ უდაბნო რაიონების ათვისება. სამუშაოების ჩასატარებლად მაშინ გამოყოფილ იქნა 50 მილიონი მანერი, მაგრამ სამოქალაქო ომმა წამოწყებული დიალი გეგმა დროებით შეაფერხა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში „მშერი სტეპის“ ათვისებამ გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ 1935

წლისათვის სარწყავი ფართობი 86 ათას ჰა-მდე გაიზარდა. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ფართოდ გაიშალა სამელიორაციო სამუშაოები, რასაც ხელი შეუწყო ფარხადების აგებაშ. 1955 წლისათვის სარწყავი ფართობი უკვე 205 ათას ჰა-მდე იქნა გაზრდილი. 1956 წლის




ნახ. 1. „მშიერი სტეპის“ მორწყვის სქემა

ბოლოსათვის უზბეკეთისა და ყაზახეთის მშრომელებმა აყვავებულ ბალნარად აქციეს „მშიერი სტეპის“ 210 ათასამდე ჰა ყამირი და ნასვენი მიწა, ე. ი. შეიდგერ უფრო მეტი ფართობი, ვიდრე მთელ რევოლუციამდელ პერიოდში. მდ. სირ-დარიიდან გაყვნილ იქნა სარწყავი არხები, რომელთა გასწრივ აყვავებული უერგანის, ზერავშანის, ჩირჩიკის და სხვა ოაზისები აღმოცენდა. „მშიერი სტეპის“ ათვისებულ ფართობებზე უკვე შეიქმნა 100-ზე მეტი ბამბის მთესველი კოლმეურნეობა, 15 საბჭოთა მეურნეობა, 12 მტს-ი, რომლებიც სახელმწიფოს ყოველწლიურად აბარებენ 250 ათას ტონა ნედლ ბამბას. მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი „პახტა-არალის“ (ყაზახეთი) და „ბაიუ-თის“ (უზბეკეთი) ბამბის საბჭოთა მეურნეობები, სადაც მოპყავთ „თეთრი ოქროს“ უხვი მოსავალი. „პახტა-არალის“ მეურნეობა ბამბას თესავს 5 ათას ჰა-ზე. 1954 წელს აქ ყოველ ჰა-ზე მოიყვანეს 35,2 ცენტნერი ბამბა. ბამბის მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა აგრეთვე სირ-დარინსკის რაიონის ახუნბაბაევის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც ფართობის ყოველ ჰა-ზე საშუალოდ 33 ცენტნერ მოსავალს იღებენ. ამ კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი 16-20 მილიონ მანეტის შეადგენს. ბევრი კოლმეურნეობა ამჟამად იღებს არა მარტო ბამბის, არამედ ვაშლის, ლელვის, ბორწეულის, ყურძნის კარგ მოსავალს. ფართოდ ვითარდება მეცხვოველეობა, ბალისა და ბალჩულის კულტურები. უკვე ათვისებული მიწების მორწყვასა და აყვავებაში დიდი როლი შეასრულა „მშიერი სტეპის“ კიროვის სახელობის ჩრდილოეთის არხმა.

„მშიერი სტეპის“ ყამირი მიწების ასათვისებლად ახალი კიდევ უფრო გრანდიოზული სამუშაოებია ჩატარებული. 1957-1962 წლების მანძილზე უზბეკეთსა და ყაზახეთის რესპუბლიკებში საბჭოთა აღამიანებმა უნდა აითვისონ 300 ათასი ჰა ყამირი მიწა. მშიერი სტეპის მიწების ასათვისებლად საბჭოთა მთავრობამ 4,6 მლრდ მანეტი გა-


მოჰყო. აქედან სამელიორაციო მშენებლობაზე დაიხარჯება 1200, ხოლო საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, ბამბის საშენებლი ქარხნების ასაგებად — 2650 მლნ მანეტი.

სკაპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავის დადგენილებაში „მშიერი სტეპის“ მიწების მორწყვას პირველხარისხის ხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. ცნობილია, რომ სტეპის ნიადაგები ბუნებრივი ნაყოფიერებით გამოიჩინება, უხვად იღებს სითბოს. ტემპერატურული პირობები აქ ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურების მოსაყვანად, მაგრამ ნალექების სიმცირე მისი ზღდა-განვითარების საშუალებას არ იძლევა. შეუა აზის რესპუბლიკების მშრომელებს საირიგაციო სისტემის მშენებლობის მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ. საკმარისია გავიხსენოთ ი. ბ. სტალინის სახელობის 350 კმ სიგრძის უერგანის დიდი არხი, რომელიც დროის ძალზე მოკლე პერიოდში იქნა გაყვანილი. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მხოლოდ უზბეკეთის რესპუბლიკაში აითვისეს 230 ათასი ჰა ყამირი მიწა, რომელიც უმთავრესად ბამბის კულტურისათვის იქნა გამოყენებული. მებამბეობა უზბეკეთის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. 1956 წელს უზბეკეთმა დაამზადა 2 მლნ 800 ათასი ტონა ნედლი ბამბა, რითაც მნიშვნელოვნად გაუსწრო ერთად აღებულ ბრაზილიის, ბაკისტანის, ირანის და თურქეთის მებამბეობის ცნობილ სახელმწიფოებს. ახალი დადგენილების შესრულება უზბეკეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის ახალ მძღავრ აღმართობას გამოიწვევს; 300 ათასი ჰა ახალდასათვისებელ ფართობიდან 200 ათასი უზბეკეთის, ხოლო 100 ათასი ჰა ყაზახეთის ტერიტორიაზე. ამ მიწების მოსარწყავად გაყვნილ იქნება არხთა მთელი სისტემა. მათ შორის ძირითადი იქნება: 150 კმ სიგრძის „მშიერი სტეპის“ ცენტრალური არხი, რომელიც ყოველ წამში გაატარებს 160 კუბ. მ წყალს და მორწყვას 157,8 ათას ჰა მიწას; აქედან 85 ათას ჰა-ს უზბეკეთში და 72,8 ათას ჰა-ს ყაზახეთში. მშიერი სტეპის სამხრეთ ნაწილში უკვე გაიშალა სამუშაოები 90 კმ სიგრძის სამხრეთი არხის პირველი რიგის ასაგებად, რომელიც უზბეკეთის სს რესპუბლიკაში 48 ათას ჰა მიწას მორწყავს; მოხდება კიროვის სახელობის არხის რეკონსტრუქცია 113 კმ სიგრძის ზოლში. იგი უზბეკეთში მოწყავს 38 ათას, ხოლო ყაზახეთში 27,2 ათას ჰა ყამირ მი-



ნახ. 2. ფარხადის კშხალი მდ. სირ-დარიაზე, რომელიც გამოყენებულია „მშიერი სტეპის“ მოსარწყავად

წას. სტეპის სამხრეთ ნაწილში შენდება მანქანური რეყვის არხები, სადაც წყლის აქაჩვა მოხდება ფარხალ-ჰესის სადერივაციო არხზე მოწყობილი სატუმბავი სად-გურებით. ეს სადგურები წყალს „ასწევენ“ 21,3 და 35,4 მ სიმაღლეზე, მანქანური არხები მოწყავს 20 ათას ჰა



ნახ. 3. ფარხალის ჰესის სადერივაციო არხი — „მშიერი სტეპის“
სარწყაფი სისტემის მთავარი მაგისტრალური არხი

მიწას. მთავარი არხებიდან გაყვანილი იქნება 7000 კმ საერთო სიგრძის სარწყავი და სადრენაჟო არხები.

ამჟამად მიმდინარეობს კაირაკ-კუმის წყალსაცავის ავსება, რომელიც ფართოდ იქნება გამოყენებული მიწების მოსარწყავად. სულ მალე დაიწყება ჩარდარინის წყალსაცავის მშენებლობაც. ამ სამუშაოების შესრულებით „მშიერი სტეპის“ რაიონში მოსარწყავი ფართობი 800 ათას ჰა-მდე გაიზრდება.

„მშიერ სტეპში“ უმთავრესად ქვიშიანი და თიხნარი წყალგამტარი ნიადაგებია. გრუნტის წყლები ზედაპირიდან 5-10 მ სიღრმეზეა, ამიტომ მორწყვის შემთხვევაში ეს წყლები ზედაპირთან კიდევ უფრო ახლო მდებარეობას იყავებს. გარდა იმისა, რომ ზედმეტი წყალი ნიადაგის დაჭაობებას იწვევს, მას აგრეთვე ზედაპირზე ამოაქეს მარილების დიდი რაოდენობა, რაც მოსავლიანობაზე და საერთოდ მიწების ნაყოფიერებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. გრუნტის წყლების დონის დაწევისა და ზედმეტი წყლების დაწრეტვის მიზნით აშენდება სადრენაჟო-საკონსტრუქტორო ნაგებობათა ფართო ქსელი. სტეპის ცენტრალურ ნაწილში უკვე დაიწყო ცენტრალური კოლექტორის მშენებლობა, რომელიც განტკირთავს ზედმეტ წყლებს. ამ მიმართულებით კვლევით სამუშაოებს ჩატარებენ უზბეკეთისა და ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტები, რომლებიც შეიმუშავებენ მეცნიერულად დასაბუთებული მორწყვის და ამოშრობის სისტემებს. სარწყავი არხების აგება „მშიერი სტეპის“ რაიონებში მოითხოვს 400 მლნ კუბური მეტრი მიწის სამუშაოების შესრულებას, რაც 25-ჯერ ჭარბობს დიდი ფერგანის არხზე შესრულებულ მიწის სამუშაოებს. ასეთი გრანილიზული სამუშაოების ჩატარება წარმოუდგენელია უახლესი ტექნიკის გარეშე; ამ მხრივ „მშიერი სტეპი“ საესპებით უზრუნველყოფილი იქნება.

1956-1962 წლების განმავლობაში უდაბნოს ახლად-ათვისებულ მიწებზე შეიქმნება მებამბეობის 34 საბჭოთა

მეურნეობა და ამდენივე ბაშის საწმენდი ქარხანა. ქარხნების მშენებლობა დაიწყება 1958 წელს და დამთავრდება 1962 წლისათვის.

„მშიერი სტეპი“ ჩვენი ქვეყნის მებამბეობის უდიდესი რაიონი გახდება. ახლად შექმნილი საპონთა მეურნეობების, ბაშის საწმენდი ქარხნების და მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით მოხდება „მშიერი სტეპის“ მთლიანი ელექტროფიცია. ფარხალ-ჰესის ქვესადგურში დაიდგმება ორი ტრანსფორმატორი თითოეული 20 ათასი კილოვატი სიმძლავრისა; 1962 წლისათვის მწყობრში ჩაღდება „მშიერი სტეპის“ 40 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის მიზნით 1957-1958 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 100 ჰაბურლილი. მოხდება მიწისქვეშა წყლების შესწავლა, რასაც განახორციელებს სპეციალურად ორგანიზებული „მშიერი სტეპის“ დიდი საცდელი მეურნეობა.

„მშიერი სტეპის“ ათვისება წარმოუდგენელია საგზაო მშენებლობის გარეშე. ამ მიმართულებით დასახულია სერიოზული ამოცანები. გაყვანილი იქნება 800 კმ სიგრძის მაგისტრალური გზა, გზატკეცილებისა და გრუნტის გზების ფართო ქსელი. სირ-დარიინსკიდან — ჯიზაკამდე გაყვანილ იქნება რკინიგზა, რომელიც უდაბნოს ცენტრში გაივლის და მნიშვნელოვნად დააჩქარებს ყამირი მიწების ათვისებას. ყამირი მიწების მორწყვაზე გაწეული ხარჯები უმოკლეს დროში ანაზღაურდება.


ზემოაღნიშნულ მშენებლობის განხორციელებასთან ერთად უნდა მოხდეს „მშიერი სტეპის“ დასახლება. 1956-1962 წლებში ახლადათვისებულ მიწებზე გაიგზავნება 25 ათასამდე მექანიზატორი და კვალიფიციური მუშა.

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა „მშიერი სტეპის“ მიწების მორწყვისა და ათვისების მთავარი სამმართველო, რომელიც აქ წარმოებულ ყოველგვარ სამუშაოს უხელმძღვანელებს.

უზბეკეთის და ყაზახეთის მშრომელებს თვალსაჩინო წვლილი შეაცევთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განტკიციცების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. როგორც ცნობილია, ყაზახეთმა გასულ წელს მოიყვანა მილიარდი ტ ხორბალი, ხოლო უზბეკეთის საბჭოთა რესპუბლიკამ — 2 მილიონ 800 ათასი ტ ნედლი ბამბა.

პარტიამ და მთავრობამ სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული დიდი წარმატებების აღსანიშავად უზბეკეთისა და ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიაკუთვნეს.

ეჭვი არაა, რომ ორი მოძმე რესპუბლიკა, მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერითა და დახმარებით, ლიტერატურაშეასრულებს პარტიისა და მთავრობის დიდმიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანას — აყვავებულ ბალნარად აქცევს „მშიერ სტეპს“.



პირველი ატომური ენერგეტიკული კონცენტრი

პირველი ატომური ყინულმჭრელის აგება გარდატეხის ეტაპია მსოფლიო გემთშენებლობის ტექნიკის ისტორიაში. იგი ნათლად მეტყველებს საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომაზე ატომური ენერგიის მშენილებინი მიზნით გამოყენებისათვის. თუ პირველი საბჭოთა ატომური ელექტროსადგურის აშშ-ვება საწყისი ნაბიჯი იყო სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო რევოლუციის გზაზე ატომური ენერგიის სახმელეულო პროცესებით გადაწყვეტის დარგში, ყინულმჭრელებსა და სატრანსპორტო ხომალდებზე ატომური ენერგიის გამოყენება ახალ ფურცელს, და შეიძლება ახალ ეპოქას და არქტიკის ათვისების საქმეში.

სკოდ XX ყრილობის დირექტივაში ნათქვამია: „აშენდეს ყინულმჭრელი ატომური ძრავით“. და აა, ნავსაშენში აღმართულია ამ ვიგანტური ხომალდის უზარმაზარი ფოლადის კორპუსი. მასზე წაწერილია საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის სახელი: „ლენინი“.

ყინულმჭრელი „ლენინი“ მარტო პირველი ხომალდი ჩადია ატომური მხოფავი ელექტროფიცირებული. დიდი ყურადღება მიქცეული ეპიპურის კარგი საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად.

ატომური ყინულმჭრელის — „ლენინი“ შექმნაში მონაწილეობს სამამულო მრეწველობის მრავალი დარგი. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკები ისტრავიან, რათა წარმატებით გადაწყვიტონ სკოდ XX ყრილობის გადაწყვეტილება — შეემნას ჩვენს ქვეყანაში პირველი „ყინულმჭრელი-ატომმავალი“. რთული საინინრო ნაგებობა, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს, სამეცნიერო-ტექნიკური აზრის ახალი გამარჯვება.

მერელებს და თითქმის 2-ჯერ იმ დიზენელებრულ ყინულმჭრელებს, რომლებსაც ფინეთი აგებს საბჭოთა კავშირისათვის. ყინულმჭრელს აქვს მუდმივ დენზე მომტავი ტურბო-ელექტრული მხოფავი დანადგარი. იგი შედგება ტურბოგენერატორებისაგან, რომლებიც მოთავსებულია ყინულმჭრელის შუა ნაწილის თო სათავსოში, და სამი ელექტროძრავასაგან (მოთავსებულია კიჩოში). რომელთაგან საშუალოს 20000 ცხენის ძალამდე სიმძლავრე აქვს და მუდმივი დანის ყველაზე მძლავრ ელექტროძრავას წარმოადგენს მსოფლიოში.

ატომურმა ყინულმჭრელმა არ იცის საწვავის „შიმშილი“. ჩემულებრივ ყინულმჭრელს ნახშირის მარაგი ყოფნის ერთორ თვეს. მაგალითად, ყინულმჭრელ „ერმაკ“ 1800 ტონა ნახშირი ძლივს ყოფნის ერთი თვის მანძილზე. შემდევ იგი იძულებულია შევიდეს ნავსადგურში და შეივსოს მარაგი. აიღებს რა „ატომურ საწვავს“, ყინულმჭრელ „ლენინს“ ნაკადგურში შეუსვლელად შეუძლია იცუროს ერთი წლის განმავლობაში. ამასთან ატომური საწვავის დღედამური ხარჯი რამდენიმე აუცული გრამი იქნება.

ყინულმჭრელის ატომური ორთქლსაგენერატორო დანადგარი გარშემორტყმულია საინედრო ბიოლოგიური დაცვით, რომელიც მთლიანად გამორიცხავს ხომალდის პერსონალის დაცვალებას მავნე რადიატიური გამოსხივებისაკან. ორთქლსაგენერატორო დანადგარისა და მხოფავი ელექტროძრავების მართვა დისტანციურია და ხორციელდება გემბანის კაუტილიდება და ხადის შემქმნელის გადაწყვეტილების შესაქმნელად.

ატომური ყინულმჭრელის — „ლენინი“ შექმნაში მონაწილეობს სამამულო მრეწველობის მრავალი დარგი. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკები ისტრავიან, რათა წარმატებით გადაწყვიტონ სკოდ XX ყრილობის გადაწყვეტილება — შეემნას ჩვენს ქვეყანაში პირველი „ყინულმჭრელი-ატომმავალი“. რთული საინინრო ნაგებობა, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს, სამეცნიერო-ტექნიკური აზრის ახალი გამარჯვება.

გამოჩენილი ქართველი მესნიკი

(პროფ. გ. ახვლედიანის დაბადების 70 და სამეცნიერო-კულტურული
მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო)

ა. უოჩეიშვილი

ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი

1913 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ახვლედიანის პირველ მეცნიერულ შრომას „ინდო-ევროპულ ენათა წარწერა და ცხვირისმიერი თანხმოვნები“ ოქროს მედალი მიეკუთვნა. ამ დროიდან გ. ახვლედიანი დაუღალა-ლავად ემსახურება მშობლიური მეცნიერების წინსვლის საქმეს.

გიორგი სარიდანის ძე ახვლე-დიანი დაიბადა 1887 წელს სოფ. დერჩში (ლეჩესუმი). 1908 წელს მან თბილისის ქართული გიმნაზია დაამთავრა და სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტში, რომლის დასრულების შემდეგ იქვე იქნა დატოვებული. 1915-1917 წლებში გ. ახვლედიანი ხარკოვსა და ლენინგრადში მუშაობს ცნობილი ენათმეცნიერების ზალემანის, შჩერბატსკის, მარის, შჩერბას, ენტელინის და სხვათა ხელმძღვანელობით; ამავე პერიოდში მან ლენინგრადში წარჩინებით ჩა-აბარა სამაგისტრო გამოცდა.

საქართველოში გ. ახვლედი-ანის დაბრუნება დაემთხვა თბილისის უნივერსიტეტის დასსებას, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორიც იყო იყო. უნივერსიტეტში გ. ახვლედიანი პირველად ზოგადი ენათმეცნიერების შესავალს კითხულობდა; ამავე დროს ასწავლიდა ძველი ინდურს. გ. ახვლედიანის ლექციები ცალკე წიგნების სახით დაიბეჭდა 1919-1920 წლებში. აღნიშნული წიგნები იყო ქართულ ენაზე დაწერილი პირველი სახელმძღვანელოები, რომლებზეც აღიზარდა ენათმეცნიერთა რამდენიმე თაობა.


იშვიათად მოიძებნება ისეთი ფართო დიაპაზონის მეცნიერი, როგორიც გ. ახვლედიანია. ამის დამამტკიცებელია იმ მეცნიერული დისციპლინების თუნდაც უბრალო ჩამოთვლა, რომლებიც მას უნივერსიტეტში თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში წაუკითხავს. ზოგადი ენათ-

მეცნიერება, ენათმეცნიერების შესავალი, ენათმეცნიერების ისტორია, ზოგადი ფონეტიკა, ექსპერიმენტული ფონეტიკა, რუსული ენის ისტორია, ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა, ინდურ-ირანულ ენათა შედარებითი გრამატიკა, ბერძნული ენა, საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია და სხვ. — აი, სამეცნიერო დისციპლინები, რომლებშიც გ. ახვლედიანი ლექციების კურსს კითხულობდა.

მაგრამ გ. ახვლედიანი ძირი-თაღად მაინც ფონეტიკოსია. მისი შრომები კერძო და ზოგადი ფონეტიკის დარგში საერთო აღიარებას პოულობს არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მსოფლიო ენათმეცნიერებაშიც. ეს იმიტომ, რომ ამა თუ იმ ენის კვლევის დროს იგი კი არ იზღუდება მხოლოდ მოცემული ენის ფაქტებით, არამედ ამ ფაქტებსა და მოვლენებს განიხილავს სხვა ენებთან შეპირისპირებაში და აკეთებს ზოგად დასკვნებს.

ამ მიმართულებით საინტერესოა მისი გამოკვლევები ქართული ენის ფონეტიკიდან. ნიჭიერი მკვლევარი

ქართული ენის კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით აყენებს მეტად ორიგინალურ დებულებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიგნება ქართული ენისათვის დამახასიათებელი აქცესიური და დეცესიური კომპლექსებისა; აქცესიური კომპლექსების გამარტივებისაკენ მიღრეკილებისა და სხვ., რომლის საფუძველზეც ახსნა პოვა აქამდე გაურკვეველმა ენობრივმა ფაქტებმა არა მხოლოდ ქართულსა და მის მონათესავე ენებში, არამედ ისეთ ენებშიც, როგორიც ძველი ფრანგული და ძველი ისლანდურია. ავტორი სამართლი-ანად ფიქრობდა, რომ აქცესიური კომპლექსების გამარ-



ტივებისკენ სწრაფვა „შესაძლებელია ჩაითვალოს საყოველთაო ფონეტიკურ მოვლენად“.

არანაკლები მნიშვნელობის მქონეა გ. ახვლედიანის გამოკვლევა, მიძღვნილი ქართული ენის დამახასიათებელი „მკვეთრების“ ანუ „აბრუპტივებისადმი“ (გ. ახვლედიანის ტერმინებია). ავტორმა აქაც მისთვის ჩვეული სილრმით დაამუშავა ყველა მხარე ამ საკითხისა და იგი ზოგად ფონეტიკურ სიმაღლემდე აიყვანა. „ერთი თვალის გადავლებითაც ნათელია, — წერდა მკვლევარი, — თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ქართულის ხშულთა (იგულისხმება გ-დ-ბ; კ-ტ-პ; ჭ-თ-ფ; ა. ფ.) შესწავლას ზოგადი ფონეტიკისათვის: ის, რაც ევროპულ ენებში ჩანს მხოლოდ გარემოების მიხედვით (და აქა-იქ დიალექტურადაც) ქართულში ნათლადაა გამოხატული და მთელი ენის ბერათა სისტემას ახასიათებს“.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გ. ახვლედიანის შრომებს, რომლებიც შეეხება ოსურ ენას. გ. ახვლედიანმა დაამტკიცა, რომ ირანული ჭვეფის ენა—ოსური — კავკასიური ენების მეზობლობაში ფონეტიკურად გავაკასიურდა, მიიღო კავკასიური (იგულისხმება იბერიულ-კავკასიური; ა. ფ.) ენებისათვის დამახასიათებელი ბერები, რა თქმა უნდა, თავდაპირველად ნასესხები სიტყვების მეშვეობით. მაგრამ ამ ბერების შეთვისება პერიოდების მიხედვით გარკვეული კანონზომიერებით ხდებოდა. თუ ნასესხებ სიტყვაში ორი მკვეთრი მოხვდებოდა, ერთი (უმეტესად თავკიდური ან ყოველ შემთხვევაში სიტყვის თავში მდგომი) მცდელდებოდა. გამეღრების მიზეზი იყო ის, რომ ოსს უჭირდა მისთვის უჩვეულო ორი ერთნაირი ბერების წარმოთქმა ერთსა და იმავე სიტყვაში. აღნიშნულ მოვლენას მკვლევარმა მოხდენილად „შესულთა დისიმილაციური გამჟღერება“ უწოდა. ესეც მან ზოგად ფონეტიკურ მოვლენად ჩათვალა, რაც შემდგომმა კვლევა-ძიებამაც დაადასტურა სვანურში.

დიდია გ. ახვლედიანის დამსახურება ქართული და მისი მონათესავე ენების ბერებითი შედაგენილობის კვლევის საქმეში: მან პირველმა მოგვცა ქართულ ბერათა მეცნიერული კლასიფიკაცია-დახასიათება რუსული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების ბერებითშედეგნილობასთან შეპირისპირებით; ექსპერიმენტულად შეისწავლა და გააანალიზა აფხაზურის ბერების სტემა. შეისწავლა და გააანალიზა მრავალი კერძო დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენა ქართულსა და მის მონათესავე ენებში.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ახვლედიანმა სამეცნიერო მუშაობა ქართულ და მის მონათესავე ენათა გამოკვლევისაკენ მიმართა, მან მნიშვნელოვანი გამოკვლევები მოგვცა აგრეთვე რუსულში, გერმანულში, ირანულში, სანსკრიტში, ავესტაში, ძველ ფრანგულში, ძველ ისლანდურსა და ოსურში. განსაკუთრებით ამ უკანასკნელის კვლევას მან მიუძღვნა არა ერთი და ორი საფუძვლიანი შრომა.

ასევე დიდია გ. ახვლედიანის დამსახურება, როგორც ლექსიკოლოგის და ლექსიკოგრაფისა. მან შექმნა და დამკვიდრა ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგია; იგი ავტორია უცხო სიტყვათა ლექსიკონისა; რუსულ-ქართული ლექსიკონისა (ს. ორდანიშვილთან ერთად); ქართულ-რუსული სასკოლო ლექსიკონისა (ვ. თოფურიასთან ერთად); იგი არის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იმ მუშაობისა, რომელიც ჩატარდა და ტარდება ქართული განმარტებით და რუსულ-ქართული მთარგმნელობითი ლექსიკონების შედგენა-გამოცემის საქმეში.

გ. ახვლედიანის სამეცნიერო მოღვაწეობის გაშუქება ცალმხრივი და ნაკლული იქნება, თუ არ მოვიგონებთ კიდევ ერთ მეტად საჭირო და რთულ მეცნიერებას — ლოგოპედიას (მეცნიერებას დეფექტური მეტყველების გამოსწორების შესახებ) — რომლის ფუძემდებელი და სულისხმილგმელი საქართველოში იგი არის. მან ენა-ჩლუნგებთან იპოვა სიჩლუნგის კანონზომიერება, რომელიც ენის ბერებათ შედგენილობის სტორიული ცვლის პარალელური აღმოჩნდა.

გ. ახვლედიანის თეორიული და პრაქტიკული ხელმძღვანელობით მომზადდა ქართველ ლოგოპედთა კადრები, რომლებმაც სამამულო ომის პერიოდში არა ერთსა და ორ კონტუზირებულ მებრძოლს დაუბრუნეს ნორმალური მეტყველება. გ. ახვლედიანის მიერ აღზრდილი ლოგოპედები ახლა წარმატებით მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის კეოლებში ენაჩლუნგ და ბლუ ბავშვთა მეტყველების გასწორებაზე. წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ლოგოპედიის განყოფილებას თბილისის ფუნქციონალურ-ნერვულ დავადებათა ინსტიტუტში.

გ. ახვლედიანი არა მარტო გამოჩენილი მეცნიერი, არამედ დამსახურებული პედაგოგიცა. იგი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორია მისი დაარსების პირველი დღიდანვე, სადაც იგი შეუცვლელად გრძაგებს ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტი, სადაც წარმოებს სხვადასხვა ენის ბერების კვლევა. ამავე დროს იგი აქტიური მონაწილეა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა. ძნელია მოიძებნოს მეორე მეცნიერი, რომელსაც ასე ბევრი ასპირანტი გამოზარდოს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ 40 წლის მანძილზე არ მომზადებულა არც ერთი ქართველი ფილოლოგი, რომელსაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გ. ახვლედიანის სკოლა არ გაევლოს.

დაუღალავი შეცნიერი სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას წარმატებით უთავსებს საზოგადო მოღვაწეობას. მან დაარსა და არსებობის მთელ მანძილზე (1923-1932 წწ.) ხელმძღვანელობდა საქართველოს ლინგვისტურ საზოგადოებას. იგი ერთ-ერთი ფუძემდებელია სა-

ქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა, რომლის აკადემიური სამსახური იგი პირველი დღეებიდანვე (1941 წელი) ითვლება; აკადემიაში მას სხვადასხვა დროს ეჭირა აკადემიური-მდიგნის, საზოგადოებათმეცნიერების განყოფილების გამგის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორისა და სხვა აანამდებობა.

1939 წლიდან გ. ახვლედიანი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტია.

1932 წელს გ. ახვლედიანის იჩჩევენ ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრად, 1940 წელს კი ამერიკის ლინგვისტთა საზოგადოების წევრად. მას ლექციებით და მოხსენებებით მონაწილეობა მიუღია სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე ბათუმში, თბილისში, ბაქოში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. 1928 წელს სახელმძღვანი მეცნიერი მონაწილეობდა ორიენტალისტთა საერთაშორისო კონფერენციაში ოქსფორდში (ინგლისი), 1947 წელს კი გაგზავნილ იქნა დელში (ინდოეთი) სრულიად აზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგატად, იქ ინდურ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა მისი სტატიები.

გ. ახვლედიანის კალამს ეკუთვნის 130-მდე სამეცნიერო-პედაგოგიური ხასიათის შრომა, რომელთაგან, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის უნივერსიტეტის მიერ 1956 წელს პრემიებული „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“, „ზოგადი

და ქართული ფონეტიკის საფუძვლები“, „რუსული ენის გრამატიკა“, „რუსული ენის გრამატიკა ქართული სკოლებისათვის“ და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს 1949 წელს გამოცემული კაპიტალური ნაშრომი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“. მასში ავტორმა შეაჯამა ენათმეცნიერებაში, კერძოდ ფონეტიკაში, მის მიერ 35 წლის მანძილზე გაწეული შრომა, აქვე მან წამოაყენა ფუძემდებელი მოსახრებები ფონოლოგის დარგში, და უნდა ითქვას, რომ მსგავსი წიგნი არც თუ ბევრია მსოფლიო საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

მეცნიერების წინაშე დამსახურებისათვის მთავრობამ მას 1943 წელს მეცნიერების დამსახურებული მიღვაწის სახელი მიანიჭა; იგი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

უაღრესად თავმდაბალი, გულთბილი და თავაზიანი, გულწრფელი და გულისხმიერი — ასე იცნობენ მას მისი მეგობრები; მკაცრი, მაგრამ სამართლიანი; მომთხოვნი, დაუზარებელი და უანგარო მასწავლებელი — ასე იცნობენ მას მისი მოწაფეები, სწორედ ასეთი თვისებების გამო იგი ყველას უყვარს, ვისაც ბელნიერება ჰქონია მასთან შეხვედრისა.

გ. ახვლედიანი 71-ე წელში გადადგა, მაგრამ გაცილებით ახალგზრდად გამოიყურება, შრომის ძალითა და ენთუზიაზმით კი ნამდვილი ჭაბუკია; ვუსურვოთ მას დიდი ხნის სიცოცხლე ჩვენი მეცნიერების საკეთილ-დღეოდ.


ტრაქტორი დТ-56

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი ემზადება უფრო სრულყოფილი მუხლუხა ტრაქტორის დТ-56-ის გამოსაშვებად. ამ-კამად გზადღება ახალი ტრაქტორების საცდელი პარტია.

დТ-56-ზე დადგმულია СМД-55 ძრავა. მისი სიმძლავრე წუთში 1500 ბრუნის დროს 55 ცს. ძალას უდრის. საწვავის კუთრი ხარჯი საათში შეადგენს 190 გრ-ს ერთ ცს. ძალაზე.

დТ-54 ტრაქტორთან შედარებით ეს განეკანა 1000 კგ-ით უფრო მსუბუქადა და აქვს ნაკლები გაბარიტები.

გადაცემათა კოლოფს 8 სიჩქარე აქვს. მისი ნაწილები დამაგრებულია სეროთი კორპუსზე. ეს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ტრანსმისის მუშაობის პირობებს. ახალი ტრაქტორის მართვა ხდება სახელურების და სატერფულების მეშვეობით. მანექანა აღჭურვილია დამოუკიდებელი ძალსართმევი ლილვით, ჰერმეტული კაბინით, საკიდი მექანიზმებით სამოწყლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების დასაკიდებლად, აგრეთვე ჰიდროამძრავით, რომელიც მექანიზატორს საშუალებას აძლევს უშუალოდ კაბინიდან მართოს ყველა მისაბმელები, საკიდი იარაღები და მანქანები.



საქართველოს მთაწმინდური კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი

3. ისაკოვი

1957 წელი მეცნიერების ისტორიაში შევა როგორც მნიშვნელოვანი თარიღი. კაცობრიობა არასოდეს დაიგიჭებს, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ამ საიუბილეო წელს ატმოსფეროს ფარგლებს იქით გაშვებულ იქნა საბჭოთა, მსოფლიოში პირველი, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. ამრიგად, ჩვენმა მეცნიერებმა გადადგეს პირველი ნაბიჯი, ფეხი შედგეს ვარსკვლავებისაკენ მიმავალი კიბის პირველ საფეხურზე, ხოლო 30 დღის შემდეგ კაცობრიობამ გაიგო საბჭოთა მეცნიერების ახალი მიღწევის „შესახებ. იერიშით აღებულ იქნა კოსმოსური კიბის მეორე საფეხური. ატმოსფეროს ათას-კილომეტრიანი ფენის გარღვევით საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი № 2 ცოცხალი ძალით ბორტზე ზუსტად გაჰყვა მისთვის დადგენილ ორბიტს და 1700 კილომეტრამდე სიმაღლეზე გარს შემოუარა ჩვენს პლანეტას. ძალი ლაიკა — ატმოსფეროსიქეთა სიმაღლის პირველი მზევრავი — თავისი გულის ძეგრითა და ყოველი ამოსუნთქვით ჩადგა მეცნიერების სამსახურში.

მთელ მოწინავე კაცობრიობას გულწრფელად ახარებს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა, ჩვენი მრეწველობის მუშაკთა უდიდესი გამარჯვება. ამავე დროს საბჭოთა კავშირის ამ გამარჯვებამ ჩვენს მტრებუში გამოიწვია შიში და დაბნეულობა: მათ დაინახეს, თურა მაღალ დონეზე აიყვანა სსრ კავშირმა თავისი მეცნიერება და ტექნიკა, თავისი ინდუსტრია და შეძლობრწყინვალედ გადაეჭრა ურთულესი მეცნიერული და ტექნიკური პრობლემები.

აღამინის გონებამ, ნებისყოფამ და შრომამ დაასახლა კოსმოსში სიცოცხლე. ის გარშემორტყმულია მრავალი საშიშროებით. ისინი შესწავლილი და დაძლევული უნდა იქნენ მანამდე, ვიდრე კოსმოსში გავლენა ადამიანები, ასტრონავტები. რას წარმოადგენენ ეს საშიშროებანი?

რატომ იბერება და სკდება ღრმაშეყლისეული თევზი იყენანის ზედაპირზე? იმიტომ, რომ მისი თრგანიზმი შეეგუა მრავალტონიანი წყლის ფენებში მაღალი წნევის ქვეშ ცხოვრებას. დაახლოებით იგივე მოუვა ადამიანს ან ცხოველს, თუ ისინი ავლენ ჰაერის იკეანის იმ ფენებში, სადაც ჰაერის სიმკვრივე და, მაშასადამე, წნევა მკვეთრად მცირდება.

მეცნიერებმა ჩაატარეს ასეთი ცდა. მოათავსეს ძალები ბაროკამერაში და სწრაფად, წამის ორ-სამ მეასედ ნაწილში, წნევა შეამცირეს ვერცხლისწყლის სვეტის 30 მილიმეტრამდე. თვალის დახამხამებაში ძალები თით-

ქოს „აფრინდნენ“ 22 კილომეტრის სიმაღლეზე. 30 წამის შემდეგ ცხოველთა სხეულზე გამოჩნდა ხორკლები — კანქვეშა შეშუბება. როგორც გამოირკვა, თურმე 19 კილომეტრის სიმაღლეზე ყველა სითხე ორგანიზმის ქსოვილებში დაბალი წნევის გამო გადაიქცევა ორთქლად. აზოტის, ნახშირორუანგისა და წყლის ორთქლის ბუშტულები მკვეთრად ფართოვდება. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ცხოველების ძარღვებში სისხლი ადულდება. ასეთივე პირობებში მოხვედრილი ადამიანი 15-30 წამში დაკარგავს გონებას და დაიღუპება. კოსმოსური გემის ქიმი რომ გაიხვრიტოს, ვთქვათ, მეტეორიტით ათას კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე, მასში მყოფი ცოცხალი თრგანიზმები უმალვე დაიღუპება.

იზოლირებული, ჰერმეტული კაბინა შიგნით ჰაერის ნორმალური წნევით, რომელიც ჭრ კიდევ 1903 წელს კონსტანტინე ედუარდის ძე ციოლკოვსკიმ წამოაყენა, საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ეს საშინელი ხიფათი. კაბინის კედელი თუ გინდ გაიხვრიტოს მეტეორიტით, სპეციალური კომბინეზონი, რომელიც მჭიდროდაა შემოჭერილი ასტრონავტის სხეულზე, დაიგას მას დაღუპისაგან. ამასთანავე პირველი ორი ხელოვნური თანამგზავრის გამოცდამ გვიჩვენა, რომ მეტეორიტული საშიშროება არც თუ ისე დიდი ყოფილა. თანამგზავრთა მეტეორებთან შეჯახების აღბათობა არ აღემატება გზებზე ავტომანქანათა შეჯახების შესაძლებლობას.

ცხადია, რომ ნორმალური სუნთქვა შეიძლება მხოლოდ უნგბადის არსებობისა და ორგანიზმისათვის ჩვეულებრივი წნევის პირობებში. კოსმოსური გაფრენის დროს შეიძლება ვიქონიოთ ბალონები შეკუმშული ჰაერით. მაგრამ ხანგრძლივი რეისის დროს ეს ნაკლებად ეკონომიური იქნებოდა, ვიდრე სუნთქვისათვის თხევადი უანგბადის გამოყენება. მისი ერთი ლიტრის აორთქლება ხომ 800 ლიტრ აირს იძლევა. თანამგზავრი რომ არ გადაიტვირთოს ბალონებით, რომ არ დავამშიმოთ იგი, საბჭოთა მეცნიერებმა მოაწყვეს მასში ჰაერის კონდიცირების სპეციალური სისტემა. ნახშირორუანგისა და ზედმეტი ტენისაგან გასუფთავებული ჰაერი ისევ ვარგა სუნთქვისათვის. ცხოველთა გაფრენა საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს არა მარტო კაბინის, სკაფანდრების, კოსტიუმების და სუნთქვის სისტემის ჰერმეტულობა, არამედ აგრეთვე შესაძლებლობას ქმნის დამუშავებულ იქნეს ორგანიზმის კვებისა და წყლით მომარაგების მეთოდები.

როგორც ცნობილია, მეორე ხელოვნურ თანამგზავრზე მოთავსებული ძაღლი უზრუნველყოფილი იყო საკუვების მარაგით და, როგორც ჩანს, მისი ავტომატური მიწოდების მოწყობილობით. უკველივე ეს ცხადყოფს, თუ რა მრავალი მნიშვნელოვანი პროდუქტისა და უცილებელი წვრილმანის მოსაზრება მოუხდათ მეცნიერებს, რათა რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენებინათ ის ნახევარტონიანი მოწყობილობა, რომელიც ამჟამად ატანილია რაკეტის მიერ კოსმოსში.

თანამგზავრი ჩვენი პლანეტის გარშემო მოძრაობს წამში 8 კმ სიჩქარით. მაგრამ უატმოსფერობა, ულრუბლობა არ აძლევს საშუალებას თანამგზავრს დაიფაროს თავი მზის მცხუნვარე სხივებისაგან. კოსმოსში ტემპერატურის ცვალებადობა განუზომლად მეტია, ვიდრე დედამიწაზე, სადაც ის — 70° -დან $+ 70^{\circ}$ -მდე მერყეობს. ხომ არ შეუშლილა ხელს ლაიკას ორგანიზმს კოსმოსური ტემპერატურის შკვერთი რყევა? თანამგზავრიდან მიღებული ცნობები იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა მეცნიერები სწორად წყვეტინ თანამგზავრში საჭირო ტემპერატურის ჩამოტკიცის შექმნის ამოცანას. მაშასადამე, ეს საფრთხე ადამიანისათვისაც არ იქნება საშიში.

ფრიად რთული საქმეა დაცვა სხვადასხვა გამოსხივებათაგან, რომლითაც გამსჭვალულია საპლანეტოაშორისო სივრცე. ატმოსფერო, ეს ჩრდილი ჯავშანი, თითქოსდა საბანი, გვიცავს ჩვენ მათი საშიში ზემოქმედებისაგან. მაგრამ უკვე 9 კილომეტრის სიმაღლეზე კოსმოსური სხივები 12-ჯერ მეტია, ვიდრე დედამიწაზე. კოსმოსის მომავლინებელი გამოსხივების სულ მეხუთედი ნაწილი აღწევს 40 კილომეტრის სიმაღლეზე. მაგრამ ზემოთ? დაახლოებით ორასი კილომეტრის სიმაღლეზე მათი სიმძლავრე 150-ჯერ იზრდება. ატმოსფეროს ფარგლებს იქით გამოსხივების ინტენსივობა საშიში ხდება. ის უდრის ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე წამში დაახლოებით 0,5 ნაწილას. ეს მეტად სახითათოა, განსაკუთრებით მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთ კოსმოსურ ნაწილას შეუძლია გახვრიტოს 30 სანტიმეტრამდე სისქის ტყვიის ფირფიტაც კი. ადამიანის მიერ შექმნილი ყველაზე ძლიერი ხელოვნური წყაროებიც კი ჯერჯერობით არ იძლევა ნაწილაკებს ისეთი ენერგიით, როგორსაც ფლობს ზოგიერთი კოსმოსური ნაწილაც.

თუ მზის ულტრაიისფერ გამოსხივებათაგან, რენტგენის სხივებისაგან დაცვა საკამაოდ აღვილია, სხვადასხვა ელემენტთა ბირთვებისაგან — ამ კოსმოსური ტყვიებისაგან — გადარჩენა უფრო ძნელია. მათ შორის ყველაზე მეტი — დაახლოებით 80%-მდე — წყალბადის ბირთვია. ნაკლები რაოდენობითაა მათში მძიმე ბირთვები, მაგალითად, რკინის ატომების ბირთვები.

მოძრაობს რა თიოჭმის სინათლის სიჩქარით, გააჩნია რა უდიდესი კინეტური ენერგია, ნაწილაკები ეჯახება ატმოსფეროში სხვა ნივთიერებათა მოლეკულებს და

შლის მათ იონებად. წარმოებს დისოციაცია. იშლება მოლეკულები, ხოლო მათთან ერთად უჯრედიც ცოცხალორგანიზმში, რომელიც დაცული არ არის კოსმოსური გამოსხივებისაგან. ცოცხალ არსებებს ეწყებათ სხივური დაავადება, ავაღმყოფური მოვლენები, მსგავსი იმისა, რომელსაც იწვევს ბირთვული რეაქციების დროს წარმოშობილი გამა-გამოსხივება.

თითოეულ ბირთვს ისეთი მძიმე ელემენტებისა, როგორიცაა თუთა და რკინა, ორგანიზმში შეჭრისას მწყობრიდან გამოპყავს 15 ათასი უჯრედი. ერთი უჯრედი, ცხადია, ორგანიზმს დიდ ზიანს ვერ მოუტანს: მასში ხომ 1000 მილიონამდე უჯრედია. მაგრამ სამყაროში 40 კილომეტრზე მაღლა თანამგზავრი ძალითურთ ხვდება ამნაწილაკების განუწყვეტილ სროლაში.

ლაიკას საიმედოდ დაცვას უზრუნველყოფდა რაკეტის კედლები, თუ საჭირო გახდება მომავალში რაიმე დამატებითი ექტანების გამოყენება, როგორც ამს გვირჩევს კოსმოსური პროექტების ზოგიერთი ავტორი? ამ კითხვაზე პასუხის მიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ცხოველებითა და მარტენისტრიერებელი აარატურის სხვადასხვა ხელსაწყოებით თანამგზავრთა სერიის გაშვების შედეგად. მიმდინარე საერთაშორისო გეოფიზიკურ წელს საბჭოთა მეცნიერები ახეთ გაშვებებს ფართო მეცნიერული პროგრამით ჩატარებენ.

ერთბაშად არ ვლინდება გამოსხივების შედეგი. სხივური დაავადების ნიშნები ზოგჯერ თავს იჩენს ერთი კვირისა და ოვეების შემდეგაც კი. ამიტომ საბოლოო დასკვნის გაკეთება ცხოველ-ასტრონავტთა გამოცდიდან შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ზოგიერთი შაოგანი დაბრუნებული იქნება თანამგზავრიდან ჩვენს მიწისეულ ლაბორატორიაში.

ორი ფაქტორი მომავალი ასტრონავტებისა და ჩვენგან, მელიცინის მუშაკებისაგან ყოველთვის მოითხოვს დიდ გარჯას. ეს არის აჩქარება და უწმინდობა.

დედამიწიდან გატყორცნილი რაკეტი რაც უფრო ჩქარა მიიღებს კოსმოსურ სიჩქარეს, მთ უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება მას მიაღწიოს შორეულ პლანეტებამდე. ცდილობენ რა გაადიდონ რაკეტის მოძრაობის სიჩქარე წამში 11,2 კილომეტრამდე და მეტით (სიღილე, რომლის ღროსაც მას შეუძლია გასხლტეს დედამიწის მიზიდულობის სფეროდან და გაფრინდეს კოსმოსურ სამყაროში), ინუინრები კოსმოსურ ხომალდებს აძლევე კოლოსალურ აჩქარებას. ადამიანი და ცხოველები იტანენ ყოველგვარ სიჩქარეს. სიჩქარეს და არა აჩქარებას. თუ რაკეტი დედამიწის მიზიდულობის სფეროდან გავაორ წუთში, ეს ნიშნავს, რომ ადამიანზე მთელი ამ დროის განმავლობაში იმოქმედებს ძალები, რომლებიც 9-ჯერ აღემატება მის დედამიწის ისეულებულ წონას. ცხრაჯერადი გაღატვირთულობა! ადამიანთა დიდი ნაწილი ხომ ჯანმრთელობის დაუზიანებლად გაუძლებს მხოლოდ 3-5-ჯერად გადატვირთვს.

და მაინც არსებობს ასტრონავტების მდგომარეობის შემსუბუქების ხერხები. მედიცინის მუშაკებმა შენიშვნეს, რომ მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორ მდგომარეობაში იმყოფება სხეული გაფრენის დროს. თუ აჩქარება ადამიანზე მოქმედებს ფეხებიდან თავისაკენ, მაშინ სისხლის დიდი რაოდენობა დაიწევს სხეულის ქვედა ნაწილში. ტვინს არ ყოფნის სისხლი. ამან შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალური ნერვული სისტემის ყველა ფუნქციის დარღვევა—გონების დაკარგვამდე. შეაბრუნეთ სხეული მოძრაობის პერპენდიკულარულად და გადატვირთვა ბევრად უფრო ადვილად გადაიტანება. ჩააციონ ასტრონავტს სპეციალური მჭიდრო კოსტიუმი-კომბინეზონი, რომელიც არ მისცემს სისხლს კიდურებში ჩადგომის საშუალებას, და თქვენ კიდევ უფრო შეამსუქებთ მის მდგომარეობას. ლაიკას ჯანმრთელობის დამაკამყოფილებელი მდგომარეობა გაშვების პირველ დღეებში იმას ადასტურებს, რომ საბჭოთა მეცნიერებს ცხოველებზე ცდების ჩატარებისას შეუძლიათ იპოვონ ორგანიზმის

ნიზმის ნორმალური ცხოველმოქმედების შენარჩუნების მეთოდები ადამიანისთვისაც.

უწონადობაზე ლაპარაკი ბევრში ღიმილს იწვევს. რამდენი კურიოზი შეემთხვევა აღმიანს, როდესაც ის სამყაროში უწონადოდ მოხვდება! ხომ არის ამ სამყაროში მოვლენები, რომლებიც ჩვენ, ბიოლოგებს, ექიმებს, ამფოთებს. იცით თუ არა თქვენ, რომ სამყაროში წონის გარეშე ჭიქა წყლის დალევა არც ისე ადვილი საქმეა? და თუ ცხოველი უწონადობის პირობებშიც კი შეძლებს საკვების მიღებას ნორმალურად, მაშინ როგორ იმოქმედებს მის ჯანმრთელობაზე მიუჩვეველ პირობებში ხანგრძლივი კვება? რამდენად ჩქარა შეეგუება ამას ორგანიზმი?

საკმაო ხნის განმავლობაში ძალი ლაიკა ცხოვრობდა სრული უწონადობის პირობებში. რადიოს მოჰქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ პირველი ცდა წარმატებითაა დაწყებული. მისი საბოლოო შედეგი საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ ადამიანის საპლანეტოამონის სივრცეში გაფრენის შესახებ.




ტორფის მასივების მომზადება ექსპლოატაციისათვის დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვს. სათბობი მრეწველობის საჭარბოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტმა შექმნა პიდრავლიკური მისაბმელი ექსკავატორი ПЕГ-1. საცვლელი მოწყვეტილობა, რომელიც ექსკავატორს აქვს, საშუალებას იძლევა გაფართოვდეს მისი გამოყენების სფერო. აგრეგატით შეიძლება გათხრილ იქნეს არა მარტო საშრობი არხები, არამედ ტორფი, ძირკვები და ანაძენდი დაიტვირთოს თვითმცლელებას და რკინიგზის ვაგონებზე. ივი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აკრეოვე ერთ ტონაშე სიმძიმეების ასაწევად და გადასააღვილებლად.

ახალ მანქანას არა აქვს ამძრავი მექანიზმები — ბაგირები, ბაგირებიანი დოლები და ფრიქიული ქუროები. ექსკავატორი ტრაქტორის მისაბმელს წარმოადგენს. ასეთმა სქემაზ

პირველი ექსპარტორი

შესაძლებლობა შექმნა შემცირებულიყო გრუნტზე კუთრი წნევა, ორმოცდათი პროცენტით შემცირებულიყო როგორც სწრაფად ცვეთაზი დეტალებისა და სათადარივო ნაწილების, ისე ბენზინის ხარჯი. ექსკავატორი ПЕГ-1 დამზადებულია ორეხოვ-ზუერს ქარხანაში — „ტორფმაშ“. მან უკვე გაიარა საქართველოს გამოცდა.



საანგარიშო

აზე-გრაფიკი

ჩვენი ქვეყნის მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში ამჟამად თანადათან უფრო ფართოვდება საანგარიშო მანქანების გამოყენება.

ამ მანქანების უპირატესობა დიდია: მათი მეშვეობით არაჩვეულებრივად ჩქარდება საბუხვალტრო სამუშაოთა შესრულება.

კოლმეურნეობებში ანგარიშსწორებისათვის საანგარიშო მანქანების გამოყენების მიზნით სსრ კავშირის ზოგ მტს-თან დაარსებულია საალრიცხვო-საანგარიშო ბიურო.

ერთი ასეთი ბიურო ჩამოყალიბებულია გორის მტს-თან, სადაც რამდენიმე საანგარიშო-საბუხვალტრო მანქანას ამუშავებენ.

გამრავლებისა და გამოთვლის მექანიზაციისათვის აქ გამოიყენება შემავამებელი, ერთობიცხვიანი მანქანა — СДУ-138, რომელიც 10-კლავიშიანია და გარეგნულად დიდად არ განსხვავდება ჩვეულებრივი საბეჭდი მანქანისგან.

რიცხვითი გამოთვლისათვის ამ მანქანაზე მუშაობა 2 ილეტით ანუ პერიოდით განისაზღვრება, ამიტომ მას ორერთოდიანი ეწოდება.

მუშაობის პირველი პერიოდია ის, რომ კლავიატურის მეშვეობით აყენებენ რიცხვს, რომელიც მრიცხველში გადაიტანება და ქაღალდზე აღიბეჭდება მოტორის ღილზე ხელის დაჭერით ან სამართი სახელურის გამობრუნებით. ამით მოქმედებას იწყებს მექანიზმი, რომლის მეოხებით ხორციელდება ანგარიში და ბეჭდვა. ეს არის კიდეც მეორე — ბეჭდვისა და ანგარიშის პერიოდი.

გარდა მიმატება-გამოკლებისა მანქანა აწარმოებს გამრავლებას განმეორებითი მიმატების გზით, ამასთან, თუ გვჯეს ორთეროვანი (წითელი და შავი) მღებავი ლენტი, გამოთვლილი რიცხვი და შენაგამის აღმნიშვნელი ციფრები იბეჭდება წითლად. გაყოფა ამ მანქანაზე არ ხდება.

მანქანა აღჭურვილია 10-თანრიგიანი მრიცხველით. ამის შესაბამისად უდიდესი რიცხვი, რომლის დადგენა და კამში მიღება შეიძლება, იქნება 99.999.999,99.

მანქანას აქვს 220 ან 127 კოლტიანი ცვლადი დენის ძრავები.

გამოანგარიშებასთან ერთად მანქანა აწარმოებს შერჩეული რიცხვებისა და შეჯამების ბეჭდვას ქაღალდზე, ამასთან რიცხვის იბეჭდება ბჭყარშიც და სვეტშიც.

მანქანაზე მუშაობა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მრიცხველი გაიწმინდება. ამისათვის საჭიროა СДУ-138 გამუშაონ უქმი სვლით.


თუ მრიცხველი ჩამქრალია, ქაღალდზე აღიბეჭდება საკონტროლო ნიშანი — *; თუ მასში იყო რომელიმე რიც-

ხვი, ხდება ამ რიცხვის დაბეჭდვა ისევე საკონტროლო ნიშნით. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ შეიძლება მუშაობის დაწყება.

შეკრება-მიმატება. ურთიერთმისამატებელი ციფრების ან რიცხვების კლავიატურაზე აკრეფა ხდება უმაღლესი თანრიგიდან დაწყებით, ე. ი. იმავე რიგად, როგორც იგი იწერება ქაღალდზე. მაგალითად, იმისთვის, რომ ავკრიფთო რიცხვი 1550, თავდაპირველად თითს დააჭერენ 1-ის კლავიშს, შემდეგ 5-ისას ორჯერ და ბოლოს 0-ისას.

თითოეული შესაკრები რიცხვი, რომელიც კლავიატურაზე აკრიფთება, გადაეცემა მრიცხველში და ამავე დროს აღიბეჭდება ქაღალდზე. ქაღალდზე აღიბეჭდილი რიცხვების საერთო ჯამის მისაღებად მანქანა უნდა ვამუშაოთ უქმი სვლით, რის შემდეგ ხელს დააჭერენ საბოლოო შენაგამის ვარსკვლავიან (*) კლავიშს ან სახელურის გადაბრუნებით აამუშავებენ მანქანას; ამის შემდეგ მოხდება ჯამის აღიბეჭდვა ვარსკვლავიანი (*) ნიშნით. რიცხვთა დაჯამების შემდეგ რომელიმე შუალედი (ნაწილობრივი) ჯამის მისაღებად მანქანას ამუშავებენ უქმი სვლით, ხელს დააჭერენ შუალედი ჯამის კლავიშს რომბისებრი ნიშნით (◊), მოხდება შუალედი ჯამის აღიბეჭდვა ნიშნით — ◊ რიცხვის მარჯვენა მხარეზე. ამის შემდეგ შეიძლება რიცხვთა შეჯამება ან საბოლოო (საერთო) ჯამის მოხსნა მანქანის წინასწარი უქმი სვლით ამუშავების გარეშე.

გამოკლების დროს რიცხვთა აკრეფა ისევე ხდება, როგორც მიმატებისას, ე. ი. უმაღლესი თანრიგიდან დაწ-



საფაქტურო მანქანა ფМ

ყებით. გამოკლება წარმოებს შემდეგნაირად: თავდაპირველად კლავიატურაზე აიკრიფება სამცირო და ძრავას ღილზე ხელით მუშაობის დროს) იბეჭდება ქალალზე; შემდეგ კლავიატურაზე აიკრიფება მამცირი, თითო და-ეჭირება კლავიშს ნიშნით — მინუსი. ამის შემდეგ ლენტზე აღიბეჭდება მამცირი, რომელსაც მარჯვნივ ექნება ნიშანი მინუს (—). ნაშთის მისაღებად მანქანას ამუშავებენ უქმი სვლით და თითო დაჭრების საერთო გამის კლავიშს, რომელსაც აქვს ვარსკვლავინი (*) ნიშანი. ამით ჩაირთვება ძრავა და მიღებული ნაშთი იბეჭდება საკონტროლო ნიშნით (*) რიცხვის მარცხნივ.

განმეორებითი შეკრება-მიმატების წესით ხდება გამრავლება. სახელდობრ, კლავიატურაზე აიკრიფება სამრავლი რიცხვი, შემდეგ თითო აჭრები და ამაგრებენ Π-ნიშნიან კლავიშს და სახელურის მობრუნებით ან ძრავას ღილზე ხელისღაჭრით ხდება გამრავლება, ე. ი. კლავიატურაზე დაყენებული რიცხვის იმდენჯერ შეჯამება, რამდენი ერთეულიცა მამრავლში. განმეორების კლავიშის აშვება ხდება ძრავას ღილზე ხელის დაჭრებით ან სამართი სახელურით.

მრავალნიშნიან რიცხვებზე გამრავლება იწყება მამრავლის უმცირესი რიგიდან და მაღალ რიგში თითოეული გადასვლისას კლავიატურაზე აკრეფილ რიცხვს მარჯვნიდან ემატება თითო ნული.

* * *

ნახევრადავტომატური მთვლელი მანქანის მექანიზმი ოპერატორს თავისუფლად შეუძლია ერთი თვალის გადავლებით მიმოიხილოს.

გამოთვლის დაწყებამდე მანქანაზე, როგორც წესი, მოწმდება: თავისუფლია თუ არა ციფრთა კლავიატურა, ჩამქრალია თუ არა მრიცხველები (მათი ყველა თანრიგი ნულზე უნდა იყოს).

კლავიატურაზე ციფრის აკრეფისას თვალყურს ადევნებენ იმას, რომ რიცხობრივი მონაცემები სწორად ვანლაგდეს — ერთეულები ერთეულების, ათეულები ათეულების, ასეულები ასეულების თანრიგში და ა. შ.


კლავიატურაზე აკრეფილი რიცხვები მოწმდება საკონტროლო მექანიზმის ფანჯარაში, რის შემდეგ შეიძლება დაიწყოს გამოთვლა.

გამოკლებისას, ისევე როგორც მიმატებისას, აამუშავებენ და ამაგრებენ ღილვს. ეს უზრუნველყოფს ციფრთა კლავიატურის ავტომატურ ჩაქრობას თითოეული ოპერატორის შემდეგ.

გამოკლების ოპერატორიაც ასევე სრულდება, როგორც მიმატებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მცირე ხანს თითო აჭრები არა კლავიშს — პლუსს, არამედ კლავიშს — მინუს.

გამრავლება აქაც განმეორებითი მიმატების წესით ხორციელდება. საჭიროა მხოლოდ, რომ ლილაკი აშებული და ჩაჭრილი არ დარჩეს.

გამრავლების დამთავრებისას შემოწმდება შესრულებული ოპერატორის სისწორე იმდენად, რამდენადაც ყველა რიცხობრივი მონაცემები სახეზეა: სამრავლი — კლავიატურაზე, მამრავლი — მობრუნების მრიცხველში, ნამრავლი — შედეგის მრიცხველში.



საბუჩბალტრო მანქანა CP-22

ამგვარად გამრავლება ხდება შემდეგი წესით: სამრავლი აიკრიფება ციფრთა კლავიატურაზე, მამრავლი კლავიშის — პლუს მეშვეობით შეიტანება მობრუნების მრიცხველის მექანიზმში, ხოლო შედეგის მრიცხველში გამოჩნდება ნამრავლი.


თუ გამრავლება განმეორებითი მიმატების წესით ხორციელდება, სამაგიეროდ გაყოფა განმეორებითი გამოკლების გზით ხდება, ე. ი. გამყოფი გამოაკლდება გასაყოფს მანამდე, ვიდრე შედეგის მრიცხველის ყველა თანრიგში არ გამოჩნდება ნაშთი.

* * *

აღრიცხვის მექანიზმის საქმეში ყოველთვის მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენდა ისეთი სამუშაოების მანქანით შესრულება, როგორიცაა ფაქტურებისა და ანგარიშების ამოწერა. თითოეული ასეთი ღიკების გაფორმებისას აუცილებელია სხვადასხვა სახის მანქანების გამოყენება: სათაურისათვის საჭიროა საბეჭდი მანქანა, დაჯამებისა და გამოთვლისათვის — სათვლელ-საწერი, ხოლო გამრავლებისა და პროცენტების გამოყვანისათვის — გამოსაანგარიშებელი მანქანა. ცხალია, რომ ყველა ჩამოთვლილი ტიპის მანქანების ხმარება ერთი ფაქტურის ან ანგარიშის შესადგენად რთული და არარაციონალურია. ამიტომაც დიდია მოთხოვნილება ისეთ მანქა-

ჩემთვე, რომლებიც მთლიანად შეასრულებდა ანგარიშის ამოსაწერად საჭირო ყველა სამუშაოს.

ფირმა „რეინმეტალის“ მიერ გამოშვებულ ერთი ასეთი ტიპის საფაქტურო მანქანას ამუშავებენ გორის მტს-თან არსებულ ბიუროში. კონსტრუქციულად იგი წარმოადგენს საწერ მანქანას გამოსათვლელი და საანგარიშო მექანიზმით, რომელიც აწარმოებს რიცხვთა გამოკლებასა და გამრავლებას.



ნახევრადავტომატური გამოსათვლელი მანქანა **KELE²**

ტექსტისა და რიცხვის ჩაწერა საფაქტურო მანქანაზე ხდება ისევე, როგორც ჩვეულებრივ საბეჭდ მანქანაზე. გამოსათვლელი მექანიზმის მართვა ხორციელდება ავტომატურად სამართი შინების იმ საამჭყობოს მეშვეობით, რომელიც კარეტის უკანა მხარესაა. მოძრაობს რა კარეტთან ერთად, იგი აწარმოებს გამოსათვლელ მექანიზმი რიცხობრივი მასალის განაწილებას. მართვის თითოეული შინა განკუთვნილია განსაზღვრული ფორმულარისა და განსაზღვრული მანქანისათვის და შეიძლება შეიცვალოს მეორე შინით სხვა ფორმულარისათვის. ამიტომ მანქანის ხმარების ყოველი ცალკე შემთხვევისათვის საჭიროა მისი სპეციალური მომართვა, ხოლო ზოგჯერ მექანიზმის გადართვა თვით მანქანში.

საფაქტურო მანქანა შედგება საბეჭდი და საანგარიშო მექანიზმისაგან.

როდესაც საჭიროა ანგარიშის სათაურის, მისამართის, თარიღის, ნომრის, პირობითი ნიშნებისა და სხვ. დაბეჭდვა, სანგარიშო მექანიზმი გამორთულია მთავარი გამომრთველის მეორებით, ე. ი. გამომრთველი A-მდგომარეობაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ საფაქტურო მანქანა მუშაობს, როგორც ჩვეულებრივი საბეჭდი მანქანა.

სათაურისა და სხვ. დაბეჭდვის შემდეგ გამომრთველს აყენებენ E-მდგომარეობაში და საანგარიშო მექანიზმი

მიედინება მუდმივი ელექტროდენი ელექტროძრავების საკვებად.

სანგარიშო მექანიზმი მუშაობას იწყებს მაშინ, როცა კარეტი ანგარიშის ფორმულართან ერთად სამუშაო მდგომარეობაშია. სამუშაო მდგომარეობაში დაყენებისას საანგარიშო მექანიზმი ავტომატურად გამოიჩვის და საფაქტურო მანქანა მუშაობს როგორც საბეჭდი მანქანა. გრაფის „რაოდენობა“, „ფასი“, „რიცხვი“ შევსების წინ ყოველთვის ხელმძღვანელობენ ტაბულატორით. ამ უკანასკნელს იგივე დანიშნულება აქვს, რაც სხვადასხვა მნიშვნელობის რიცხვის ჩასწერად კარეტის სწორად დაყენებას.

ისეთი რიცხვის ჩაწერისას, რომელსაც მთელი სიღილის ორი ნიშანი აქვს (მაგ., 75, 25), თითო დააჭირებონ ტაბულატორის კლავიშს — 10, რიცხვის 45310,20 ჩაწერისას კლავიშს — 10000 და ა. შ. ამგვარად ტაბულატორის გამოყენებით შეიძლება ჩაიწეროს ყველა რიცხვი ერთობენისაზე მიყოლებით ისე, რომ ისინი ანგარიშის ფორმულარზე განლაგებული იქნებიან სწორად: ერთეულები ერთეულების ქვეშ, ათეულები ათეულების ქვეშ, ასეულები ასეულების ქვეშ და ა. შ.

რიცხვთა ასეთი განლაგება აუცილებელია არა მხოლოდ ანგარიშის გარეგნული სილამაზისათვის, არამედ, რაც მთავარია, მანქანის სწორად მუშაობისათვის. სანგარიშო მექანიზმი რიცხვს მიიღებს და სწორად შეკრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს რიცხვი ჩაწერილია ტაბულატორის მუშაობის წესის დაცვით.

საფაქტურო მანქანას აქვს სამი მრიცხველი, რომელიც განაწილებულია და რიცხვებს ლებულობს მათი შესაბამისი გრაფიდან.

მანქანზე მუშაობის დაწყების წინ მოწმდება ის, რომ მრიცხველებში წინათ წარმოებული განგარიშებიდან ჩარჩენილი არ იყოს რამე რიცხვი. ამისათვის ანგარიშის ახალი ბლანკის ჩადებამდე თითოეული რიცხვიდან გრაფიში თითოეული დააჭირებონ თითო სატაბულო კლავიშს C, მერე საბოლოო ჯამის კლავიშს. მაშინ იმ გრაფიში, სადაც მრიცხველები მუშაობს, აღიბეჭდება 00, რაც ნიშნავს, რომ მრიცხველები გაწმენდილია და შეიძლება ახალი ანგარიშის გამოწერა.

გამრავლების პროცესში სანგარიშო მექანიზმი ავტომატურად გამოერთვის საბეჭდ მანქანას, ამიტომ ჩაწერა რიცხვებისა, რომლებზეც გამოთვლის ოპერაცია სრულდება, აღარ შეიძლება. სამაგიეროდ ამ ღროს სრულიად თავისუფლად შესაძლებელია ანბანური ტექსტისა და მასში ჩართული ციფრობრივი სიღიღების ჩაბეჭდვა, რამდენადაც ისინი საანგარიშო ოპერაციას არ განეკუთვნებიან.

გამრავლების შედეგების ამოწერა ხდება ავტომატურად გამოთვლის რეზულტატის ტაბულარულ კლავიშზე — C თითის დაჭერით. ამ კლავიშზე თითის დაჭერის შედეგად კარეტი ავტომატურად დგება გრაფაზე „ბრუტო II“, რომელიც განკუთვნილია ნამრავლისათვის. ნამრავლი ჩაიწერება სვეტებში: „ბრუტო“ ან „ნეტო“.

ანგარიშის ერთ რომელიმე სვეტში, მაგალითად, „რაოდენობაში“ შეტანილი ყველა ციფრი თავს იყრის სპეციალურ მრიცხველში, რომელიც რიცხვებს ლებულობს სვეტიდან — „რაოდენობა“. ანალოგიური მრიცხველებია აგრეთვე სხვა ისეთი სვეტებისათვისაც, როგორიცაა „ბრუტო“ და „ნეტო“. მრიცხველებში დაგროვილი რიცხვითი სიღილეები აუცილებელია არა მხოლოდ მიღებული ჯამის ჩასაწერად, არამედ აგრეთვე ყოველგვარი პროცენტული სიღილეების გამოსაყვანად. მრიცხველში მომხდარი შენაგანის ჩაწერა ხდება ავტომატურად, რომლის დროს აუცილებელია სწორად დაყენებუ-

ლი იყოს მრიცხველთა 2 გამომრთველი, რომელიც განლაგებულია მანქანის მარცხნია მხარეს.

საბოლოო ჯამის მისაღებად ხდება ტაბულირება კლავიშზე — C და ვარსკვლავინ (*) კლავიშზე თითის დაჭერით. საბოლოო ჯამის აღმეჭდვის შემდეგ, მრიცხველი იეტომატურად ქრება და მზადაა ახალი სამუშაოს შესასრულებლად.

საფაქტურო მანქანაზე შეიძლება აგრეთვე მრიცხველში დაგროვილი რიცხვებიდან გამოკლებაც. ამისათვის გამოიყენება კლავიში — „მინუს“, რომელსაც თითის დაჭერება გამოკლებულ რიცხვის ჩაწერამდე. გამოკლების იპტერაციის დამთავრების შემდეგ ძირს დაწეული კლავიში — მინუსი ავტომატურად უბრუნდება საწყის მდგომარეობას.

გორის მტს-ში ჩამოყალიბებული სააღრიცხვო ბიუროს მუშაობის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ასეთ პირობებში საანგარიშო მანქანების გამოყენება სავსებით დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა.

ერთადესიანი გვინდოვა


მოწინავე ტექნიკის ქვეყნები დიდი ხანია ცდილობენ შექმნან ერთობლივი რეინიგზა. ამ მიმართებით უკვე მოპოვებულია პირველი მიღწეული: შექმნილა ერთობლივი რეინიგზის სხვადასხვა კონსტრუქციები. სურათზე თქვენ ხდავთ ერთობლივი მატარებლის შემადგენლობას რეინიგზის საცდელ ხაზზე ფილინგენში (ქ. კელნთან ახლოს).

მატარებელი ორგანიზაცია, იგი მოძრაობს ბენცინის ორი ძრავათი, რომელთან თოთოეულის სიმძლავრე 200 ც. მ-ს უდრის. ძრავები მოთავსებულია მემანქანის კაბინის ქვეშ. მატარებელი შეუძლია ერთდროულად 200 მგაზერი გადაიყვანოს.


რელსი წარმოადგენს ფოლადის მილს, რომლის დიამეტრი 0,71 მ-ს უდრის. როგორც სურათიდან ჩანს, რელსი დედამიწიზე როდია გაყვანილი, არამედ პაერში, დედამიწიდან 9 მ-ის სიმაღლეზე და ეკრდნობა 17 მეტრით დაცილებულ ბეტონის საყრდენებს, რომელთა სხვა ადგილზე გადატანა განსაკუთრებულ შრომას არ მოითხოვს. მატარებელს ორგანიზაციების ბორბლები აქვთ: მამოძრავებელი (8 ბორბალი) და წონასწორობის შემასრულებელი (16 ბორბალი). იგი აღჭურვილია საუკეთესო რესორს-

ბითა და მძლავრი მუხრუჭებით. შეი მჯდომი არ განიცდის არავითარ ჩყევას, არც მატარებლის დამახსიათებელი ხმაური ესმის. მატარებლის ასეთი მდოვრე და უხმაურო მოძრაობა ბორბლებზე რეზინის სალტევების შემორტყმით ქვე მიღწეული.

ერთობლივი გზის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ იგი პაერში მოძრაობს და არა ხელოვთზე, რის გამოც ხელს უწყობს თანამედროვე ქალაქების ქუნიძში გადატვირთული მოძრაობის მნიშვნელოვან განტვირთვას.



ფერის ფოტოგრაფი



8. ღონისძიებები

ფერად ფოტოგრაფიას იმთავითვე საფუძვლად დაედო სამცეროვანი მხედველობის პიონორება და მასი განვითარების მთელ მანძილზე ეს პრინციპი არ შეცვლილა. იცვლაბოდა და ვითარდებოდა მხოლოდ ხერხები და საშუალებანი ფერაბის მდიდარი გამის ძირითად ფერებად დაშლისა და შემდეგ კვლავ ფერადი ფოტოგრაფიას შეულების მიღებისა.

ამ სტატიაში მკითხველი ვერ ნახავს მისთვის საინტერესო ცნობებს ფერადი ფოტოგრაფიის ისტორიიდან. ატორს არც პრაქტიკული რჩევების მოცემა განუზრახავს ფოტომოყარულთა დახმარების მიზნით.

სტატია მიზნად ისახავს მკითხველს მისცემს საერთო წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ მიიღება ფერადი ფოტოსურათი მრავალშრიანი ფერადი ფოტომასალების გამოყენებით.

ავტორი გულისხმობს, რომ მისი მკითხველი შავ-თეთრ ფოტოგრაფიას უკვე დაუფლებულია.

რომ სამივე შუქფილტრი თანაბარი სიმუქისაა და სამივე მაშუქი თანაბარი რაოდენობის შუქს ფენს ეკრანს.

ლურჯი, მწვანე და წითელი — ძირითადი ფერებია. ამ ფერების წყვილ-წყვილად შეკრებით მიღებულ ცისფერს, ყვითელსა და მეწამულს დამატებით ფერებს უწოდებენ.

მართლაც, ცისფერი (ე. ი. ლურჯისა და მწვანის კრებული) წითელს რომ დაგამატოთ, კვლავ სამი ძირითადი ფერის ჭამს — თეთრ შუქს მიღიღებთ. ასევე ყვითლის დამატება ლურჯზე, ან მეწამულისა — მწვანეზე თეთრ შუქს იძლევა. ამიტომ იტყვინ: ცისფერი წითლის, ყვითელი ლურჯის, ხოლო მეწამული კი მწვანის დამატებითი ფერიაო.

ამავე ცდით შეიძლება დავრწმუნდეთ იმაშიც, რომ ძირითადი ფერების — ლურჯის, მწვანისა და წითლის — სხვადასხვა რაოდენობით შეზავების გზით შეიძლება სკექტრის ნებისმიერი ფერის მიღება. ფერების მიღების ამ ხერხს აღიტური ეწოდება, რადგან ლათინური additio დამატებას ნიშნავს.

არსებობს ფერების მიღების სხვა ხერხიც: თეთრი შუქიდან ფერების სათითაოდ გამორიცხვის გზით. თითო ძირითადი ფერის გამოკლება კი მხოლოდ დამატებითი ფერის შუქფილტრებით შეიძლება.

სპროექციონ მაშუქში ჩავდგათ ცისფერი შუქფილტრი. იგი მაშუქის ნათურის თეთრი სხივებს და გაატარებს ლურჯსა და მწვანეს, რომელთა ერთად ჭვრეტა ცისფერს გვაძლევს (ნახ. 2, ა). ყვითელი შუქფილტრი დააკავებს მხოლოდ ლურჯ სხივებს, მწვანესა და წითელს კი გაატარებს და შუქიც ყვითლად შეფერადდება (ნახ. 2, ბ). მეწამული შუქფილტრი შავანთქას მწვანეს, ხოლო ლურჯისა და წითლის გატარებიც მეწამული ფერის სხივებს მოგვცემს (ნახ. 2, გ). დამატებითი ფერების შუქფილტრებს ამის გამო მეორენაირად ასეც უწოდებენ: ცისფერ შუქფილტრს — „მინუს წითელს“, ყვითელ შუქფილტრს — „მინუს ლურჯს“ და მეწამულს კი — „მინუს მწვანეს“.

ახლა სამივე დამატებითი ფერის შუქფილტრი ერთმანეთს მიერთგათ ისე, როგორც 1-ლ ნახ-ზეა ნაჩვენები. დავინახავთ, რომ ეკრანის შუაში, იქ, სადაც სამივე კადრი ერთმანეთს დაემთხვა და სამივე ფერი შეიკრიბა, ეკრანი თეთრად განათდა. ლურჯისა და მწვანის დამთხვევის ადგილზე მივიღეთ ცისფერი, მწვანისა და წითლისაზე — ყვითელი, ხოლო წითლისა და ლურჯის შეკრებით — მეწამული ფერი (იგულისხმება,

ზოგი რამ ფერების შესახებ

ძეელთაგანვე ცნობილია, რომ სინათლის თეთრი შუქი ფერად სხივთა კონას წარმოადგენს. ამას ადასტურებს ფერადი სპექტრი, რომელიც პრიზმაში თეთრის სხივის დაშლის შედეგად მიიღება. ვიცით ისიც, რომ თეთრი შუქის მისაღებად სკექტრის ყველა ფერის ნაცვლად საკარისია მხოლოდ სამი ფერის — ლურჯი, მწვანე და წითელი სხივების შეკრება.

ეს აღვილი შესამოწმებელია.

ავილოთ სამი საპროექციო მაშუქი. ერთში ჩავდოთ ლურჯი შუქფილტრი, მეორეში — მწვანე და მესამეში — წითელი. სამივე მაშუქის ფერადი კადრების გამოსახულება თეთრ ეკრანზე შევათავსოთ ისე, როგორც 1-ლ ნახ-ზეა ნაჩვენები. დავინახავთ, რომ ეკრანის შუაში, იქ, სადაც სამივე კადრი ერთმანეთს დაემთხვა და სამივე ფერი შეიკრიბა, ეკრანი თეთრად განათდა. ლურჯისა და მწვანის დამთხვევის ადგილზე მივიღეთ ცისფერი, მწვანისა და წითლისაზე — ყვითელი, ხოლო წითლისა და ლურჯის შეკრებით — მეწამული ფერი (იგულისხმება,

ნები. თუ მათ დღის სინათლეზე გავხედავთ, დავინახავთ, რომ იქ, სადაც შუქფილტრები ერთმანეთს არ ფრაგს, ისინი თეთრი შუქიდან თითო-თითო ფერს შთანთქავენ და შესაბამისად ცისფერ, ყვითელ და მეწამულ ფერებს იძლევათ. იქ კი, სადაც ცისფერი და ყვითელი შუქფილტრი ერთიმეორეს დაემთხვა, მივიღეთ მწვანე ფერი; ყვითელი და მეწამული შუქფილტრის დამთხვევის ადგილზე — წითელი ფერი; მეწამულისა და ცისფერის ადგილზე — ლურჯი, ხოლო ის ადგილი, სადაც სამივე შუქფილტრი გადაელობა სხივებს, დაბნელებული დარჩა.

თუ რატომ მოხდა ეს, ადვილად გასაგებია: ცისუერმა და ყვითელმა შუქფილტრმა თეთრი შუქიდან შთანთქაორი ძირითადი ფერი — წითელი და ლურჯი, ხოლო მესამე — მწვანე მთლიანად გაატარა (ნახ. 4). ყვითელმა და მეწამულმა, ანუ „მინუს ლურჯმა“ და „მინუს მწვანემ“, გაატარა მხოლოდ წითელი სხივები. მეწამულმა და ცისფერმა კი, შთანთქა რა მწვანე და წითელი სხივები, მხოლოდ ლურჯი სხივი გაატარა. დაბნელებული ადგილი მივიღეთ იქ, სადაც სინათლის შუქს სამივე შუქფილტრი გადაელობა და შთანთქმულ იქნა თეთრი შუქის შემადგენლი სამივე ძირითადი ფერი.

დამტკიცებულია, რომ თეთრი სხივიდან სამი ძირითადი ფერის სხვადასხვა რაოდენობით გამოკლების საშუალებით შესაძლებელია ნებისმიერი ფერის მიღება. ფერების მიღების ამ ხერხს სუბტრაქტული ეწოდება. ლათინური *substrahere* გამორიცხვას ნიშნავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საღებავებით ფერების მიღებაც სუბტრაქტულად ხდება. ყოველ საღებავს განსაკუთრებული უნარი აქვს სინათლის თეთრი შუქიდან შთანთქოს ფერადი სხივების ერთი ნაწილი და გაატაროს, ან აირეკლოს მეორე.

სამი ძირითადი ფერის შეზავებით ყველა დანარჩენი ფერის მიღება საფუძვლად დაედო ფერად ფოტოგრაფიასც.

ამ ბოლო დროს ფოტომოყვარულთა შორის გარცელდა ფერადი ფოტოგრაფიერება მრავალშრიან ფერად ფოტომასალებზე. ეს მასალები საშუალებას იძლევა გადასალები აბიექტის ძირითად ფერებად დაშლა ვაწარმოთ სპეციალური ძეირფასი ფოტოაპარატურის გამოუყენებლად. გავეცნოთ მათ.

მრავალშრიანი ფერადი ფოტოაფსკი

მრავალშრიანი ფერადი ფოტოაფსკი ეჭვის შრისა-გან შედგება (ნახ. 5). აქედან შუქმგრძნობიარე ემულსია სამ შრეს შეიცავს. თითოეული მათგანი ერთ-ერთ ძირითად ფერისადმია გამგრძნობიარებული ანუ სენსიბილიზებული. გარეთა, ზედა შრე (ნახ. 5, a) არასენსიბილიზებულია და ამიტომ მხოლოდ ლურჯი სხივებისადმია მგრძნობიარე. შეა შრე (გ) ორტოქრომატულია, იგი მგრძნობიარეა მხოლოდ ლურჯისა და მწვანის მიმართ, ხოლო სულ ქვედა შრე (დ) პანქრომატულია და კარგად

გრძნობს ლურჯსაც და წითელ სხივებსაც. იმისათვი რომ ლურჯი სხივების მოქმედება ავარიიდოთ ქვედა ოშრეს, ზედა და შუა შრებს შორის მოთავსებულია ყვითელი შეფერილი კოლოიდური ვერცხლის ფენა (ბ), რომელიც ყვითელი შუქფილტრის დანიშნულებას ასრულებს, ე. ი. გამორიცხავს ლურჯ სხივებს და გაატარებს მხოლოდ მწვანესა და წითელს, რომლებიც შესაბამისაორტოქრომატულ და პანქრომატულ შრეებზე მოქმდებს ცალ-ცალკე. ამ თოხივე შრის საერთო სისქე 0,0 მმ-ს არ აღემატება. ეს შრეები დაფენილია ცელულოდის აფსუზე (ე), რომელსაც უკანა მხრიდან შარავანდს წინააღმდეგონ შრე (ვ) აქვს წასმული; მისი დანიშნულბა ცნობილია შავ-თეთრი ფოტოგრაფიიდან.

მაგალითის სიმარტივისათვის გადავიღოთ ფერადსაკალა, რომელიც სამ ძირითად და სამ დამატებით ფერი გარდა თეთრი, ნაცრისფერი და შავი უგრედების გან შედგება (ნახ. 6, a).


ცალდია, ძირითადი ფერები — ლურჯი, მწვანე, წითელი — ფოტოაფსკის შესაბამისი მგრძნობიარობის მქონე შრეებზე იმოქმედებს: ლურჯი — ზედა, არასენსიბილიზებულ შრეზე, მწვანე — შეა, ორტოქრომატულზე და წითელი — ქვედა, პანქრომატულზე. დამატებით ფერები — ცისფერი, ყვითელი და მეწამული, დაიშეარა შემაჯენერელ ორ ძირითად ფერად, ერთდღოულაორ შრეზე იმოქმედებს: ცისფერი (ლურჯისა და მწვანენარევი) — ზედა და შეა შრეზე; ყვითელი (მწვნისა და წითლის ნარევი) — შეა და ქვედა შრეზე, მეწამული (ლურჯისა და წითლის ნარევი) — ზედა და ქვედა შრეზე თეთრი უგრედი, სამივე ძირითადი ფერის თანაბარი ოდნობით შემცველი, სამივე შრეზე თანაბარი ძალით იმომედებს. ნაცრისფერიც სამივე შრეზე აღიბეჭდება, მხოლოდ უფრო მკრთალად; ხოლო შავი უგრედი კი არ ერთ შრეზე არ მოახდენს გავლენას.

როგორც ვხედავთ, შუქმგრძნობიარე ემულსი შრეებში ხდება გადასაღები ობიექტის ფერების დაშრამი ძირითად ფერად და მათი ცალ-ცალკე აღიბეჭდვა.


შუქმგრძნობიარე ემულსის შრეები ისეთნაირად დამზადებული, რომ ექსპონირებული ჰოლოიდური ვეტელი გამუღავნების შემდეგ დამატებით ფერში იღება: ზედა, ლურჯის მგრძნობიარე შრეში — ყვითლა შეა, მწვანის მგრძნობიარეში — მეწამულად და ქვედა წითლის მგრძნობიარეში — ცისფრად (ნახ. 6, I).

ყვითელი შუქფილტრი და შარავანდსაწინააღმდეგ შრე გამუღავნების შედეგად გაუჩინარდება.


მიღებული ნეგატივის შუქზე გახედვით დავინახავთ, რომ ლურჯი უგრედი ყვითლად გამოისახა, ცისფერი წითლად (ყვითელი და მეწამული ფერების გამორიცხვით მოქმედების შედეგად), მწვანე — მეწამულად, ყვა თელა — ლურჯად (მეწამულისა და ცისფრის გამორიცხვით მოქმედების შედეგად), წითელი — ცისფრად, მწამული — მწვანედ (ყვითლისა და ცისფრის გამორიცხვით მოქმედების შედეგად).



ნახ. 1. ფერების მიღების აღიტურების ხერხი: ძირითადი ფერების — ლურჯის, მწვანისა და წითლის — წუკილ-წუკოლად შექრება; გვაძლევს დამატებით ფერებს: ცისფერს, ყვითელს და მეწამულს. სამივე ძირითადი ფერის კრებული კი თვითია.




ნახ. 2. დამატებითი ფერების შუქფილტრების გამორჩევის ვიზუალური მოქმედება: ცისფერი შუქფილტრი გამორჩევს წითლო სხივებს, ყვითელი — ლურჯს და მეწამული — მწვანეს.




ნახ. 3. ფერების მიღების სუბტრაქტურის ხერხი: დამატებითი ფერების შუქფილტრების მიერ თეთრი შუქილან ფერების წუკილ-წუკოლად გამორჩევის შედეგად მიიღება ძირითადი ფერები. მაგრა ფერის გამორჩევით კი — შევი.






ნახ. 4. მწვანე ფერის მიღება სუბტრაქტულაზ
კოსფერმა შუქფილტრმა შთანთქა წითელი სხივები. ცვითელმა —
ლურჯი. ორივემ მხოლოდ მწვანე სხივები გაატარა.



ნახ. 5. მრავალ შრიანი ფერადი ფოტოფასკების
ჭრილი: პ, გ და ღ—შუქმდნობიარე ემულსიის შრეები; პ—ლურ-
ჯის მგრძნობიარე (არასენსიბილიზებული); გ—მწვანის მგრძნობი-
არე (ორგოქრომატული); ღ—წითლის მგრძნობიარე (პანქრომატუ-
ლი); პ—ცვითელი შუქფილტრი; ე—ცელულოიდის აფსი; გ—ჰა-
რავანდსაწყნააღმდეგუ შრე.



ნახ. 6. ფერადი ნეგატივისა და პოზიტივის მიღება მრავალ შრიანი ფერადი ფოტომასალების
გამოყენებით: პ—გადასაღები ობიექტი — ფერადი სკალა; გ—ფერადი სკალის ნეგატივი გამოსახულება მრავალშრან ფე-
რად ფოტოაფსეზე; ღ—ფერადი სკალის პოზიტიური გამოსახულება მრავალშრან ფერად ფოტოქაღალდზე. 1—ფერადი ნეგატივის შუქ-
მდნობიარე ემულსიის შრეები ფერადი სკალის ნაწილობრივი გამოსახულებებით დამატებით ფერებში; 11—ფერადი პოზიტივის
შუქმდნობიარე ემულსიის შრეები ფერადი სკალის ნაწილობრივი გამოსახულებებით დამატებით ფერებში

ხეითი მოქმედების შედეგად), თეთრი—შავაღ და ნაც-
რისლერი—წაცრისფრად (სამივე შრეში მიღებული და-
მატებითი ფერების გამორიცხვითი მოქმედების შედე-
გალ). შვა უჩრედს კი შუქმერძნობიარე ემულსაზე კვა-
ლი არ დაუჩენია და მისი ადგილი გამჭვირვალედ დარჩა.

ამრიგად, ფერადი ნეგატივი წარმოადგენს გადაღე-
ბული ობიექტის სამი ძირითადი ფერის შესატყვეს დამა-
ტებით ფერებში მოცემულ ნაწილობრივ გამოსახულება-
თა კრებულს.

ფერადი ფოტოსურათების ბეჭდვა (პოზიტივის მი-
ღება) ხდება ისევე, როგორც შავ-თეთრ ფოტოგრაფია-
ში — კონტაქტურად ან გამაღილებლის საშუალებით.

ფერადი ფოტოსურათის მისაღებად იხმარება

მრავალშრიანი ფერადი ფოტოქაღალდი

მრავალშრიანი ფერადი ფოტოქაღალდი მხოლოდ
ხუთი შრისაგან შედგება. აქ ალარ გვაქვს შარავანდსაწი-
ნააღმდეგო შრე. შუქმერძნობიარე ემულსის შედგენი-
ლობა არ შეცვლილა და იგი ნაცვლად აფსკისა დაფენი-
ლია მაღალი ხარისხის ფოტოქაღალდზე.

ექსპონირებული ქაღალდის გამუღავნების შემდეგ
შუქმერძნობიარე ემულსის შრეებში მიიღება ფერადი

ნეგატივის სამი ძირითადი ფერის შესატყვეს დამატებით
ფერებში მოცემული ფერადი ობიექტის ნაწილობრივი
გატოსახულებანი (ნახ. 6, II), რომელთა ერთდროული
ჰქონება ფერადი სკალის პოზიტიურ გამოსახულებას იძ-
ლევა. აქაც ფერების წარმოქმნა სამი დამატებითი ფერის
სუბტრაქტული მოქმედების შედეგად ხდება.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ამ ხერხით მიღებული
ფერადი ფოტოსურათი არ ასახავს გადასაღებ ობიექტს
ბუნებრივ ფერებში, ის მხოლოდ მსგავსია მისი. მსგავსე-
ბის მიღწევა კი შეიძლება ბეჭდვის დროს მაკორექტირე-
ბელი ფილტრების გამოყენებით. ამ საკითხზე აქ არ შე-
ვჩერდებით. მაკორექტირებელი ფილტრების გამოყენე-
ბა საკმაოდ რთული საქმეა და ფოტომოყვარული მას
პრაქტიკულად კარგად უნდა დაეუფლოს.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ რომელიმე ფერის ზელ-
მიწევნით მიშვავსება ბუნებრივ ფერთან ხდება სხვა და-
ნარჩენ ფერთა დამახინჯების ხარჯზე. ამიტომ მაღალხა-
რისხოვანი ფერადი ფოტოსურათების მიღება ბერად
არის დამოკიდებული ფოტომოყვარულის დახელოვნება-
ზე, მის მხატვრულ გემოვნებასა და ფერთა შეგრძების
უნარზე.

ს ა ტ რ ა ქ ტ ი რ მ ა მ ც ე

გზებისა და ხიდების მშენებლობის დროს
ერთ-ერთი „გიტრო“ ადგილია რკინაბეტონისა
და ლითონის კონსტრუქციების მიმმწირნიანი
ელექტრების დატვირთვა. ხშირად ეს იქ-
რაციები ხელით ხდება, რადგან მრეწველობის
მიერ გამოშვებული საავტომობილო და სატ-
რაქტორო აწყების გამოყენება მანქანა-საგ-
ზაო სადგურებზე, რომელთაც დასატვირთი
საშშაოების შედარებით ნაკლები მოცულობა
აქვთ, არარაციონალურია. უკრაინის სსრ სა-
ექიმობოლო ტრანსპორტისა და გზატკეცი-
ლების სამინისტროს მიწის სამშაოთა მექა-
ნიზაციის ტრესტის მუშაკებმა დამშავებეს,
დამზადეს და საწარმოო პირობებში გამო-
ცდეს ამწე ტრაქტორ C-80-ს გაზაზე.

ამ ამწეს ტვირთშიდაობაა 5 ტ, ისრის
ამწეის მაქსიმალური სიმაღლე — 4 მ, ისრის
გაზოშევა — 7,86 მ.


სატრაქტორო ამწის საკიდი მოწყობილობა
შემდევი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ის-
რები (ბლოკებით ტვირთისა და ისრების ასა-
წევად), სატრაქტორი კაცი, საყრდენი საგორუ-
ვი და ორდონიანი ჯაღამბარი D-148B.

კაცებისა და ისრების ამწევა და დაშვება
ხორციელდება D-148B ორდონიანი ჯაღამ-
ბრის მშევრით, რომელიც მოქმედებაში მო-
დის ტრაქტორის ძრავათი. ამწეს დამზადება
და ექსპლოატაცია მარტივია.

ექსპლოატაციის პროცესში საკიდი ამწეს

მონტაჟისა და დემონტაჟისათვის საჭიროა
10-15 წუთი.

ასალი სატრაქტორო ამწე წერტატებით შე-
შაობს ჩერნიგოვის მანქანა-საგზაო სადგურ-
ში. ამჟამად დაწყებულია სატრაქტორო ამწე-
ების სერიული გამოშვება.



ჩეხისლოვაკური ჭირელი

პროფესია 3. განვითარები

ჩეხისლოვაკური დიზელები მთელ მსოფლიოში გან-
თქმულია. ისინი გამოირჩევა როგორც კომპაქტური, გამ-
ძლე და საიმედო ძრავები. ყოველივე ეს დადასტურდა
ჩეხისლოვაკური დიზელების გამოფენაზე, რომელიც გა-
სული წლის დამლევს მოეწყო მოსკოვში, გორკის სახე-
ლობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტო-
რიაზე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სტაციონარული
და სატრანსპორტო ტიპის ძრავების საუკეთესო ნიმუშე-
ბი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ათასობით მეცნიერ მუ-
შაკმა და კონსტრუქტორმა დაათვალიერეს და მაღალი
შეფასება მისცეს ჩეხისლოვაკიის მანქანათმშენებლობის
ამ ძვირფას პროდუქციას.

დიზელის ძრავების ცილინდრებში შეიწოვება და
შემდეგ იუმშება სუფთა ჰაერი; ძლიერი კუმშვისაგან
მაღალ ტემპერატურამდე გახურებულ ჰაერში წარმოებს
საწვავის შეფრქვევა, რომელიც თვითაალების გამო იწ-
ყებს წვის და ძრავას მუშაობისათვის საჭირო სითბოს
გამოყოფას.

წვის პროცესის ნორმალური მიმღინარეობისათვის
საჭიროა ცილინდრში მიწოდებული საწვავის ძლიერ
წმინდად გაფრქვევა, რაც შესაძლებელია მხოლოდ შეფ-
რქვევის მაღალი სიჩქარეების დროს.

ამრიგად დიზელის მუშაობისათვის საჭიროა მცირე
რაოდენობის საწვავის დიდი სიჩქარით შეფრქვევა. ცხა-
დია, ასეთ პირობებში გამფრქვევის დიამეტრი ძლიერ
მცირე გამოვა. რაც უფრო პატარაა ძრავა, მით უფრო
მცირეა ერთჯერად მისაწოდებელი საწვავის რაოდენობა
და გამფრქვევის დიამეტრი. სწორედ ესაა იმის ერთ-ერ-
თი მიზეზი, რომ მცირე სიმძლავრის უკომპრესორო დი-
ზელების განხორციელება მეტად რთულ ტექნიკურ ამო-
ცანას წარმოადგენს.


ამ მხრივ ჩეხისლოვაკიის ძრავათმშენებლობას დი-
დი მიღწევები აქვს. მათი მრეწველობა უშვებს 5-დან
2500-მდე ძალან დიზელის ძრავებს.

1 ნახ-ზე წარმოდგენილია 1s 100A ტიპის ერთცი-
ლინდრიანი დიზელი „სლავია“, რომელიც წუთში ათასი

ბრუნის ღროს 6 ცხ. ძ-ს ავითარებს. იგი გამოირჩევა
მძიმე საექსპლოატაციო პირობებში საიმედო და ხან-
გრძლივი მუშაობით. ძრავას აქვს წვის გრიგალური კა-
მერა; ამუშავება ხდება ხელით.

მე-2 ნახ-ზე ნაჩენებია გადასატანი ელექტრო-სა-
დიზელო აგრეგატი, რომელიც გამოირჩევა თავისი კომ-
პაქტურობით. მისი სიმძლავრეა 7,5 კვტ.


ჩეხისლოვაკური დიზელების განსაკუთრებული თა-
ვისებურებაა ასაწყობი მუხლა ლილვების გამოყენება.
საქმე ისაა, რომ რთული კონფიგურაციის გამო მრავალ-



ნახ. 1.

ცილინდრიან ძრავას ჩეულებრივი კონსტრუქციის მუხლა ლილვებისათვის საყრდენებად შეუძლებელი ხდება ცურვის საკისრების შეცვლა გორვის საკისრებით.

ამავე ღროს ცნობილია, რომ გორვის საკისრების გამოყენებას დიდი ეკონომიური ეფექტის მოცემა შეუძლებელი იყო ეკონომიური ეფექტის მოცემა შეუძლებელი — ჩაბერვას.




ნახ. 2

ლია, რადგანაც ხეხვის მუშაობა ამ შემთხვევაში ბევრად უფრო ნაკლები იქნება, ვიღრე ცურვის საკისრების გამოყენებისას.

ხეხვის მუშაობის შემცირება ზრდის ძრავას სასარგებლო მუშაობას; გარდა ამისა ცვეთის შემცირების გამო მატულობს. ძრავას ურემონტოდ მუშაობის ვადა და ამასთანავე ძრავას ამუშავებისას აღვილდება მისი საწყისი ბრუნვა.

ეს საკითხი ჩეხოსლოვაკელმა ძრავათმშენებლებმა დალექული ელემენტებისაგან შედგენილი ასაწყობი მუხლა ლილვის გამოყენებით გადაწყვიტეს.

ამჟამად ასაწყობ ლილვებს ამზადებენ ქარხნები „შკოდა“, „ტატრა“ და პრალის საავტომობილო ქარხანა.




ნახ. 3

მე-3 ნახ.-ზე ნაჩვენებია „შკოდას“ კონსტრუქციის ექვსცილინდრიანი ძრავას ასაწყობი მუხლა ლილვის ხედი.

ოთხტაქტიანი დიზელების მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცილინდრებში ჰაერის იძულებით დაჭირენას, ან როგორც მას უწოდებენ — ჩაბერვას.

ჩაბერვა განსაკუთრებით ხელსაყრელია მაშინ, თუ დამტკირების კომპრიესორის აძვრისათვის გამოყენებული იქნება ძრავას ცილინდრებიდან გამომავალი, განსაზღვრული წნევის მქონე ცხელი აირები. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ნამუშევარი აირების ენერგია, რომე-



ნახ. 4


ლიც ჩეულებრივ ძრავებში გამოუყენებელი რჩება და სითბოს სახით მისდევს ატმოსფეროში გამოდენილ აირებს.

აღნიშნული მიზნებისათვის ჩეხოსლოვაკურ დიზელებში მოწყობილია ორიგინალური კონსტრუქციის ტურბოკომპრესორი. მე-4 ნახ.-ზე ნაჩვენებია K12V170DR მარკის ტურბოკომპრესორული ჩაბერვის მქონე 12 ცილინდრიანი V-ს მაგვარი ძრავას ხედი.

1400 ბრ./წ.-ის ღროს ძრავა ავითარებს 700 ც. ძ.-ს. მას ორი ტურბოკომპრესორი აქვს, ცალ-ცალკე მარჯვენა

და მარცხენა მხარეებისათვის. მათი განლაგება კარგად მოჩანს მე-4 ნახ-ზე.


ტურბოკომპრესორული ჩაბერვის განხორციელების გამო და ნამუშევარი აირების ენერგიის გამოყენების შედეგად ძრავა მაღალი ეკონომიურობით ხასიათდება. მის-



ნახ. 5

თვის საწვავის კუთრი ხარჯი 175 გ/ც. ძ.-ს შეადგენს.

ჩეხოსლოვაკური დიზელებისათვის გამოყენებული ტურბოკომპრესორი შედგენილია ერთსაფეხურიანი რადიალური კომპრესორისა და ერთსაფეხურიანი ლერძული ტურბინისაგან, რომლებიც განლაგებულია ერთ ლილვზე.




ნახ. 6

ლილვის საყრდენები წარმოადგენს გორვის საკისრებს, რომლებსაც შეუძლია კარგად გაუძლოს მაღალ ბრუნთა რიცხვებს.

ტურბოკომპრესორის გარცმი ძლიერ კომპაქტურია; ის ჩამოსხმულია თუჭისაგან.

მე-5 ნახ-ზე ნაჩვენებია ტურბოკომპრესორის გარცმის საერთო ხედი, ხოლო მე-6 ნახ-ზე — ძირითადი ლილვი ტურბინითა და კომპრესორით. აირის ტურბინა მოთავსებულია ლილვის მარცხენა, ხოლო კომპრესორი — ლილვის მარჯვენა მხარეს (ნახ. 6).

ჩეხოსლოვაკურ დიზელებში ძირითადად გავრცელებულია გრიგალურკამერიანი კონსტრუქციები; მათთან



ნახ. 7

ერთად, განსაკუთრებით დიდი სიმძლავრის ძრავებისათვის, წარმატებით გამოიყენება საწვავის უშუალო შეფრქვევაც.

მე-7 ნახ-ზე ნაჩვენებია 8-ცილინდრიანი სტაციონარული ძრავა K8s310DR, რომლის სიმძლავრე 1800 ც. ძ.-ს შეადგენს. ცილინდრის დიამეტრია 310 მმ, ხოლო დგუშის სკლა — 360 მმ. სამუშაო ნარევის შექმნა განხორციელებულია საწვავის უშუალო შეფრქვევით.

ჩეხოსლოვაკიის ძრავათმშენებელი ქარხნები უშვებენ 38 მოდელის სხვადასხვა ძრავებს, რომლებიც გავრცელებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

უნიკალური მარტინ გამოყენების განვითარების სამსახური

ნეიტრონებით ურანის ბირთვის გახლეჩა ატომური ენერგიის ისეთი გამოყენების საშუალებას იძლევა, რომელიც 25-30 წლის შინაგან ბევრს „უიულ ენერგიის ოცნება“ მიაჩნდა. მით უმეტეს, ბირთვული ფიზიკის ჩასახისას არავის ეგონა, რომ შესაძლებელი გახდებოდა ატომური ბირთვის შინაგანი ენერგიის განთავისუფლება და გამოყენება. ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი. რეზერვორიდან, რომელიც ითვლება ბირთვული ფიზიკის შემქმნელად და რომელმაც პირველმა ლაბორატორიულ პირობებში განახორციელა ბირთვული რეაქცია, ბირთვის შინაგანი ენერგიის გამოყენება იღუზიად მიიჩნია. ამიტომ მ. ჰანმა და ფ. შტრასმანმა 1939 წ. ნამდვილი სენსაცია მოახდინეს, როდესაც დამტკიცეს, რომ ნეიტრონებით ურანის დაყუმბარების დროს მიიღება ბარიუმის იზოტოპი.

რაში მდგომარეობს ამ მოვლენის არსი, მისი აღმოჩენის მნიშვნელობა? ყოველი ატომის ბირთვი შედგება ნეიტრონებისა და პროტონებისაგან. ნეიტრონები ელექტრულად ნეიტრალური ნაწილაკებია, ხოლო პროტონები კი დადგითად დამტკიცულ ნაწილაკებს წარმოადგენს. ამიტომ პროტონებს შორის აღგილი აქვს განზიდვას. მაგრამ, გარდა ამ განზიდვის ძალებისა, როგორც პროტონებს, ასევე ნეიტრონებსა და ნეიტრონებსა და პროტონებს შორის, მოქმედებს სპეციფიური ბირთვული ძალები. ეს ძალები იმდენად დიდია, რომ მიუხედავად პროტონებს შორის არსებული განზიდვისა, ატომური ბირთვები არ იშლება. პირიქით, მათ დასაშლელად საჭიროა დავხარჯოთ დიდი ენერგია, რომელსაც ბირთვის ბმის ენერგია ეწოდება.

ბირთვების მდგრადობა დამოკიდებულია ელექტრულ (ანუ როგორც მათ სხვანაირად უწოდებენ — კულონურ) ძალებსა და ბირთვულ ძალებს შორის არსებულ თანაფარდობაზე. ეს თანაფარდობა ისეთია, რომ მსუბუქი და საშუალებო წონის ბირთვები ძალიან მდგრადია. უფრო მძიმე ბირთვები, განსაუთრებით კი ბირთვები, რომლებიც მენდელეევის სისტემაში ბოლო აღგილებზე იმყოფება, ნაკლებად მდგრადია და, მაშასადამე, მათ დასაშლელად ნაკლები ენერგიის დახარჯვაა საჭირო. ეს სავსებით მოსალოდნელია, რადგან ბირთვის წონის ზრდასთან ერთად იზრდება მასში შემავალ პრო-

ტონთა რიცხვი, რაც თავის მხრივ იწვევს განზიდვის ძალების ზრდას.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები საფუძველს იძლევა მოველოდეთ პროტონებისა და ნეიტრონების ისეთი კრიტიკული რიცხვის არსებობას, რომ შესაბამისი ბირთვის დასაშლელად ენერგიის დახარჯვა საჭირო აღარ იქნება. ცხადია, ბირთვები პროტონებისა და ნეიტრონების ამგვარი კრიტიკული რიცხვით მენდელეევის სისტემაში განლაგებული უნდა იყოს ყველა სტაბილური ბირთვის შემდეგ.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მივაჭიროთ ყურადღება. ბირთვული ძალების სპეციფიკა ისეთია, რომ პირველ მიახლოებაში ბირთვი შეიძლება მივამსგავსოთ სითხის წვეთს. ეს ანალოგია საკმაოდ ღრმაა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მის ერთ მხარეზე შევჩერდებით. მსგავსად სითხის წვეთისა, ატომის ბირთვს გააჩნია ზედაპირი, რომელიც შესაბამისი ენერგიით ხსიათდება. ამ ზედაპირული ენერგიის სიდიდე დამოკიდებულია ზედაპირის ფორმაზე; მას ბირთვის საერთო ენერგიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

ძალიან ზოგადი პრინციპების თანახმად, ატომის ბირთვს ძირითად მდგომარეობაში ისეთი ფორმა უნდა ჰქონდეს, რომ იგი ენერგეტიკულად ცველაზე ხელსაყრელი იყოს. ამ მოთხოვნის თანახმად, მსუბუქ ბირთვებს სფერული ფორმა უნდა ჰქონდეს. მაგრამ მძიმე ბირთვების შემთხვევაში, სადაც კულონური ურთიერთქმედება გადამწყვეტ როლს ასრულებს, სურათი იცვლება. ამ შემთხვევაში სფერული ფორმა ენერგეტიკულად ხელსაყრელი აღარ არის; სახელდობრ, მძიმე ბირთვები წაგრძელებული ფორმისაა.

როგორც აღვნიშნეთ, თუ ბირთვში შემავალი ნეიტრონებისა და პროტონების რიცხვი კრიტიკულს აღემატება, უნდა მოხდეს ბირთვის გახლეჩა უფრო მსუბუქ ნაწილებად. ახლა უკვე ცხადია, რომ ეს გახლეჩა მოხდება ნახატზე ნაჩვენებ ვიწრო ყელთან (იხ. გარეკანის 1-ლ გვ-ზე ქვედა ნახ.). თუ ნეიტრონებისა და პროტონების რიცხვი კრიტიკულზე ნაკლებია, საჭირო იქნება დამტებითი ენერგია — აგნების ენერგია — ამ ყელის გასწყვეტად. ეს დამატებითი ენერგია შეიძლება გადავცეთ ბირთვს, მაგალითად, ნეიტრონებით მისი დაყუმბარების საშუალებით (იხ. გარეკანის მე-4 გვ.).

асе тоюа ჰანისა და შტრასმანის მიერ აღმოჩენილი მოვლენის, ბირთვების დაყოფის, თვისობრივი სურათი.

ამ აღმოჩენის მნიშვნელობა ძირითადად გაძირობებულია აღწერილი მოვლენის ორი ძირითადი თვისებით.

1) გაყოფისას თავისუფლდება ძალიან დიდი ენერგია. მაგალითად, ერთ გრამ ურანში შემავალი ყველა ბირთვის დაყოფისას თავისუფლდება იმდენივე ენერგია, რამდენიც 2,5 ტ ქვანახშირის დაწვისას; 2) გაყოფისას შედარებით მსუბუქ ბირთვებთან ერთად ჩნდება 2-3 თავისუფლალი ნეიტრონი.

აზრი თავისუფლი ნეიტრონების შესახებ პირველად გამოთქვა ე. ფერმიმ 1939 წლის 26 იანვარს ვაშინგტონში თეორიული ფიზიკის კონფერენციაზე. ამ იდეას უდიდესი მნიშვნელობა პერიდა, რადგანაც აქედან ნათლად გამომდინარეობდა ჯავური რეაქციის შესაძლებლობა. ამ პერიოდიდან ყველა ქვეყანაში დაიწყო ინტენსიური მუშაობა ახალი მიმართულებით.

დღეისათვის ეს მოვლენა არა მარტო თვისობრივად, არამედ რაოდენობრივადაც საკმაოდ კარგადაა შესწავლილი.

თ ბ რ ი ბ ი ლ ა მ ი

თ ბ რ ი ბ ი ლ ა მ ი

TY-114

ცნობილი თვითმფრინავების — TY-104, TY-104A და TY-110 — აგების შემდეგ საბჭოთა კონსტრუქტორები განაგრძობდნენ მუშაობას დიდი ტეირომზიდაობისა და შორი ფრენის ჩქარული რეაქტიული თვითმფრინავების შესაქმნელად და მათ შექმნეს ახალი საჰაერო ხომალდი TY-114. თავისი ზომებით, მგზავრთა რაოდენობისა და ტეირომზიდაობის მიხედვთ იგი ერთ-ერთი ყველაზე დიდია მსოფლიოში. უზარმაზარ მონობლანს ისრისმავარი ფრთხი აქვს. მასზე დადგმულია სოციალისტური შრომის გმირის 6. კუზნეცოვის კონსტრუქციის ოთხი მძლავრი ტურბორაქტიული ძრავა. თავისი სიმძლავრით ისინი ორჯერ აკარგებენ მსგავს ძრავებს, რომლებიც დადგმულია უცხოთის საჰაერო ხომალდებზე. აქედან ცხადია, რომ ახალი საბჭოთა თვითმფრინავი აგრეთვე ყველაზე სწრაფმავალ ტურბოხრანისან მანქანას წარმოადგენს.

TY-114 განკუთვნილია შიგა და საერთაშორისო სახებზე როგორც ტეირომზის გადასატანად, ისე მგზავრების გადასაყვანად. დიდი ტეირომზიდაობა, ფრენის სიშორე და სისწრაფე საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს ფრენის ღირებულება.

ნორმალური ვარიანტის ღროს თვითმფრინავს შეუძლია 170 მგზავრის გადაყვანა. ისინი მოთავსდებიან სამ სალონსა და ოთხ ცალკეულ კუპეში.

პირველ სალონში, რომელიც მფრინავთა კაბინის შემდეგაა, მოხერხებულ სავარძლებში ეტევა 41 მგზავრი; შემდეგაა სალონ-რესტო-

რანი, რომელშიც 48 ადგილია; მიმდევნოა ბუფეტი და ცალეული კუპები. თოთეულ მათგანში 6 საჯდომი და 3 საწოლი ადგილია. ბოლო სალონში 54 სავარძლელია.


არის სხვა ვარიანტებიც. ახლო ხაზებზე, მაგალითად — მოსკოვიდან სოჩიამდე, ყირიმიდან მინერალურ წყლებამდე — უმნიშვნელო შემჭიდროების ხარჯზე, რომელიც რეისის ხანმოკლეობის გამო შესამჩნევიც კი არ იქნება, თვითმფრინავი გადაიყვანს 220 მგზავრს, სამაგიეროდ შორეულ საკონტინენტოშორისო ხაზებზე ადგილების რაოდენობა 120-მდე მცირდება.

TY-114-ის ფუზელაჟი შესრულებულია ორსართულისან გარისგან. ზედა სართულს დაიკავებენ მგზავრები, ქვედას კი ტეირომზი. სამზარეულო მოწყობილია ქვედა სართულში, სადაც ორი მზარეული დამზადებს კერძებს. აქედან ლიფტის საშუალებით საჭმელი მიეწოდება.

დეპა მეორე სართულს და სამი გამყოლიცელ საუზმეს თუ სადროს მიიტანს აღვილზე. ჭამის შემდეგ ჭურჭელი გაიგზავნება ძველით. თვითმფრინავის სათავსოები ერთმანეთთან დაკავშირებულია ტელეფონით.

TY-114-ზე დადგმულია აეროსანავიგაციონი, რადიოსანავიგაციონი და აეტომატური პილოტირების უახლესი საშუალებანი, რაც შესაძლებლობას ქმნის ფრენა წარმოებულ იქნეს დღე-ღამის ნებისმიერ ღროს. დანადგარები, რომლებიც ყოველ სათავსოში მუდმივ წნევას, ტემპერატურას და ჰაერის სინოტივეს ინარჩუნებს, საშუალებას აძლევს მგზავრებს დიდი გადაღლის გარეშე გადაიტანს 10-12 საათისან ძირსდაუშევებილი გადაფრენა მოსკოვიდან ელადივოსტოკამდე, პეკინამდე, ტოკიომდე ან ნიუ-იორკამდე.

ამ მანქანის შექმნა — საბჭოთა ტექნიკური აზრის ახალი გამარჯვებაა.



ბროლი

გეოლოგი 6. გელუში

კავკასიის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი.

მთის ბროლი კვარცის ერთ-ერთი სახეს ხაობაა, რო-
მელიც უფერო, წყლისებრ გამჭვირვალე და მკაფიოდ
წარმოქმნილი კრისტალებით ხასიათდება.

ძველი ბერძნები მას კრისტალოსს უწოდებდნენ და
ოვლინენ ყინულად. რომელმაც ძლიერი გაყინვის გამო
თითქოს სამუდამოდ დაკარგა დნობის თვისება. არის ტო-
ტელე აღნიშნავდა, რომ „მთის ბროლი წარმოიშვება
წყლისგან, როცა იგი მთლიანად დაკარგას სითბოს“. ამ
აზრს იზიარებდა აგრეთვე განთქმული რომაელი ნატურა-
ლისტი პლინიუს უფროსი (80-იანი წლები ჩვენს წელთ-
აღრიცხვამდე), რომელიც წერდა: „მთის ბროლი ციური
სინესტისა და უწმინდესი თოვლისაგან იბადება“.

XIV საუკუნეში სწავლულებმა გამოთქვეს აზრი, ხო-
ლო რამდენიმე ხნის შემდევ საბოლოოდ დაადგინეს, რომ
მთის ბროლი წყლისებრ გამჭვირვალე ქვა და მას საერთო
არა აქეს რა წყლის გაქვევების პროცესთან.

ბუნებაში ყველა მინერალი ხასიათდება კრისტალური
ფორმით, რომლის მიხედვით ისინი სხვადასხვა სისტემე-
ბად იყოფიან. მთის ბროლი ე. წ. ჰერსაგონურ სისტემაში
კრისტალდება. კრისტალები წაგრძელებული და პრიზმუ-
ლი ფორმისაა. ისინი ბოლოვდებიან რომბოედრის წახნაგე-
ბით, რომლებიც თანაბარი განვითარების შემთხვევაში
თითქოს ექვსწახნაგოვან პირამიდას იძლევა.


გარეგნული იერის მიხედვით მთის ბროლის კრისტა-
ლები მრავალნაირია. ეს დამოკიდებულია ტემპერატურის
ცვალებადობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათი წარ-
მოშობის პროცესში. საერთოდ, იგი გვხვდება როგორც
ერთეული კრისტალების, ისე დრუზების ანუ კრისტალთა
ჯგუფების სახით. მათ აქვთ უმცირესი ან გიგანტური სი-
დიდე. მაგალითად, მაღალასკარის საბადოში მოპოვებული
ბროლის კრისტალების ზომა რამდენიმე სმ-დან რამდენი-
მე დც-მდე აღწევს. აღპებში კი ხშირია 70-90 სმ სიგ-
რძის კრისტალები, რომელთა წონა 130 კგ-ს აღწევს. ბრა-
ზილიაში გვხვდება 650 კგ-იანი კრისტალები. საბჭოთა
კუნძულში ნაპოვნია გამჭვირვალე კრისტალი, რომელიც 10
ტ-ს იწონის.

მთის ბროლი მეტად გამძლე მინერალია; მასზე სუს-
ტად მოქმედებს მხოლოდ ფტორის სიმჟავე. ლლობის ტემ-
პერატურა 1715°-მდე აღწევს. სხვადასხვა მინარევების
მეოხებით მთის ბროლი მრავალნაირ შეფერილობას დე-
ბულობს. არის იისური კვარცი — ამეთვისტო, მოყვითა-
ლო და მოოქროსფერი ელფერის კვარცი — ციტრინი, შა-
ვი, თითქმის არაგამჭვირვალე კვარცი — მორიონი, კვამ-
ლა მთის ბროლი — რაუხტოპაზი და სხვ.

მთის ბროლის კრისტალებს ახასიათებს ურთიერთ-
შეზრდა, რასაც მრჩობლები ეწოდება. კრისტალთა შენაზ-
რდების სხვადასხვაგვარობის გამო არჩევენ ე. წ. ღოფი-
ნურ, ბრაზილიურ და იაპონურ მრჩობლებს.

ოპტიკური თვისებებით მთის ბროლი ერთლერძიანი
კრისტალების ჯგუფს მიეკუთვნება. იგი ღიელექტრიკი
ანუ ელექტროლის ცუდი გამტარია; შეუძლია ულტრა-
ისფერი და ინფრაწითელი სტივების გატარება და ახასი-
ათებს პოლარიზაციის სიბრტყის ცვალებადობა.

გენეტიკურად მთის ბროლი ძირითადად დაკავშირე-
ბულია ძარღვულ ქანებთან ანუ ე. წ. ჰეგმატიტურ დაი-
კებთან. მიწის სიღრმეში არსებული ცხელი თხევადი მაგ-
მა დედამიწის ქერქის დაწოლისაგან დიდ წნევას განიც-
დის. წნევისა და ტემპერატურის გამო დროთა განმავლო-
ბაში ხდება მაგმიდან აქროლად ნივთიერებათა და წყლის



ნახ. 1. მთის ბროლის დრუზი

ორთქლის გამოყოფა. აირების მეტი რაოდენობით დაგროვება იწვევს წნევის მაქსიმალურ ზრდას. თუ ეს წნევა ძლევს გარეგან წნევას, მაგმა აღუღდება. განთავისუფლებული აირები და მაგმის ნარჩენები შეიჭრება დედამიწის



ნახ. 2. მთის ბროლის გიგანტური ზომის კრისტალი

ქერქის ნაპრალებში, საღაც იწყებს დაკრისტალებას და წარმოიშვება ე. წ. პეგმატიტური დაიკები.

პეგმატიტური ქანების სიცარიელებში ცხელი წყლებისა და მინერალიზატორების სიუხვე ხელს უწყობს სხვადასხვა მინერალთა, კერძოდ, მთის ბროლის კრისტალების წარმოქმნას და მათ ზრდას. პეგმატიტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ოვისებაა მათში მსხვილი, გიგანტური ზომის მინერალების არსებობა.

გარდა ამისა ბუნებაში მთის ბროლი დაკავშირებულია ქვიშაქვებთან, კვარციტებთან, გრანიტოიდებთან და სხვა ქანებთან. მიწის სილრმეში მაგმურ კერებთან დაკავშირებული ცხელი წყლები ანუ ჰიდროთერმები, რომლებსაც ახასიათებს მაღალი ტემპერატურა და სხვადასხვა ნივთიერებათა გახსნის დიდი უნარი, მოძრაობს კვარცით მჯიდარი ქანების: გრანიტების, გრანილიორიტების და სხვა მჟავე ქანების ნაპრალებში, ახდენს მისგან სილიციუმის გახსნას და გამოტანას. სილიციუმით გაჯერებული ცხელი ხსნარები შემდეგ შეიჭრება ქვიშაქვების, კვარციტების, გრანიტოიდების, თიხაფიქლების ნაპრალებში და სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების ზეგავლენით ამ ნაპრალების სიცარიელებში ხდება მისგან მთის ბროლის კრისტალების გამოყოფა. ხშირ შემთხვევაში ჰიდროთერმები წარმოქმნის კვარცის ძარღვებს, რომლებიც ქანებში არსებულ ნაპრალებს ავსებს. კვარცის ძარღვის შიგნითა ნაწილში ზოგჯერ არსებობს სიცარიელე, რომელშიც გამოყოფილია მთის ბროლის კრისტალები.

დედამიწაზე მთის ბროლის მრავალი საბადოა. მათგან უდიდესია ალპების, მაღაგასკარის და ბრაზილის საბადოები. ალპების მთის ბროლის საბადო შეეიცარის მაღალმთიან ზონაშია განლაგებული. იგი გეოლოგიურად დაკავშირებულია გრანიტებთან, გნეისებთან და სხვ. მეტე მაგმურ ქანებთან.

საბჭოთა კავშირში მიგნებულია მთის ბროლის ბევრი საბადო. მათი გავრცელების ადგილია ურალის ქედი, პოლარული ურალიდან (სამხრეთ ურალის ჩათვლით) ბაშკირეთის ასს რესპუბლიკამდე. გარდა ამისა იგი გვხვდება უკრაინაში, საქართველოში, დაღესტანში, ალტაისა და შუა აზიაში.

საქართველოში მთის ბროლის საბადოები განლაგებულია კავკასიონის ქედის მაღალმთიან ზონაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ყაზბეგის, ზემო სვანეთის და ზემო რაჭის საბადოები. აქედან პირველი ორი გეოლოგიურად დაკავშირებულია ე. წ. იურული პერიოდის ქანებთან.

ზემო რაჭის საბადო უკავშირდება ქვედა ცარცული ასაკის ქვიშაქვებს და ფიქლებს, რომლებიც დაიაზუბით და პორფირიტებით იკვეთება. საქართველოს მთის ბროლის საბადოთა დეტალური შესწავლა უკვე მიმდინარეობს და ახლო მომავალში გამოირკვევა მათი სამრეწველო ხასიათი.

ისეთი ძვირფასი თვისებების გამო, როგორიცაა გამჭვირვალობა, განსაკუთრებული სიმაგრე და სხვ., მთის ბროლი უძველესი დროიდან იხმარება. მისგან მრავალნაირ ძვირფას და ორიგინალურ ნივთებს ამზადებდნენ. სახელოსნო სამხატვრო საქმეში მთის ბროლის გამოყენება განსაკუთრებით განვითარდა X-XI საუკუნის ევროპაში. ბროლისაგან აკეთებდნენ: ურნებს, ბურთულებს, ბეჭდებს, ვაზებს, სხვადასხვა სახის ჭიქებს, სასმისებს, საფერივლებს, სამელნებსა და სხვ. ბევრი ასეთი ნივთი ინახება მუზეუმებში. ღღეს მთის ბროლის ძირითადად იყენებენ ოპტიკურ-მექანიკურ მრეწველობაში, რადიოტექნიკურ წარმოებაში საწახნაგო-საჯავიარჯო საქმეში და სხვ.

ზუსტ მექანიკურ წარმოებაში მთის ბროლი გამოიყენება ოპტიკური ხელსაწყოებისა და აგრეთვე სხვადასხვა დეტალების დასამზადებლად. ჩინეთში მას სათვალე მინისათვის ხმარობენ. კვარცის ერთ-ერთ სახესხვაობას — აქატს ფართო გამოყენება აქვს საყრდენი პრიზმების, საათის ქვებისა და მექანიზმებისათვის.

ამჟამად მთის ბროლის მთავარი მომხმარებელია რადიოტექნიკა. ბროლის კრისტალის განსაზღვრულ სიბრტყეზე გამოკვეთილმა ფირფიტებმა ე. წ. პირზოგვარცმა

დიდი გამოყენება პოვა ტექნიკის ამ დარგში. რადიოდაფ-
გმულობის რხევით კონტურში ჩართულ პირზოგვარცის
ფრიფიტას ამ კონტურის რხევის პერიოდი მისი საკუთარი



ნახ. 8. ვაზა, დამზადებული კვამდა მთის ბროლისაგან

რხევების მუდმივი პერიოდის შესაბამისობამდე მიჰყავს,
რაც რადიოპარატს სრულიად გარტვეული სიგრძის ტალ-
დების გადაცემისა და მიღების საშუალებას აძლევს.

საწახნავო-საჯავიარჯო საქმეში, როგორც აღვნიშ-
ნეთ, კვარცის გამჭვირვალე და სხვადასხვა ფერად შეფე-
რილი სახესხვაობები, როგორც ნახევრად ძვირფასი ქვა, უძველესი დროიდან იხმარება სხვადასხვა ნივთების და-
სამზადებლად. მთის ბროლი ფართოდ გამოიყენება მდნა-
რი კვარცის სახით ქიმიური ჭურჭლების დასამზადებლად.
მისგან ნაკეთები ჭურჭლები დიდი ცეცხლ და სიმძავე გამ-
ძლებით ხასიათდება. თუ ჩვენ ერთ ხელში ავიღებთ უბ-
რალო შუშის ნატეხს და მეორეში მთის ბროლს, დავინა-
ხავთ, რომ შუშა ძალიან მაღე გათხება და მთის ბროლი
კი დიდხანს ციგად რჩება; ან კიდევ, ყველასათვის ცნობი-
ლია. რომ უბრალო მინისაგან გაკეთებულ ცივ ჭიქაში თუ
ჩავასხამ მდუღარე წყალს, ან, პირიქით, თუ ცხელ ჭი-
ქაში ცივ წყალს ჩავასხამ, იგი გასკდება. ამის საწინა-
აღმდეგოდ მთის ბროლი შეგვიძლია გავახუროთ გავარვა-
რებამდე და ჩავაგლოთ ცივ წყალში — მას არაფერი მო-
უვა.

ყოველივე ეს გამოწვეულაა იმით, რომ მთის ბროლი
სითბოს კარგი გამტარია და მის სხეულში სითბო ერთნა-
ირად ნაწილდება. სწორედ ამიტომ, ძველი რომის მდი-
დარ ოჯახებში ჰქონდათ ბროლის ბირთვები, რომლებზეც
ხელებს იგრილებდნენ ცხელ დღეებში.


მთის ბროლის გამოყენების გზები, სფერო და მას-
შტაბი ყოველწლობით იზრდება. ამიტომ გეოლოგები მო-
წოდებულია სერიოზული მუშაობა აწარმოონ ახალი სა-
ბალოების გამოვლინების, შესწავლისა და ექსპლოატაცი-
ისათვის.

З П Л - 111

მიმდინარე წელს ლიხაჩევის სახელობის
მოსკოვის სავტომობილო ქარხანას განზრა-
ხული აქვს გამოუშვას მაღალი კლასის მსუ-
ბუქი ავტომობილი ვИЛ-111.

ვИЛ-111 შეიძლება მანქანაა. მასზე
დაგმულია 220 ძლამდე სიმძლავრის V-მაგ-
ნიტო რეაცილინდრისი ძრავა. მანქანის სიჩ-
ქარე უდრის 170 კმ-ს საათში.

ახალ ლიმუზინს მიმსიდველი გარეგნობა
აქვს. იგი ვИЛ-110-ზე უფრო დაბალია და
გრძელი. ამან განაპირობა არსებითი ცვლი-
ლებები შასისა და ძარას კონსტრუქციაში.





ჩოლოსი მუზიკა

(ვანგას გიკარი მოთხოვდა)

ა. ბასილაძე

ნ. ცუცქიჩიძესა

შესახუალი

დედამიწა სულ დიღი ოთხი წლის ვადით
დაუტოვეთ. ახლა კი ჩვენი გამგზავრების შემ-
დეგ იგი უკვე მეექვედ უვლის გარშემო მზეს
თავისი ორბიტის გასწვრივ.

საწყავის უმნიშვნელო მარაგი დარჩა, სურ-
სათი გამოილია. ჰაერი შეთხელდა... დედამიწა
კი ისევ შორსაა და ჩვენი ხსნა მხოლოდ „სას-
წაულს“ შეუძლია.

სასწაულები არ ხდება. მიუხედავად ამისა
ეყიპაჟი იმედს არ კარგავს და მშვიდად ეგე-
ბება თავის ხვედრს იმის შეგნებით, რომ ვან
პირნათლად შესარულა ნაკისრი საბრძოლო
დავალება, გააკეთა ყველაფერი, რისი გაკე-
თებაც შეიძლებოდა...

როგორ მივიდა ექსპედიცია ამ საბადისწე-
რო მდგომარეობამდე? ხომ არ იყო დაშვებუ-
ლი რამე შეცდომა? ხომ არ დარჩა გაუთვა-
ლისწინებელი უცხო და შორეული გზების
რომელიმე სიძნელე?

როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს ჩვენი
შეცდომა, ეყიპაჟი მანც დარწმუნებულია,
რომ ექსპედიციის ამოცანისათვის უმნიშვნე-
ლოა ის მსხვერპლი, რომელიც გაღებულ იქნა-

ამ მიზნის მისაღწევად. ასეთია ჩვენი აზრი...
მაგრამ, დაუ, მეოთხელმა განსაჯოს — შეგ-
ვეძლო თუ არა ჩვენ სხვანაირად მოვქცეული-
ყავით?

აი, თვით ეკიპაჟის თავგადასავალი:

ჩვენი გაფრენა მოხდა უფრო ადრე, ვიდრე
დამთავრდებოდა დედამიწის ხელოვნური სა-
კოსმოდრომო თანამგზავრის ავება და ავტო-
მატური რაკეტებით საბლანეტთაშორისო სივ-
რცის შესწავლის ფართო გეგმის განხორციე-
ლება.

წინასწარი დაზვერვისა და საფუძვლიანი
მომზადების გარეშე კოსმოსის არენაზე ძე-
ლად გასაბედი ნაბიჯის გადადგმა განაპირობა
ერთგვარად აუცილებელმა მიზეზმა. აუცილე-
ბობა და მოთხოვნილება კი ყოველთვის აჩ-
ქარებს ტენიკურ აროგრესს.

საცდელი პლანეტოპლანის დაპროექტების
დროს, როდესაც შემუშავდა ატომურ-იონური
რეაქტორი ელექტრომაგნიტური საფარით,
რაც საწყავის მცირე რაოდენობით კოსმოსში
ხანგრძლივი მოგზაურობის საშუალებას იძ-
ლეოდა, ცნობილმა ასტრონომმა, პროფესორ-
მა კეზელმა თავისი მძლავრი ელექტრო-

ტელესკოპით ახალი შორეული კომეტა აღ-
მოჩინა.

პროფესორის გამოთვლებით ეს კომეტა
დედამიწას უნდა შეხვედროდა სამხრეთ პო-
ლუსის არეში ირივე ციური სხეულის ორ-
ბიტთა ერთ უპანში დამთხვევის შედეგად.

ეს აღმოჩენა პროფესორმა პირველად თა-
ვისი ერთადროთ ქალიშვილის მეგობარს,
საცდელი პლანეტოპლანის ახალგაზრდა კონ-
სტრუქტორს ირაკლი ოდიშარს აცნობა და
მასთან ერთად გარკვეული სამოქმედო გეგ-
მაც შეიმუშავა.

მოხუცი ასტრონომის ცნობამ სამხრეთის
ზოგ ქვეყანაში გაზიადებული შიში გამოიწ-
ვია. ამიტომ საბლანეტთაშორისო ხომალდის
კონსტრუქტორებმა გადაწყვიტეს მძლავრი
ხომალდის აგება და მისი საშუალებით კეზე-
ლის კომეტის დამსხვრევა და გაფანტვა დედა-
მიწიდან შორს, რათა ყოველგვარი შიშის სა-
ფუძველი მოესპოთ. ამავე დროს ეს იქნებოდა
ბუნების ბრმა ძალებზე ადამიანის ძლიერების
ცხადყოფა და საბლანეტთაშორისო სივრცის
შესწავლის გაბეღული ცდა.

ამ გადაწყვეტილებამ დააჩქარა კოსმოსში
შორ მანძილზე პირველი გაფრენა.

ხომალდის შეცემა დაშეავრდა. მრავების შეშაბა, კორაცის სიმტკიცე და მთელი მოწყობილობები ლაბორატორიულად შემოწმდა. ჩატარდა წინასწარი წერთან. ხომალდი თბილისათვის საკარისი საჭრველით დატვირთა. სასტარტო ხელოვნური თანაზოგრის აგება დიდი ზომის მეტეორული სხეულისაგან მისი დაცვის პრობლემის სირთულის გამო ცოტათი დაგვიანდა. პირადი დაცვის საშუალებათა განმეორებითი შემოწმების დროც კი არ დარჩა. გაფრენის გადადება კი იქნებოდა უარის თქმა იმ საზეიმო აღმეტების, რომელიც საქვეყნოდ იქნა გამოცხადებული.

ეკიაჯი შედგა საპლანეტთაშორისო მოგზაურობის საკავშირო საზოგადოების, ძირითადად, საქართველოს ფილიალის ახალგაზრდა ერთულისატებისაგან. ექსპლიციის წევრების შეჩერვის დროს გადამწყვეტი სიტყვა საექი-

ორაკელი ოდიშარს ერთდღოულად დაეკისრა ხომალდის კაპიტნისა და ექსპლიციის უფროსის მოვალეობა.

მოვიდა გამგზავრების დროც დიდადი ხალხი შეიკრიბა გასაცილებლად. სახელდახულო მიტინგზე ჩვენი სიტყვები, ისე როგორც ჩვენი გული, აღსაცე იყო გაბედულებითა და სიმტკიცით... უკანასკნელად ექსპლიციებით ახლობლებს...

შორს დარჩა იმედიანი ღიმილი გაფიორებულ ძვირფას სახურე და შეკავებული ცრემლების ბრწყინვა სამყაროს სიგრცესავით უძირო თვალებში...

შემდეგ... დაცარილებული კოსმოდრომი, სიგარისებრი ბუმბურაზი ხომალდი განთავის მქრთალ შეუძე... ლურჯი ცა, რუხი ნისლოვანი მთები და სამშობლო მიწის დაუვიწყარი სურნელება...

თავი პირველი

ნახვამდის,

მშობლიურო მიწა!

1 აგვისტოს, დილით, მზის ამოსელის წინ, ხომალდმა სტარტი აიღო. დაყიდებული კიბის საფეხურები უკანასკნელად შეირხა ფეხები. სულ ბოლოს ამოვიდა კაპიტანი, რომელმაც გასცა პირველი კომანდა:

— აიღეთ კიბე, დახურეთ გასასლელი და შეიკრიბეთ მთავარ კაბინაში!

ბორტმექანიკოსმა ადვილად აკეცა მსუბუქი კიბე და პირველსავე ტაბურუში დაწყო, ფოლადის მძიმე ჰერმეტული კარები მტკიცედ დაკეტა. ჩვენ აველით ქიმზე, სამართავ და სათვალთვალო კოშკის წრიულ დარბაზში, სადაც დღის თერთი ნათურები ენთო.

კაპიტანმა ექიმის თანხლებით ჩაუარა ეკიპაჟს. იგი სათითად გვიყუჩებდა, თითქოს გვეკითხებოდა: „ხომ არ გადაიფიქრეთ? ჯერ კიდევ არის დრო“. ხომალდის ექიმი გვისინჯავდა პულსს, ნერვულ მდგომარეობას და თავს კმაყოფილებით არხევდა.

— კველაფერი რიგზეა, — თქვა ექიმმა. ჩვენ თავისუფლად ამოვისუნთქვთ.

კაპიტანმა ექიმს მაღლობა გადაუხადა, შემდეგ კი ჩვენ მოგვმართა:

— მეგობრებო, იწყება ჩვენი მოღვაწეობის ახალი პერიოდი. ექსპლიციის მიზანი თქვენოვის ცნობილია. ამოცანა, რომელიც ვიკირეთ, როული და საპატიოა. რომ ვთქვა, თოთოვის პასუხს აგებს თავის სამუშაო უბანზე საკუთარი თავით შეთქი, ეს არაფერს ნიშნავს. ღლებადან ჩვენ ერთი მთლიანი სიცოცხლის განუყოფელ ნაწილებს წარმოვადგენთ...

ექსპლიციმ შილო ყველაფერი, რაც მას სჭირდება. ხომალდის გამარჯვებით დაბრუნება მთლიანად ჩვენს კოლექტივზე დამოკიდებული. დიდხანს ვიქებით შორს საშობლოვან, მაგრამ ბოლომდე უნდა დაგრჩეთ მის ღირსეულ შვილებად.



„კველაფერი რიგზეა“ — თქვა ექიმმა

იმის გამო, რომ კოსმოსში მგზავრმა პირადი მოთხოვნილების საგნები თან უნდა ატაროს, ეკიპაჟის რიცხვი მინიმუმამდე იყო შეზღუდული, ხოლო ექსპლიციის წევრებს რამდენიმე სხვადასხვა სამუშაო პქნედათ მინდობილი.

კაპიტანის პირველი თანაშემწე, ჭროლათვალებიანი ქერა გოლათი ვლადისლავ მირონის ძე სლავსკი. შტურმანისა და რადისტის მოვალეობას ასრულებდა, საჭირო შემთხვევაში კი კაპიტანს სცვლიდა.

მეცრი იერის, მაგრამ საოცრად თავაზიანი პროფესორი ობელი, ექსპლიციის უფროსის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, განაგებდა ატომური ენერგიის ხარჯას, სამყაროს მავნე გამოსხივებისაგან ეკიპაჟის დაცვას და ატარებდა გარემოს ფიზიკურ მოვლენებზე დაკვირვებას.

ჩვენი ასტრონომი, ტიტე მესხი, აწარმოებდა ხომალდის გზის მუდმივ გაგნებას და გარესამყაროს ფოტოგრაფიულ და ვიზუალურ დამზერას. იგი ისეთი მხიარული და მოუსვერარი თანამგზავრი გამოდგა. რომ კველას უკვიდა — რატომ აირჩია მან ვარსკელავთ მრიცხველის პროფესია, რომელიც დამჯდარ და დინჯ მუშაობას მოითხოვს.

ხომალდის შეებელი ვეტერანი, ხასიათით ნამდგილი მუშა, გამრჯე და სიტყვამუნწიალეები ბორტმექანიკოსი და უფროსი ოსტატი იყო.

მოვიდა გამგზავრების დროც...

მომისიას მიეცა, რის გამოც ხომალდზე ერთმანეთთან ნაკლებად დახსლოებული ადამიანები მოხვდნენ.

გულაძი ქალები — ექსპედიციის ექიმი თინათინი, რომელშიც დახელოვნებული დოსტაქირის გულიციობა უსაზღვრო სინაზესთან იყო შეტყიცული, და მეოცნებე, რომანტიკული ლამარა, ქიმიკოსი, საკებებისა და ჰაერის წრებრინვისა და კონდიციონირების მეთვალყურე — ერთად განაგებდნენ ხომალდზე პიგინის დაცვას.

საქმის წარმოებასა და სამწერ ნაწილს გარდა, რომელიც ჩემს მოვალეობას შეადგენდა, ვეცნობდი და ვითვისებდი სხვა პროფესიებსაც ისე, როგორც დანარჩენები. უბდებრი შემთხვევის დროს უნდა შევგძლებოდა ერთმანეთის შეცდა. ასეთი იყო კაპიტნის დავალება.

ეკიპაჟის ყველაზე უმცროსი წევრი ბორტებანიკოსის შეილი პატარა გურამი, ხომალდის იუნგა, ჯანსალი და სერიოზული ბიჭუნა კაპიტანთან მეგობრობის წყალობით ხომალდის კონსტრუქციაში შესანიშნავად ერთმანეთის შეცდა. ასეთი იყო კაპიტნის დავალება.

ეკიპაჟის სხვა წევრების მსგავსად, მან საცდელი წერთნაც გაიარა. ბევრი გარაულობდა, რომ მოზარდები კოსმოსში მოგზაურობის სიძნელებს ღიღებზე უკეთ შეეგულებოდნენ. ამას გარდა კაპიტანს სხვა მოსაზრებაც ამოძრავებდა, როდესაც ცამეტი წლის ბიჭუნა ექსპედიციაში მიღებაზე დათანხმდა.

კაპიტანმა სიის მიხედვით გამოაცხადა თოთოვეული ჩევნგანის უფლება-მოვალეობა და თქვა:

— ექსპედიციის წევრები საკუთარი ხელმოწერით ადასტურებენ, რომ იცნობენ ექსპედიციის მიზანს, პირად ვალებულებებს, აგრძელებენ ხომალდზე არსებულ წესსა და რეზიმს, და მტკაცედ დაცავენ მათ.

წევრ დავადასტურეთ სრული შზადყოფნა — ბოლომდე დაგვეცვა ვალებულებანი, რომელსაც საბრძოლო ხომალდის წესდება ვაკისრებდა. ბოლოს კაპიტანმა გასცა განკარგულება:

— პულტიზე დარჩებიან შტურმანი და ბორტებანიკოსი. დანარჩენები დამცველი კოსტიუმებითა და სკაფანდრებით დაიკავებენ მათვის განკუთვნილ ადგილებს. მესამე გამაფრთხილებელ ნიშანზე მზადება დამთავრდეს და თოთოვეულისაგან შუქსიგნალით ეცნობოს შტურმან სლავეკის, რომელსაც სტარტის მიცემას გავალებ.

ერთ საათში ხომალდი დატოვებდა მიწას, რომელთანაც დაკავშირებული იყო მთელი ჩევნი წარსული ცხოვრება. წევრ დაგვეცვლა გამომშვიდობების ყრუ სევდა, საზეიმო და ამავე დროს მძიმე თვით ჩევნი ურყევი კაპიტანიც აღელდა, ამიტომ თქვა სამარშო ბრძნების ნაცვლად:

— ბენდირი გზა, ამხანაგბო!

კოსმოსში მოგზაურობის მთელ მარშრუტზე უძნელესი უბანია აფრენა, განსაკუთრებით ეკიპაჟისათვის. ორიოდე წუთში ხომალდმა უნდა მიაღწიოს ისეთ სიჩქარეს, რომელიც საჭიროა დედამიწის მიზიდულობის ძალის გადასალახავად. ეს კი საშიშ გადატვირთვას იწვევს. ორგანიზმს შეუძლია აიტანოს სიმძიმის გადიდება სულ დიდი 10-12-ჯერ, ისიც მხოლოდ პორიზონტულ მდგრამარებაში.

სამგზავრო დროის შეზღუდულობისა და ტრაექტორიის განსაზღვრულობის გამოსტარტიზე ისეთი აჩქარება უნდა გავვევითარებინა, რომ შემძეგ ინერციით მოძრაობა

გასხლტონის სიჩქარეზე 11,2 კმ/წარწერ შეჭრი, თითქმის მესამე კოსმოსურ სიჩქარემდე ყოფილიყო, რაც გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენდა.

წევრ ჩავიციოთ რეზინის სპეციალური ვიწრი კოსტიუმები, რომ გადატერითვის დროს გულს კიდურებიდან სისხლის ამძქაჩვა გაადგილებოდა. ნაწილი სკაფანდრებით ზეთის აუზში მითავსდა, ზოგი კი — ანევმატურ გვერდებაცეცილ რბილ საწოლებზე. სასიგნალო ნათურები რიგ-რიგად აენთო. ეკიპაჟი მზად იყო აფრენისათვის.

გასიმა სასტარტო განკარგულებები:

— დააყენეთ მაქსიმუმშიც კამერების ელექტრომაგნიტური ველი!

— არის მაქსიმუმშიც!

— ჩართეთ ავტოსტარტერი და სავარიონ გამომრთველი!

— მიციოთ უკანასკნელი გამაფრთხილებელი სიგნალი!

— გახსნით რეაქტორის მილსაჟენები!

— მომზადეთ!

ელვასავით გაიკიაფა უკანასკნელმა შუქსიგნალმა:

— სტარტი!..

და ერთაბად გაისმა ყრუ გრუხენი. როგორც მორეული კექა-ქუხილის მძლავრი ეხო; ხომალდი შეტორტვანდა; ძარღვებს ტყვიის სიმძიმით მოწვა სისხლი, საფეთქელი თითქოს გასკდა და თვალი ნაცრისფერმა ბინძმა დაფარა. გულშეკრდი ისე შეიკვეშა, რომ სუნთქვა გაჭირდა. თითოს განდრეაც შეუძლებელი იყო. საშინელი ძალით დაცემის შეგრძნება განუწყვეტლივ გრძელდებოდა.


გული ამოვარდნას ლამიბდა. სისხლი თითქოს კუნთებში უნდა ჩაქცეულიყო, აუტანელი გახდა ათეულჯერ გადიდებული საკუთარი წონა და დაუსრულებელი დარტყმა.

ერთბაზად სრულიად დავარგეთ წონა. უზრებში მიწერნარდა უსიამოვნო ზრიალი და თავპრუხევამაც გაიარა.

ხომალდს ზღვრული სიჩქარისათვის უკვე მიეღწია და გრიგალისებრ ქროლვას ინერციით განგრძობდა.

— როგორც ჩანს, პირველი დარტყმა ყველამ ადგილად გადაიტანა, — კმაყოფილებით შენიშვან კაპიტანმა, როდესაც ეკიპაჟი ისევ ერთად შეიკრიბა. შეწუხებული და დაფანტული სახეების მიუხედავად საექიმო შემოწმებამ დაადასტურა, რომ აფრენის მძიმე ეტაპი მშვიდობიანად დამთავრდა.

ზეთის კამერებში გადატვირთვა უფრო უმტკიცნეულ აღმიჩნდა, ვიდრე უძრავ და თვითმმარტინავ ანევმატურ საწოლებზე.



წევრ ჩავიციოთ რეზინის კოსტიუმები

— ბლანტ ზეთში სკაფანდრით ტივტივი ზეღვები სიფრთხილე ხომ არ იყო? — გამომწევები იყოთხა ლამარამ და ამით გამოაშარავა თავისი მიღებელისგან ძლიერი განცდებისადმი. — პირველი შთაბეჭდილებების მიხედვით რომანტიკული ჯერჯერობით არაფერია.

— სიფრთხილე სიცოცხლის დარჯია, — სერიოზულად შენიშვნა კაპიტანმა. — რაც შეეხება რომანტიკას, იგი ალბათ წინ არის და ვისურვოთ დარჩეს ჩვენი ხომალდის გარეთ.

თუ რა ყურადღება ექცევდა სიფრთხილეს ხომალდზე, ამის საუკეთესო მაგალითს ლიკატორული დანადგარი წარმოადგენდა.

ისე, როგორც ლამურა მიიკვლევს გზას ულტრაბეგერებით, ჩვენი ხომალდიც შემხვედრი მეტეორული სხეულების გამოსავლინებლად წინ სიერტეში მოკლე რაღიოტალლების იმპულსებს აგზივნდა. დაჯახების საშიშროების დროს ლიკატორი აკტომატურად ჩართავდა საჭტრვალო მექანიზმს და ხომალდს საფრთხეს აკიდებდა. გზის ეს მუშადმივი დაზვერა დაიწყო ატმოსფეროდან გამოსვლისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ზომის კოსმოსური სიჩარეებით მოხეტიალე შეტყოფული ქვები საცავოდ იშვიათია საპანეტთაშორისო „სიცარიელეში“.

პროფესორმა ექიმისა და ქიმიკოსის დახმარებით შემოწმა რეაქტორებიდან ხომალდში შემოწეული მავნე გამოსხივების დოზა. ასტრონომა თქვა, რომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიეცეს კოსმოსური სხივების ინტენსივობას.

— ნუ ჩაერევით სხვის საქმეში. — უთხა მას ლამარამ, — ამ საკითხში პროფესორს შეტი წონა აქვს.

— ჩენებ აქ ყველას ერთი წონა გვაქვს. — როგორიცად და იროვნულად თქვა ტიტებ.

— უფრო სწორი იქნება, რომ თქვათ, წონა მთლიანად დავკარგეთ, — შენიშვნა თავის შერიც პროფესორმა.

ასე დაწყობ მათ შორის პაექირბა, რომელიც მეგობრობის ზღვარს არ გასცილება, შეგრძინების დასასრულამდე გაგრძელდა.

ღრმად ჩამოვწიეთ გარსაცმის ქიმის დარჩები. ორვა, სქელი, ფერადი ილუმინატორებიდან დარბაზში უხვად შემოიჭრა მზის კაშ-

კაში სინათლე. გარეთ სრულიად შავი ცაშიუნილი იყო ვარსკვლავების გამსჭოლი ცეცხლოვანი წერტილებით. ხომალდის ბოლოსაკენ ბნელი სივრცის ფონზე ჩვენ დაინახეთ უცხო ნამგლისებრი უზარმაზარი ნათელი რკალი, რომელსაც ერთგვარი ლურჯი-მომწვან ფერი გადაკრავდა.

— მიწა!.. დედამიწა!.. — გაისმა აღტაცებული შეძახილები. — აი როგორია იგი შორიდან!

ერთბაშად ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ აგ ნახევრად ჩანელებულ სუკერიზე იპროდა და იმარჯვებდა სიცოცხლე, რომ იგი თვითონ ანათებდა ცველა სხივზე. უფრო ბრწყინვალე სინათლით — ალამინის შემოქმედი ვენიოთ.



— დედამიწა!.. აი როგორია იგი შორიდან...

— აგრე ხელოვნური თანამგზავრი! — წამოიძახა პატარა გურამამ და მიუთითა მოწითალო წერტილზე, რომელიც დედამიწის უხილავ ჩრდილში მიცოცავდა.

— საკოსმოდრომო თანამგზავრის აგებაც ალბათ ჩვენს დაბრუნებამდე დამთავრდება, — შევნიშვნე მე.

— დამთავრდება, თუ მსხვილი მეტეორული სხეულებისაგან თავდაცვის საიმედო საშუალებას მალე გამონახვენ.

ასტრონომის ეჭვის გამო პროფესორმა თქვა:

— ასეთ სხეულებთან შეხვედრა შეიძლება მოხდეს სულ დიდი სამ წელშია დაშვერი.

— სამაგიეროდ წამში ოცდაათი კილომეტრით და მეტი სიჩქარით მოხტიალე ქვები ფოლადის სქელ კადელში ისე თავისუფლად გაივლის, როგორც ხელით ნასროლი კენჭები სანის ბუშტში, — მიუგო ასტრონომმა და თავის ჭოგრს შავი სათვალეებით გახედა.

ლომის ეტლის ვარსკვლავებს შორის დამატარებულ პზინგარებდა თეთრი-მოყვითალო ფოლადისებრი დისკო, ღიასული მზე, სხივოსანი გვირგვინით და ვება ცეცხლოვანი პროტუბერანცებით. გავარვარებულ ფოტო-სკეროზე ცენტრთან უამოყრილი უწესრიგო ჩამუქებული წერტილები შავ დურბინში კარგად მოჩანდა. ლამარამ მათ მზის ხალები უწოდა.

— შესანიშნავია! — მოულოდნელი აღტაცებით წამოიძახა ჩვენმა ასტრონომმა. — ხალი!.. დღემზე ამ მზე ფორებს ლაქებს ეძახიან. ლაქა მზეზე! განა ჩვენი დედამიწისა და ჩვენი სიცოცხლის შობელსა და მფარველს მეტ პატივს არ უნდა ვცემდეთ?

აროფესორმა მისი აღტაცება არ გაიზიარა:

— ატომური ენერგიის ფართო გამოყენების შემდეგ მზის გარეშეც შეიძლება ცხოვრება.

— ამ ენერგიის სათავე, ისე როგორც ყველა სხვა ენერგიისა, მნათობებში არ უნდა ვეძიოთ? — გამომწვევად იყითხა ასტრონომმა.

— თუ პირიქით?.. — მოკლედ მოუჭრა თავაზიანა პროფესორმა.


პროველი ორიგინალური საუზიმის შემდეგ ეკიმის წინადაღებით ეკიაქმა დაისვენა. მორიგეობდენ ტიტე და პროფესორი.

ახლა ისინ მთელი დღე იყამათებონ — მზე იმიტომაა გავარვარებული, რომ მის წიაღში ბირთვული რეაქციები მიმდინარეობს, თუ ასეთი რეაქციები იმიტომ მიმდინარეობს, რომ მზე გავარვარებულია, — ვიჟიქე ჩემთვის. არც მომგონება, რომ აღარც დღე იყო საღმე, აღარც ლამე და მსუბუქი, პატროვანი ძილით დაფინინე.

— შეხედეთ, იმ მთებს არ დავეჯახებით? — მეაფიოდ ჩამესმა ბავშვის წერიალა ხმა.

(გაგრძელება იქნება)





3. ՀԱՅԱՀՈՒԾ

ჩვენი საუკუნის აღმოჩენათა და
გამოგონებათა შორის დიდი აღგილი
უჭირავს ტელევიზიას. საბჭოთა მო-
ქალაქის ცხოვრებაში იგი საპატიო
აღგილს იჭერს და შორს არაა ის
დრო, როცა ტელევიზორი ჩვეულებ-
რივი ნივთი იქნება ყოველი ჩვენგა-
ნის ოჯახში.

ტელევიზორის ეკრანზე გამოსახულება ორთქერი და ამავე დროს ბრტყელია (არ აქვს სილრმის განზომილება), რის გამო იგი არ წარმოადგენს დედნის სრულყოფილ ასლს. იმისათვის, რომ ტელეგადაცემებმა მაყურებელში სრული კმაყოფილება გამოიწვიოს, ტელევიზორის ეკრანზე დანახული გამოსახულება უნდა იყოს ფერადი, ე. ი. მას უნდა ჰქონდეს დედნის ფერი და ამავე დროს საგნის მესამე (სილრმის) განზომილების შთაბეჭდილებას უნდა ქმნიდეს. მეცნიერებისა და ინჟინრების ინტენსიური მუშაობის შედეგად სადღეისოდ ფერადი ტელევიზიის საკითხი პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია, ხოლო, რაც შეეხება მოცულობით ტელევიზიას, ამ დარგში ჯერჯერობით მხოლოდ ლაბორატორიული ხსიათის კვლევა-ძიება წარმოებს. ეჭვს გარეშეა, ადამიანის გონება ამ ამოცანასაც გადაწყვეტს და მალე ტელევიზორის ეკრანზე დავინახავთ ფერად და მოცულობით გამოსახულებას, რაც ტელეგადაცემებს უფრო ბუნებრივსა და სრულფასოვანს გახდის.

როგორ ხდება გამოსახულების ფერებში გადაცემა-მიღება, რა არის ფერადი ტელევიზია?

იმ ხეთ გრძნობათა შორის, რომ-
ლებიც ადამიანს გააჩნია, მხედვე-
ლობას უმნიშვნელოვანესი აღვილი
უჭირავს. ხედვის პროცესი საკმაოდ
რთულია, ზოგადად იგი შემდეგნაი-
რად წარმოებს: ამა თუ იმ სინათლის
წყაროთი განათებული სხეულისა-
გან არეკლილი სინათლის სხივი თვა-
ლის ბროლის უკან მოთავსებულ ბა-
ლურაზე დაცემისას აღიზიანებს მას.
ამას ადამიანი შეიგრძნობს, როგორც
სინათლეს, რომელიც გარკვეული
სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალ-
ებს წარმოადგენს. თვალის ავებუ-
ლების თავისებურების გამო ადამი-
ანს შეუძლია ბუნებაში არსებუ-
ლი ელექტრომაგნიტური ტალების
ფართო ზოლიდან (დაახლოებით 10^7
მ.- 10^{-4} ანგსტრომად*) მხოლოდ
უმნიშვნელო ($0,4-0,75$ მიკრონი**)
ზოლი შეიგრძნოს.

თვალი სხვადასხვა სიგრძის
ელექტრომაგნიტურ ტალღას აღი-
კვამს როგორც სხვადასხვა ფე-
რის სინათლეს; მაგალითად, 0,7
მიკრონი სიგრძის ელექტრომაგნი-
ტურ ტალღას — წითელი, 0,6 მიკ-
რონი სიგრძისას — მეწამული, ხო-
ლო 0,4 მიკრ. სიგრძისას — ისფერ
სინათლედ. ადამიანის მიერ ფერების
შეგრძნების შესწავლის შედეგად აღ-
მოჩნდა: 1. მზის სინათლე, რომელიც

ჩენ, ოეთრი ფერის გვეჩვენება, წარმოადგენს შვიდი ძირითადი ფერის (წითელი, მეწამული, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი და ინსფერი) სინათლის ნარევს; 2. ყოველი არა-მნათი სხეული იმ ფერად გვეჩვენება, როგორსაც არეკლავს იგი; 3. უამრავი ფერები, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ, საქმაოდ დიდი მისალობით შეიძლება სამი ძირითადი ფერის მეტ-ნაკლები შერევის შედეგად მივიღოთ (იხ. ამავე უურნალში სტატია „ფერადი ფოტოგრაფია“, 1-ლი ნახ.). ეს ფერები შემდეგია: წითელი, მწვანე და ლურჯი (1-ლი ფერად ნახ.; ამოღებულია БСЭ, ტ. 46). ამრიგად ფერადი ტელევიზიის განხორციელებისათვის აუცილებელი არა საგნის გამოსახულება შვიდ ძირითად ფერში გადაცემ (ე. ი. გადაცემ 7 გამოსახულება). როგორც პრაქტიკაში გვიჩვენა, გამოსახულების სამ ძირითად ფერში გადაცემის ფერადი ტელევიზორის ეკრანზე ასებით დამაკმაყოფილებელ ფერად გამოსახულებას ვლებულობთ.

საზოგადო ფერადი ტელევიზია შეიძლება ორი მეთოდით განვახორციელოთ: 1. გამოსახულება გადაცემებით მიღებრობით სამ ძირითად ფერში, 2. გამოსახულება გადაცემის დროში და სამ ძირითად ფერში. პირველი მეთოდი არასრულყოფილია და დღეს მას მხოლოდ კვლევითათვის იყენებენ. ჩაც შეეხება მეორე მეთოდს, იგი შემდეგნაირად ზორციელდება: გადასაცემი სხეულიდან არეკლილი სხივები L აბიუქტივის საშუალებით (1-ლი ნახ.) R, G და B იკონოსკოპზე (გადამცემილზე) პროექცირდება სამი — წითელი, მწვანე და ლურჯი ფერის გამოსახულებად. იკონოსკოპის ეკრანზე დაცემამდე გამოსახულება გადის სპეციალურ K ფერების ამომრჩევ სარკეებში (მე-2 ნახ.), რომლებიც იმგვარად დამზადებულია, რომ № 1

* ანგსტრომი 10^{-8} სმ, ** მიკრონი 10^{-4} სმ.


საჩეკ ირეკლამს ლურჯი ფერის სხივებს და თოთქმის შესუსტებულად ატარებს დანარჩენ სხივებს, № 2 საჩეკ კი ირეკლამს მწვანეს და ატარებს წითელს. R, G და B იკონის-კოპების ეკრანზე სათანადო ფერებში მიღებული გამოსახულებები ელექტროსიგნალებად გარდაიქმნება და შემდეგ კი ფართოზოლოვანი გამაძლიერებლებით გაძლიერდება. გაძლიერებული სიგნალები სპეციალური სიგნალების მაფორმებელ მოწყობილობებში იქცევა სამი სახის სიგნალად. პირველი y—სიკაშვა-ზის სიგნალად. ეს ჩვეულებრივი (თეთრი-შავი) ტელეხედვის სიგნალია, ხოლო ორი — დანარჩენი ფერის სიგნალებია. ერთი მათგანი J წარმოადგენს სამივე იკონისკოპიდან მიღებულ სიგნალს, რომელიც გარკვეული პროცესით წითელი, მწვანე და ლურჯი სიგნალების სხვაობის ნაჩვევია. მეორე Q კი ამავე სიგნალების სხვაობისა და ჯამის ნაზევი.

ეს სამი სიგნალი შემრევ მოწყობილობაში შერევის შემდეგ მიეწოდება გამოსახულების გადამცემს, ხოლო იქიდან გამოსული ხედვის — ვიდეო სიგნალები ანტენის საშუალებით გამოსხივდება სივრცეში. ამ ხერხით ფერადი გამოსახულების გა-

დაცემისას გამოსახულების მიღება
შესაძლებელია არა მარტო ფერადი
ტელევიზიისათვის განკუთვნილი ტე-
ლევიზორით, არამედ ჩვეულებრივი
(თეთრი-შავი) ტელევიზორითაც,
რომელშიც გამოსახულებას ორ
ფერში დავინახავთ. ამ შემთხვევაში

დი ტელუგუზიზის გადაცემისას ის იმ
გვარადვე ხორციელდება, როგორც
თეთრი-შავი (ორფერი) ტელუგუზიზის
შემთხვევაში.

ტელევიზორი, რომლითაც წარმოებს ფერადი გამოსახულების მიღება, გაცილებით რთული მოწყობი-




696. 2

მიმღები ღებულობს მხოლოდ სიკაშ-
კაშის სიგნალებს.


ამრიგად, ზემოაღწერილი ფერადი
ტელევიზიის მეთოდს ახასიათებს
უნივერსალობა. რაც შეეხება ბგერითი თანხლებით გადაკეთდა, ფერადი

ლობისაა, ვიღრე ჩვეულებრივი ორ-
ფერი სატელევიზიო მიმღები. იგი
ზოგადად შემდეგნაირადაა მოწყობი-
ლი: სატელევიზიო ანტენით ტელე-
ვიზორში მიღებული სიგნალები ჯერ
ძლიერობა (მე-3 ნახ.), შემდგა საკ-



696

ბულია. ეს კინოსკოპი შემდეგნაირადაა მოწყობილი: მიღის ცილინდრულ ნაწილში (ნახ. 3) მოთავსებულია სამი ელექტრონმტკორცნი. მიღის ეკრანი დაფარულია გარკვეული წესით განლაგებული სამგვარი — წითელი, მწვანე, ლურჯი წერტილოვანი ლუმინოსორებით* (მგ-2 ფერა-




Б.Б. 3

დი ნახ.), ყოველი სამი მეზობელი ლუმინოფორი ქმნის ლუმინოფორთა ერთ ჯგუფს. ეკრანზე დააკლოებით 40 ათასი ლუმინოფორთა ჯგუფია, რომელთა ელექტრონებით დაყუმბა-რებისას ცალკეული ლუმინოფორი ძწყებს ნათებას ერთი წითელი, მეო-რე მწვანე, ხოლო მესამე ლურჯ ფე-რად. ეკრანის წინ მოთავსებულია ღიაფრაგმა-ნილაბი (ნახ. 4 ფერადი სურათი), რომელშიც ზუსტად იმდე-ნი ხვრელია, რამდენიც ლუმინოფო-რთა ჯგუფია ეკრანზე. ღიაფრაგმა მიღები იმგვარად ჩამაგრებულია, რომ 1 ელექტრონნტყორცნილან მო-მავალი ელექტრონების 3 ჭავლი დი-აფრაგმის ნებისმიერ ხვრელში გავ-ლის შემდეგ მულამ ერთი რომელი-მე ფერის (მაგ., წითელი) ლუმინო-


* ლუმინიფორი ისეთი ნივთებისაა, რომელიც ელექტრონებით დაყუშბარებისას ნათებას იწყებს.

ოთხ-მეტად
ოთხორს ეცემა (მე-3 ფერადი ნახ.). 2
ელექტრონმტყორცნიდან მომავალი
C ჭავლი იძმვე ხვრელში გავლისას
მეორე ფერის (მაგ., მწვანე) ლუმი-
ნოფორს ეცემა, ხოლო 3 ელექტრონ-
მტყორცნიდან გამომავალი K ჭავლი
ეცემა ლურჯ ფერად მანათობელ
ლუმინოფორს. თუ სატელევიზიო
მილს ფერადი გამოსახულების სიგ-
ნალებს არ მოვდებთ, მაშინ ეკრანის
სამივე ფერის წერტილოვანი ლუმი-
ნოფორები ერთდროულად და ერთ-
ნაირი სიკაშვაშით დაიწყებან ნათე-
ბას. ამ სამი ფერის შერევის შედე-
გად ეკრანი თეთრად განათებული
მოგვეჩენება (ცინაიდან მნათი ფე-
რადი წერტილები ერთმანეთთან
ძალზე ახლოა).


მიღწე ფერადი სატელევიზიო
სიგნალების მოდებისას ცალკეული
ელექტრონმტკორპუნების ელექტრო-
ნების ჭავლის ინტენსივობა გადასა-
ცემი საგნის შეფერილობის შესაბა-
ძისად შეიცვლება, რის გამოც ექ-
რანზე სათანადო ფერის ლუმინო-
ფორმების ნათებაც მეტ-ნაკლები იქ-
ნება. ელექტრონების ნაკადის ინტენ-
სივობაზე მოქმედებს აგრეთვე კო-
ნსექობის მმართველ ელექტრონდზე
მოდებული ყ სიკაშვაშის სიგნალები. ამრიგად, ელექტრონების ნაკადზე
ფერებისა და სიკაშვაშის სიგნალე-
ბის ერთობროული მოქმედების შე-
დეგად ეკრანზე ვლებულობთ გადა-
საცემი ობიექტის ფერად გამოსახუ-
ლებას. მიუხედავად იმისა, რომ ფე-
რადი ტელევიზორის ეკრანზე მიღე-
ბული გამოსახულება საკუთხით და-
მაკმაყოფილებელია, ფერად ტელე-
ვიზიის არხებითი ნაკლიც გააჩნია. ეს
ნაკლი ისაა, რომ მისი როგორც გა-
დამცემი, აგრეთვე მიმღები მოწყო-
ბილობა საკმაოდ რთული და ამავე
დროს ძვირისა. ამჟამად მიმღინარე-
ობს ინტენსიური მუშაობა ფერადი
ტელევიზიის უფრო სრულყოფისა-
თვის.




ნაზ. 1 ფერთა ის ვარგალსახეობა, რომელიც მუნებაში დახვდება, შესაძლებელია ხელოვნურად დიდი ჩიატლოებით სამი ძირითადი ფერის (წითელი, მწვანე, ლურჯი) სალემავის მეტნაკლები რაოდენობის შერევით მივიღოთ. ასე, მაგალითად, ყვავილთა თაიფულის ფერადი სურათი (1) შეიძლება სამი ძირითადი ფერის სურათის (2, 3, 4) ერთმანეთშე ჰედებით მივიღოთ.



ნაზ. 2 ფერადი სატელევიზიო მილის ექრანზე გარევილი წესით განლაგებულია სამგვარი (წითელი, მწვანე და ლურჯი ფერად მანათობელი) წერტილოვანი ლუმინოფორები.



ნაზ. 3 სატელევიზიო მილში ექრანის წინ შეთავსებულია დიაფრაგმა — ნილაბი დიაფრაგმა მა მილში იმგვარად არის ჩამაგრებული, რომ ცალკეული ელექტრონების ნაკადი იქრანზე მოძრაობისას მუდამ ერთი და იგივე ფერით მართობელ ლუმინოფორებს ეცემა.



ТУ-104 - 6850 კმ 11 საათი 30 წუთი

ИЛ-12 - 7100 კმ 27 საათი

8560 კმ 208 საათი
ნოტისის გასასახლებელი

ამსკვი

საქართველო

რასი

ჩინა

საქუთხავი

გავეჯვარი

საბაქოს ცენტრი

საკერძო ექსპრესი



საბჭოთა კავშირის სამოქალაქო საპარტო ფლოტმა მიიღო ჩინებული მანქანა — სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავი Ty-104. იგი აღჭურვილია ორი მძლავრი ტურბორეაქტიული ძრავათი, თანადროული რადიოსანა-ვიგაციო საშუალებებით, ავტომატური მართვით და შე-უძლია შეასრულოს რეგულარული რეისები დღისით და ღამით ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში.

უზარმაზარი საპარტო ხომალდი ფრინავს 10-12 ათ-ასი მ სიმაღლეზე საათში 800-850 კმ კრეისერული სიჩ-ქარით, ე. ი. დგუშიანი ძრავას მქონე სამგზავრო თვით-მფრინავზე 2-2,5-ჯერ სწრაფად და 18-20-ჯერ სწრაფად, კიდრე სამგზავრო მატარებელი.

წარმოგინდგინოთ, რომ მოსკოვიდან ხაბაროვსკში ერთდროულად სამი მგზავრი მიღია. ერთი მათგანი მიემ-გზავრება სწრაფი მატარებლით, მეორე — ИЛ-12 თვით-მფრინავით, ხოლო მესამე — Ty-104-ით. პირველი მგზავრი ხაბაროვსკში მივა 8,5 დღე-ლამის შემდეგ, მეო-რე გზაში იქნება 27 საათს, ხოლო მესამე — სულ 11,5 საათს. დროის ასეთი ეკონომია მიიღება არა მარტო თვითმფრინავის დიდი სიჩქარით, არამედ აგრეთვე გზის განწყობით და გაჩერებათა რიცხვის შემცირებით. მა-ტარებელი მოსკოვსა და ხაბაროვსკს შორის ასზე მეტ ადგილს ჩერდება, ხოლო Ty-104 მხოლოდ ორ ად-გილას.

Ty-104-ის ფრენის მაღალი სიჩქარეები, პილო-ტურ-სანავიგაციო ხელსაწყოთა დიდი რაოდენობა რე-აქტიული თვითმფრინავის ეკიპაჟისაგან მოითხოვს ზუსტ და შეთანხმებულ მოქმედებას, ტრასაზე სწრაფ ორიენ-ტირებას და ამა თუ იმ გადაწყვეტილების მყისვე მიღე-ბას. მაგრამ მათ ბევრად ეხმარება მართვის პროცესების ავტომატიზაცია. აქ დადგმულია ავტოპილოტი, რომლის მძლავრი გირლსკოპი ზუსტად რეაგირებს მოცემული კურსიდან მანქანის სულ მცირე გადახრის დროსაც კი.

Ty-104-ზე დადგმულია არა პნევმატური პილო-ტურ-სანავიგაციო ხელსაწყოები, როგორც ყველა სხვა დგუშიანი ძრავას მქონე თვითმფრინავზე, არამედ ელექ-ტორული და ელექტრონული ხელსაწყოები, რომელთაც აქვთ სიზუსტის ფართო დიაპაზონები.

ფრენისას ავტომატური ხელსაწყოები თვალყურს ადგენებს სათბობის სისტემაში საწვავის ხარჯს. საჭირო

მომენტში ისინი ძრავების კვებას გადართავენ ავზების ერთი ჯგუფიდან მეორეზე, ხოლო ავზები საწვავით თვითმფრინავზე არც თუ ცოტაა: მათი ტევადობა 34 ათას ლ-ს აღწევს.

როგორც თვითმფრინავი მოხვდება შემოყინვის ზონაში, ავტომატურად ჩაირთვება გამახურებლები.

მიწაზე მართვისათვის, ასაფრენად და დასაჯდომად Ty-104 აღჭურვილია ძირითადი შასებით და წინა „ფე-ხით“. ფრენის დროს შასები აიკეცება ფრთებში, ხოლო წინა ფეხი — ფუზელაჟის წინა ნაწილში.

თვითმფრინავის მიწაზე დაშვება, როგორც წესი, ორ წერტილზე ხდება, ე. ი. ძირითად შასებზე, და გარბენის პირველ ნახევარში თვითმფრინავი წინა ფეხზე არ ეშვება. სწორედ ამ პერიოდში მფრინავები სარგებლობენ მუხრუჭებით გარბენის შესამცირებლად და მფრინავმა, რამდენადაც მძლავრად არ უნდა დააჭიროს ფეხი მუხ-რუჭის სატერფულს, თვითმფრინავს არაფერი მოუვა, რადგან ამას თვალყურს აღევნებს ავტომატი: როგორც კი დამუხრუჭების ძალა მიაღწიეს კრიტიკულ სიღიდეს, მუშაობას იწყებს განმუხრუჭებელი მოწყობილობა.

თვითმფრინავი Ty-104 ღიასშესანიშნავია არა მარტო საფრენი თვისებებით, არამედ კომფორტით, რომე-ლიც შექმნილია ეკიპაჟისა და მგზავრებისათვის.

მისი ყველა სათავსო აღჭურვილია პარის კონდი-ციონების სისტემით. 10 ათას მ სიმაღლეზე ფრენისას პა-ერის გარეთა ტემპერატურა ეცემა მინუს 50-60°-მდე, ხოლო თვითმფრინავის შიგნით, წელიწადის დროისაგან დამოუკიდებლად, პარის ტემპერატურა პლუს 20°-ია. ასევე მულმინია პარის ტენიანობა.

4.560 მ სიმაღლემდე ასვლისას პერმეტულ კაბინაში იგივე ატმოსფერული წნევაა, როგორც დედამიწის ზედაპირზე. იგი უმნიშვნელოდ მცირდება მხოლოდ შემ-დგომი ამაღლებისას, მაგრამ არ ქმნის განსაკუთრებულ მოუხრებლობას მგზავრთათვის — 10-12 ათას მ სი-მაღლეზე ისინი თავს ისე გრძნობენ, თითქოს იმყოფე-ბიან მთებში 2500-2800 მ-ის სიმაღლეზე.

Ty-104 თვითმფრინავის შიგნითა მოწყობილობა ნაჩვენებია ფერად ჩანართზე.

წინა პერმეტულ კაბინაში (1) თავსდება ეკიპაჟი, რომელიც შედგება ორი მფრინავის, შტურმანი-ოპერა-

ტორის, რადისტისა და ბორტის ინჟინრისაგან. ამ კაბინის უკან მოჩანს ვესტიპიული მარცხენა ბორტზე შესასვლელი კარით.

50 მგზავრი თავსდება სამ კუპესა (2) და საერთო კაბინაში (4). ეს კაბინა აღჭურვილია სავარძლებით, რომელზეც მგზავრებს შეუძლიათ ნახევრად დაწოლილ მდგომარეობაში ყოფნა; საკმარისია მსუბუქად დაწვეთ სახელურს, რომელიც მიმარტებულია სავარძლის მარჯვენა მხარეს, რომ მისი ზურგი დაიხრება 16-დან 42°-მდე.

სამგზავრო კაბინების იატაკევეშ განლაგებულია საბარგო განყოფილებები, ხოლო თვითმფრინავში ტანსაც-

მლისათვის ოთხი სათავსო (5).

სამგზავრო კაბინების კუდის ნაწილში უკანა შესასვლელი კარის გასწვრივ გამოყოფილია სპეციალური კუპე ბავშვიანი დედებისა და მოხუცების დასასვენებლად. იქ დადგმულია მოხერხებული სამადგილიანი სავარძელი, პატარა მაგიდა. ამ კუპის შემდეგ მოთავსებულია ორი საპირფარეშო ოთახი (6).

სურათზე ნაჩვენებია აგრეთვე ტურბინების (8), ძირითადი შასების (7) და წინა ფეხის განლაგება.

სამგზავრო კაბინა ელექტროფიცირებულია. თითო-ეულ მგზავრს შეუძლია ჩართოს და თვისათვის ხელსაყრელ მდგომარეობაში დაამაგროს ნათურა სავარძელთან.

საბჭოთა შეეულფრენის სარეკორდო გაფრენა

ვ. პ. ჩერლოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის აეროდრომზე შეეულფრენის ირგვლივ შევრ აღამიანს მოეყარა თავი. სავარაციო მრეწველობის სამინისტროს საცდელი ქარხნის კოლექტივის (მთავარი კონსტრუქტორი მ. ლ. მილი) მიერ შექმნილი შეეულფრენი ემზადებოდა სარეკორდო გაფრენისათვის.

მალე შეეულფრენი მოწყდა მიწას და თანდათანობით იღებდა სიმაღლეს. გადის 10-11 წუთი და აეროდრომიდან მოჩანს, თუ როგორ იწყებს პირდაპირ მოძრაობას იგი. მოცემული სიმაღლე მიღწეულია.

შეეულფრენი დაბლა იწევს. რამდენიმე წუთის შემდეგ მასი ბორბლები ეხება მიწას. ფრენა დამთავრდა.


ესაა საბჭოთა შეეულფრენი MI-6, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში. მასშე დადგმულია ორი მძლავრი ტურბობრაზნული ძრავა. მზიდი ხრახნი ხუთფრთიანია. ტვირთშიდაობის მარივ ახალი შეეულფრენი აკარბებს თავის თანამოძმებებს. მას შეუძლია წაიყვანოს 70—80 მგზავრი, შეიძლება გამოყენებულ იქნება ტრაქტორების, სკრეპერებისა და სხვა მანქანების გადასტანად.

წინასწარი მონაცემებით შეეულფრენი MI-6 ავიდა 2400 მეტრ სიმაღლეზე და აიტანა 12 ტონა და 4 კგ კომერციული ტვირთი. ამ გაფრენით საბჭოთა მფრინავებმა და

ამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი. აქამდე მაქსიმალური ტვირთმზიდაობა 2000 მ-ზე ეუთვნოდა აშშ-ის სამხედრო-საპატიო ძალების მაორს კ. ანდერსონს. 1956 წლის 10 ნოემბერს S-56 ტიპის შეეულფრენით მან. 6 ტონა და 10 კგ ტვირთი აიტანა 2000 მ-ზე. საბჭოთა მფრინავებმა ამერიკელის რეკორდს ორჯერ გადასტანებს.

შეეულფრენის გაფრენა 2400 მ-ზე 12 ტონაზე მეტი ტვირთით საბჭოთა ავიაციის და საავიაციო მრეწველობის, საბჭოთა კონსტრუქტორების, ინჟინერების, ტექნიკონებისა და მუშების დიდი მიღწევაა.


ახალი შეეულფრენი ფართო გამოყენებას პოვებს სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგში.





ასპლი ერთიანების ექსპერტორი

ჩვეულების (კენტუკის შტატი, აშშ) ქვანიშირის დია კარიერზე ამას წინათ მუშაობა დაწყო 1950-ბ ტიპის ზემძღვრმა ერთციცხვიანმა ექსპერტორმა. როგორც უურნალი „მანინგ ენგინერინგ“ (1957, ივლისი) იუწყევა ამ ექსპარტორის ციცხვს ტევადობა 42 კუბური მეტრი. იგი ერთდროულად იღებს 80 ტონამდე ქანს. ექსპარტორის ისრის სიგრძეა 54 მეტრი. იგი შეიძლება განიტვირთოს აღვილიდან 100 მეტრის მანძილზე. ექსპარტორის განტვირთვის აღვილას ქანების გროვის სიმაღლე 30 მეტრამდე აღწევს.



ექსპარტორი იწონის 2400 ტონას. მისი სიმაღლე დაახლოებით 13-სართულიანი სახლის ტოლია. მართვის კაბინა 9 მეტრის სიმაღლეზეა მოწყობილი ექსპარტორის მუსლინების დონიდან, რაც უზრუნველყოფს მეტადორისათვის კარგ ხილადობას.

ექსპარტორი გადადგლდება ოთხ 200-ტონიან მუხლუხა საყრდენებით თითოეულის ინდივიდუალური ამძრავით. ექსპარტორზე სურ დაღმულია 15 ელექტროძრავა.

ლითონისაჭრელი ჩარხების ავტომატიზაცია

ინგლისის ერთ-ერთმა ფირმამ დაამუშავა ლითონისაჭრელი ჩარხების ორიგინალური სხეუმა, რომელიც შუალედურია უნივერსა-

ლური ნახევარავტომატური და პროგრამული მართვის ჩარხების სისტემათა შორის.


წარმოების კონკრეტული პირობების შესაბამისად ეს სისტემა საშუალებას იძლევა მთლიანი ან ნაწილობრივი ავტომატიზება ნავუკეთოთ დეტალების დამაგრებას, სუპორტების გადანაცვლებას, შეინდელების ბრუნვა რიცხვისა და მიწოდებათა სიდილის შეცვლას და სხვა მასრაციებს, რომლებიც ჩვეულებრივ ხელით სრულდება.

1-ლ ნახ.ზე ნაჩვენებია ამ სისტემით ავტომატიზებული სახარატო-რევოლვერული ჩარხის სქემა.

სისტემის პრინციპული თავისებურება მდგომარეობს საფეხურებიან გამომრთველებში, რომელსაც ელექტროძრავებატური სარქველებით მოძრაობაში მოსყავს ჩარხის მუშა ორგანოთა სამართი პრეგმატური ცი-

ლინდრები. ამასთან შესაძლებელია ჩარხის გაწყობა როგორც ავტომატური მართვისათვის, ისე უფრო რთული სამუშაო ციკლის შესასრულებლად თხოთმეტი და მეტი სხვადასხვა გადანაცვლებისათვის. კერძოდ სახარატო-რევოლვერულ ჩარხზე აღნიშნული სისტემით შეიძლება ოპერატორის ჩაურევლად განხორციელებულ იქნეს შემდეგი მოძრაობანი: ვაზნისა და რევოლვერული თავის მოქერა და მოშვება; რევოლვერული თავის გაწვა-გამოწვა; სუპორტის გრძივი და განივი გადანაცვლება; შპინდელის შრუნვა რიცხვის ცვლა; ელექტროძრავის გაშვება, გაჩერება და უკუ ბრუნვაზე გადართვა; წნელოვანი მასალის მიწოდება და სხვ.

აღნიშნულ შოქმედებათა შესასრულებლად ელექტროძრავმატური სარქველები ისეა შეწ-




ნახ. 1. სახარატო-რევოლვერული ჩარხი პროგრამული მართვით

ყობილი წინასწარ გათვალისწინებული საშუალებათ პროგრამის მიხედვით, რომ პრეცენტური ცილინდრების საშუალებათ ჩარჩის სათანადო კვანძებს შესაფერი მოძრაობა ყდლევა და ბრტყელი კოპირების გამოყენება საჭირო არა.

სუპორტის გადანაცვლება ხდება ლარ-
ტყული მექანიზმით, რომელიც მოძრაობაში
მოდის 9 პიდროცილინდრით.

ლარტყული კბილანა შეერთებულია ჩე-
ვოლველური თავის სუპორტის სავალ ხრან-
ზთან და ბრუნავს ლარტყიდან. ლარტყა შე-
ერთებულია თამასასთან, რომლის გადაცაცვ-
ლებაც ხდება ორმაგი ქმედების პრევოცი-
ლიანდრის დაუშით. მიწოდების სიმღვრის
უზრუნველსაყოფად და მუშა სიჩქარის გა-
დასართველად გამოყენებულია ჰიდროვლი-
კური ცილინდრი, რომელიც დაგუშის ორივე
მხრივ გავსებულია ზეთით. დაგუშის გადაად-
გილების დროს ზეთი გადაიდინება ცილინ-
დრის ერთი მხრიდან მეორეში. ზეთის გა-
მოდევნა განსაზღვრულია სარქველით, რო-
მელიც აკეთებს მუშა და უქმი სცლის მიწო-




ნახ. 2. გრძივის სუბორტის მიწოდების უზრუნველყოფის ელექტრული და პნევმატური სისტემების სქემა: 1—ოთხსავალიანი საპარო სარქველი; 2—სოლენიდი; 3—სუბორტის მიწოდების სამართი ცილინდრი; 4—რელე; 5—მიკროგადამრთველი; 6—გრძივი სუბორტის (რევოლვერული თავიანად) მიწოდების გამოსართვა მუშტი; 7—სოლენიდური სარქველი; 8—რევოლვერული თავის მიწოდების პნევმატური ცილინდრი; 9—რევოლვერული თავის მიწოდების ჰიდრაულიკური ცილინდრი

დეპის სიჩერის რეალობის.

რევოლუციური თავის უკიდურეს მარჯვენა მდგომარეობაში ყოფნის დროს ჩაირთვება მიეროგადამრთველი (5) და გაიღება პიდრავლიური ცილინდრის სარქველი. პიდრავლინდრის დაუში გადაინაცვლებს (ზეთის მინიმალური გამოიდევნის დროს) გადიდებული სიჩარით და დევბა იმ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ახალი სამუშაო ციკლის დასაწყისს.

მე-3 ნახ-ჯე ნარვენგბია პრემიატკური და
ჰიდრავლიკური ცილინდრების ურთიერთ-
მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს განი-
ვი სუპორტის გადანაცვლებას.

ზემო სქემაზე ასახულია ცილინდრების მდგომარეობა სუპორტის ნეიტრალურ მდგომარეობაში ყოფნის დროს. შუაზე — ცილინდრების ის მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება განივი სუპორტის უკანა საჭრისძამეერის მუშაობას. სუპორტის გადანაცვლება ხდება მიმმართველზე, მასზე უძრავად შეერთებული ცილინდრის (3) მოქმედებით. ზედა და ქვედა ცილინდრების შემაერთობებული ფოლა (5) ჩემბა უძრავად. სუპორტის გადანაცვლების დროს, რომელიც შეესაბამება განივი სუპორტის წინა საჭრისძამეერის მუშაობას (ნახ. 3). ქვედა მდგომარეობა, გამოიწევა სუპორტის უძრავ მიმმართველთან შეერთებული ცილინდრის ზორი (14); თვით ცილინდრი შეერთობულია სუპორტის უძრავ მიმმართველთან (18). ფილას (5) და ზედა



ნახ. 3. განვითარებული სუპორტის ამჩრევის ცილინდრული ფარების მუშაობის სქემა: 1—სუპორტის ცილინდრული ფარები; 2—უკანა საჭრისძამჭერის გადააღლულების ცილინდრი; 3—უკანა საჭრისძამჭერის გადააღლულების მართვის ცილინდრი; 4—ჰიდრაულიკური ცილინდრის საბრჭენი; 5—შემარტობებელი ფილა; 6—ჰიდრაულიკური ცილინდრის მარეგულიზებელი საბრჭენი; 7—ჰიდრაულიკური ცილინდრის დამაგრძელებელი კროპუსი; 8—წინა საჭრისძამჭერის გადააღლულების მიყროვადამტოველი; 9—წინა საჭრისძამჭერის გადააღლულების მარეგულიზებელი საბრჭენი; 10—წინა საჭრისძამჭერის გადააღლულებელი საბრჭენი; 11—წინა საჭრისძამჭერის გადააღლულების მართვის ცილინდრის უძრავი საბრჭენი; 12—წინა საჭრისძამჭერის გადააღლულების განმსაზღვრული საბრჭენი; 13—წინა საჭრისძამჭერის გადააღლულების მიყროვადამტოველის გადააღლულების ჰიდრაულიკური ცილინდრი; 14—წინა საჭრისძამჭერის გადააღლულების მართვის ცილინდრი; 15—სუპორტის ცილინდრული ფარების იძულებით შეჩერების ბლოკი; 16—უკან საჭრისძამჭერის გადააღლულების მიყროვადამტოველი, 17—საბრჭენის ძელი; 18—სუპორტის მიმართველები


სსგალასხევა სამუშაოებისათვის ჩარჩის გა-
უძინების ასეთი მცირე დრო საშუალებას ა-
სლევა გამოყენებულ იქნეს ეს სისტემა ა-
პარტო სერიული, არამედ ცალკობითი წე-
ობების პირობებშიც. ამ მეოთხდით შესაძლ-
ებლია უნივერსალური დაიზნულების ჩა-
ტაპის მწარმოებლობის მნიშვნელოვანი გ-
რადა მათ მოდერნიზაციაზე მცირე ხარჯე-
ოს გაწევით.

შურდული

3. ჩოლოყაშვილი

შურდული ქვის სატყორცნ იართა ერთ-ერთი უძველესი სახეობაა (ნახ. 1), რომელსაც თავის დროზე თითქმის ყველა ხალხი იყენებდა. შურდულით გასროლილი ქვა დიდ მნიშვნელზე მიექნებოდა და გასროლის სიძლიერითაც გამოიჩინდა.

შურდულს ჩვენ ვხვდებით ქველი კულტურული ქვეყნების, უმეტესად სამხრეთელ ხალხთა სამხედრო აღ-



ნახ. 1

ჭურვილობაში. მას ხმარობდნენ: ხეთები, ურარტელები, ეგვიპტელები, ასურელები, ებრაელები და სხვ. მაგალითად, ბერძნები ტროელებთან ბრძოლაში სხვა იარაღებთან ერთად შურდულსაც იყენებდნენ. შურდული, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საბრძოლო საჭურველი, შედიოდა ალექსანდრე მაკედონელის მსუბუქი ქვითი ჯარის შეიარაღებაში. XVII საუკუნის გერმანიის ჯარში საგანგებო მეშურდულეთა ნაწილებიც კი არსებოდნა.

შურდული საკმაოდ ცნობილია აფრიკულ ქართველი ხალხის ძველ სამართლებათა შორის. საყრდნოებოა, რომ ბერძენმა ისტორიკმა ქსენოფონტემ (V ს. ძვ. წ. აღ.) ერთ-ერთი უძველესი ქართველი ტომის — კარდუხების შეიარაღებაში მშეილდისართან ერთად შურდულის არსებობაც ღაადასტური. მისი ცნობით, კარდუხები საკმა-

ოდ გაწაფული ყოფილან ამ სატყორცნი იარაღის ხმარებაში.

შუა საუკუნეების საქართველოს ლაშქარში მეშურდულეთა საგანგებო ნაწილების არსებობას მრავალი ისტორიული წყარო აღნიშნავს. მაგალითად, თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაში მითითებულია: „წამოდგეს ბანთა და შუაქართა ზედა ისრის მსროლელნი და ქვის მტყორცელნი“.

ქართველებისა და ხვარაზმელების ბრძოლის ოწერისას მეშურდულეთა მოქმედებას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამას გარდა, საფიქრებელია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის მიერ ნათქვამი — „ქვითა დაგვლეწეთ წვივები“ — შურდულით ბრძოლას უნდა ასახავდეს.

საქართველოში შურდულის ინტენსიური ხმარება იმითაც მტკიცდება, რომ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე, ხელნაწერებში, ჰერალდიკასა და საფლავის ქვებზე მეშურდულენი და შურდულებია გამოსახული. მაგალითად, მეშურდულები ამოკვეთილია ქსნის ხეობაში მდებარე ძეგლი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლზე — კაბენზე (X ს.), დავითნის (XV ს.) ხელნაწერთა ილუსტრაციებში ყურადღებას იქცევს მეშურდულეთა სურათი (ნახ. 2). საყურადღებოა აგრეთვე, რომ შურდული მთავარ ელემენტს წარმოადგენდა ბაგრატიონთა სამეფო ლერბში.

შურდული უმეტესად გამოყენებული ყოფილა ციხე-სიმაგრეების საალყო გარემოცვისას თავდაცვაზე გადასული მებრძოლების მიერ, რასაც ქართული არქეოლოგიური მასალაც აღასტურებს.

შურდული მარტივი იარაღია, იგი სამი მთავარი ნაწილისაგან — საქვე-სა და ორი მანასაგან შედგება. საქვეს ბოლოების გაგრძელებაა ერთსა და იმავე მასალისაგან დაწინული ორი მანა.

შურდულის დასამზადებლად იყენებენ ლაფანს (თელის, ტირიფის, თუთის და სხვ.), ტყავს, შალის ქოვილს, ძუას და ქალის თმას. საშურდულედ უმთავრესად დეკეულის ან მოზგრის, ზოგჯერ კი ძროხისა და ხარის ტყავს ხმარობენ. ხევსურთა




ნახ. 2

გაღმოცემით, შურდულს ქალის თმისაგან წანედნენ. აღსანიშნავია, რომ ქალის თმის გამოყენება საშურდუ-

ლე მასალად სხვა ხალხშიც დასტურდება.

საშურდულე ლაფანსა და ძუას ხელით წნავდნენ. ბაჭარს კი ყაისნალით ქსოვდნენ. ქვის მიზანში სროლისა-



ნახ. 3

თვის შურდულის მანა ოთხპირა ბაჭრით უნდა დაწეულიყო, ვინაიდან სამი ბაჭრით გასაროლილ ქვას არასწორი მიმართულება ეძლეოდა. დაახლოებით 50 სმ სიგრძის მანებს წვრილად წნავდნენ. შემდეგ მის ერთ ბოლოს — დამკავებელს საჩვენებელი თითის გასაყრელად გამონასკვავდნენ. ქვის ჩასადებს, საქვეს საგანგებოდ ჩაღრმავებულს ქსოვდნენ (ნახ. 3), ანდა ტყავისას აკეთებდნენ.

ისევე როგორც სულხან საბა ორბელიანი, ზოგი შურდულს „ქვის სატყორცნს“, ე. ი. მთელ იარაღს უწოდებს, ზოგი კი დ. ჩუბინიშვილისებურად — მხოლოდ ქვის ჩასადებ ადგილს. თვით სიტყვა შურდული

აგატის ქვების საბადოებთან არის სოფ. შურდო, სადაც გადმოცემით ქვის მტყორცნელი მეშურდულები ცხოვრობდნენ.

შურდულით სროლას თავისი წესი ჰქონდა. სროლის წინ მებრძოლი მარცხენა ხელის მანების ბოლოებში ჩავლებით ქვიან შურდულს აიღებდა, შემდეგ მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს გაუყრიდა შურდულის დამკავებელ მანას ყულფს და საჩვენებელ თითზე მოთავსებულ შურდულის გაშვერებ ბაჭარს ზევიდან ცერის დაჭერისას ხელს დამუჭავდა (ნახ. 4). სროლის წინ მეშურდულე მარცხენა ფეხს წინ წასდგამდა და შურდულის ტრიალს დაწყებდა.

ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით, საშურდულედ საგანგებოდ



ნახ. 4

რიყის ქვებს არჩევდნენ. ამას გარდა, ხელით ქვის სროლის ღრის თუ ბრტყელ ქვას ამჯობინებდნენ, შურდულისათვის საგანგებოდ მრგვალი უნდა აერჩიათ. მსროლელთა დაკვირვებით, „ბრტყელი ქვა ქარზე შევდება, მრგვალი კი ტყვიასავით წავაო“. შურდულით გასროლილი ქვა ჰაერში ბზრიალოთ მიდის.

ბრძოლამდის ქართველ მეომარს შურდული მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, ხოლო საშურდულე ქვების სატარებლად კი საგანგებო აბგა-ჯიბე, ე. წ. ტავარჯუხი ანუ ხალთა ჰქონდა. აღნიშნული ტყვარჯუხით


ქართველი მეომარი გამოირჩეოდა ბერძნისაგან, რომელსაც შურდულის სროლის ღრის მარცხენა ხელი და ტანისამოსის წინსაფარი ქვის მარაგით ჰქონდა დაკავებული; ამის გამო ბერძენ მეშურდულეს სროლის ღრის ნებისმიერი მდგომარეობის მიღება უჭირდა (ნახ. 5).

დანიშნულების მიხედვით შურდული იყო: საბრძოლო, სანალირო, სამწყემსო და სათამაშო. მაგალითად, XIX საუკუნის ნახევრამდე შურდულს ხმარობდნენ თბილისელი მოკრივებიც. მაგალითად, კრივში დაზიანებული ა. ორბელიანი გადმოგვცემს: „შურდულის ქვა მომხვდლა თავის კეფაში და კარგა გამიტეხაო“.

შურდულის ლირსება ის იყო, რომ გასროლის შემდეგ პატრონს ხელში რჩებოდა სასროლი იარაღი, რითაც კვლავ აგრძელებდა მტერზე თავდასხმას. არსებობდა აგრეთვე ქვის შორს გასროლის ისეთი საშუალებაც, როდესაც ქვა ბაჭარგამობმული იტყორცნებოდა; მას ჩვენში კულბაჭარას ეძახდნენ.

კულბაჭარა (ნახ. 6) ბაჭარშებმული ფილთაქვაა, რომლის გასროლის ღრის ქვის ბაჭარი თან მიჰყვებოდა შურდულთა შეღარებით ამ კულბაჭარას უარყოფითი მხარეებიც გააჩნდა; გასროლილი ფილთაქვა ისე შორს ვერ გაიტყორცნებოდა; ქვას თან ბაჭარიც მიჰყვებოდა, რითაც შეიძლებოდა რამეს გამოსდებოდა და ქვის მოძრაობა შეეტერხებინა.


როგორც ვხედავთ, შურდული მანძილზე ქვის სატყორცნ იარაღთა შორის კველაზე მეტად განვითარებულია და მას დასრულებული სახე გააჩნია.



ნახ. 6

ორი ნაწილისაგან შედგება; „შურო“—ღრუს, ღარგვან საგანს აღნიშნავს, ხოლო „დურს“—ქვას. სამხრეთ საქართველოში ქვირფასი და მაგარი





საქართველო სახლმიწოდებლი


სასწავლებელში ჩატარებული იქნა შესაბამისი ცდები. ასეთი კვებისაგან ნაგებმა შენობაში განიცადა ცეცხლის ისეთივე მოქმედება, როგორც დიდი ხანძრის დროს. ხანძრის ჩაქრობიდან ოთხი საათის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე ქვა გაღმოვარდა კედლის წყობიდან.

მინის ქვების წყობა ისევე ხდება, როგორც აგურისა, მაგრამ მიზანმიწოდილი იქნებოდა სწრაფმაგრებადი ქიმიური მჟიდი ნივთიერების გამოყენება. ეს შეცლიდა საშენ დუღაბს და შეამცირებდა მუშაობის ხანგრძლიობას. გარდა ამისა მჟიდი ნივთიერების შედებას შეეძლო აემაღლებინა შუქის გამტარებლობის უნარი.

მშენებლობის ბლოკური მეთოდის გამოყენების დროს მინის ქვების წყობა უნდა ვაწარმოოთ შესაბამის ჩარჩოებში. ამ ქვებისაგან შეესებული ჩარჩოები შეიძლება აღვილად იქნეს გადატანილი მშენებლობაზე ამ-

წებით. ამით შეიძლება მკვეთრად შევამციროთ სამუშაო დრო ხელით წყობასთან შედარებით.

დასასრულ ქარხნის მუშაკები ფიქრობენ, რომ მინის ქვები



შეიძლება გამოყენებულ იქნეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე.

გამოყენებისათვის. 1945 წლის შემდეგ დაწყო მინის მასობრივი წარმოება.

მინას, როგორც საშენ მასალას, მრავალი უპირატესობა აქვს. ასე, მაგალითად, შუქის გამტარებლობის უნარი მინის ქვები დაახლოებით 80%-ს შეადგენს. ამ გარემოებაზე უკანასკნელ ხანებში მრავალ მსველ საწარმოს გაუღვიძა სურვილი ქარჩინის უზარმაზარი სამქრინევი აეგო აეგო ამ მასალისაგან. საეჭაპლოატაციო ხარჯები ამ შემთხვევაში უფრო მცირეა, ვიღრე მობათქმებული კედლების შემთხვევაში. მინის ქვებისაგან აგებული კედლების გამტენდა წყლის ჭავლით სწრაფად ხდება და დიდ შრომას არ მოიხსევს. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მინის ქვა სიცივის, სითბოსა და ბეერის მიმართ კარგი იზოლატორია.

მას კიდევ სხვა უპირატესობა აქვს. ცეცხლგამძლე, მეტამეტეგი და მტკირშეულწევია. დრეზენის უმაღლეს ტექნიკურ



გეოგრაფიული და ტექნიკური

კუთხის გარემო



* 315 წლის წინათ, 1643 წლის 5 იანვარს ქ. გრენტემილან ათი კილომეტრის დაშორებით სოფ. ვულსტორპში დაიბადა ახალი ფიკის გოლიათი ი. ს. ა. კ. ნიუტონი. მისი წინაპრები შოტლანდიიდან იყვნენ გადმოსული. პატარი ისაკი მამით ობოლი, დღენაკლული, ძალზე სუსტი და პატარა დაბადა, მაგრამ, წინააღმდეგ ყოველგვარი წინასწარმეტყველებისა, იგი იმჟიათი ჯანმრთელობით გამოიჩინდა. თავისი სიცოცხლის მანძილზე მას არცერთი კბილი არ დაკლება და 85 წელს იყოცხლა.

3 წლის ნიუტონს დედა გაუთხოვდა, რის შემდეგ მას დიდედა ზრდითა.

პირველდაწყებითი განათლება ისაკი მშობლიურ სოფელში მიიღო; 12 წლის ასაკში ის მიაბარეს ქ. გრენტემის, ე. წ. სამეფო სკოლაში, ხოლო ბინად ათთავაზა კლერკონ მთავავეს. გრენტემის სასწავლებლის სათავეში იმ ძრის ცნობილი ფიზიკის ჰენრი სტოქსი იდგა. მან თავიდანვე შენიშვნა ნიუტონი ნიჭი და შრომისადმი სიყვარული. გამოსუვებ დღეს სტოქსმა ნიუტონის ბრწყინვალე მომავალი სიხარულის ცრემლით იწინასწარმეტყველა.

მოწაფების პერიოდში ნიუტონს უყვარდა რთული მექანიკური სათამაშოების, წყლის წისქვილის, მზის საათისა და სხვა ხელსაწყოების კეთება. ერთხელ, ქარის დამეს მან ფერადი ქალალდებისაგან დამზადებული ფრანი ჰაერში აუშვა და ხუმრიბით სოფელში ხმა დაარჩია — ახალი კომეტა გამოჩნდა. 16 წლის ისაკი ქარის ძალას ანგარიშობდა, ზომავდა საკუთარი ნახტომის სიგრძეს ქარის მიმართულებით და ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით. შემონახულია ნიუტონის მიერ ბავშვობის პერიოდში დამზადებული სარკები, პრაზები და ლინზები. აღნიშნულ ხელსაწყოთა გადასინჯვის შედეგად თანამედროვე მკვლევარები ასკენიან, რომ ნიუტონის თავიდანვე ჰყვარებია ზუსტი და ლამაზი ცდები. ნიუტონის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მას დიდი მიღრეკილება ჰქონია ხელოსნობისაკენ.

გრენტემის სასკოლო პერიოდს მიეწერება ნიუტონის ერთადერთი რომანტიკული გატაცებაც. კლერკის ბინაზე ცხოველებისას ნიუტონს შეუყვარდა კლერკის ნათესავი ქალიშის სტორეი. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ შეყვარებულნი ქორწინების ვადის დადგენასაც შეიღენენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გაირკა, რომ ნიუტონი უნივერსიტეტში უნდა შესულიყო, მან ქორწინებაზე უარი იქნა. საშუალო საუკუნეების წესების მიხედვით კოლეგის წევრები უფოლშვილონი უნდა ყოფილყვნენ. ნიუტონმა შეასრულა ეს



ტრადიცია. კემბრიგის უნივერსიტეტის სამეცნიერო კოლეგიში შესესლის შემდეგ მასში ყოველგვარი ინტერესი გაქრა და მხოლოდ მეცნიერების იღეალი გაბატონდა.

სამეცნიერო კოლეგიუმში ნიუტონს, როგორც ღიას, მასწავლებელთავის მომსახურეობა ევალებოდა. პირველ ორ წელიწადში იგი სწავლაში არ განიჩეულა. მესამე კურსიდან კი ოპტიკის მიმართ განსაუთრებული ინტერესი გამოიჩინა.

ნიუტონის მეცნიერული ფიზიკომისის გამოკვეთაში დიდი მონაწილეობა მიიღო ე. წ.

ლუკასისეული კათედრის პირველმა გამგებისაა ბაროუმ. 1665 წელს 22 წლის ნიუტონმა ბაკალავრის ხარისხი მიიღო (თანამედროვე ხაშუალო სასწავლებლის ატესტატიზაციი). ამავე წელს ლორდმა ჰალფიშმა (ნიუტონის მძიმელის ქმარმა) ნიუტონი დანიშნა ღულის საჭრელი დაწესებულების ფერ მეთვალყურედ, ხოლო 1669 წელს — დირექტორიად.

1667 წელს ნიუტონს მანდეს ასტრონომიური კურსის კითხვა კემბრიგის უნივერსიტეტში ერთ წლის შემდეგ კი იგი აჩხეულ იქნა კალეგუმის უფროს წევრად და მაგისტრის წოდება მიანიჭეს. 27 წლის ნიუტონს ლუკასისეული კათედრის ხელმძღვანელობა დაუვალა. მა კათედრის მეთაურობა დღემდე საბატიოლ არის აღიარებული მთელს მსოფლიოში.

როგორც ნიუტონის ცხოვრებაში, ისე ფრიკისა და მათემატიკის ისტორიაშიც გაღმწევები როლი ითამაშა შემოქმედებით შეეხულება, რომელიც ნიუტონმა მიიღო 1664-1667 წელში (ინგლისში ჭირის მძიმელი გარების გამო). მა პერიოდში ნიუტონმა შეემნა უსასრულოდ მცირეთა ანალიზი; დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა დაყვენა სინათლის დაშლისა და შეკრებისტორიული ცდები; ხელი მისცო თვის ამრეკლი ტელესკოპის აწყობას და ბოლო მსოფლიო მიზიდულობის შესახებაც დაწესებულობა. ეს გამოკვლევები ნიუტონმა დღიურის განვითარებით გამოივინა. იგი საკუთარ თავისა და კურსორის მომზადებულ მეტავრცებს უყენდა. ეწვეოდა მომტკიცებობით ცხოვრებას, ცალი და იკვებებოდა, თვისი ფულის უდიდესი წიგნებზე ხარჯავდა.

ისაკი გატაცებული იყო ოქტომბერის საბატონით, სხვადასხვა სახელმწიფოებში სურასა სანოვაგისა და ნედლეულის ფასებით დასხვა, მაგრამ არასდროს თავის სამშობლო გარეთ არ გასულა.

1672 წელს ნიუტონი ინგლისის სამეცნიერო საზოგადოების წევრად აირჩიეს, ხოლო 170 წლიდან სიკვდილამდე მის შეუცვლებელი მეცნიერებიდან ითვლებოდა.

ნიუტონი გარდაიცვალა 1727 წლის 21 მარტს. დაკრძალულია ლონდონში. 1731 წელს მისმა ნათესავებმა საფლავს ქეღლი დაადგეს და სათანადო წარწერაც გაუკეთეს. ინგლისის ხელისუფლება მრავალი ათეული წლის განმავლობაში ვერ ჩასწოდა ისაა ნიუტონის სიღიადეს.

* *

1666 წელს ნიუტონმა სინათლის დისპერსიის მოვლენა აღმოჩნდა. 1668-1675 წლებში ს ფერული აბერაციის თავიდან აცილების მიზნით მან შექმნა ამტერელი ტელესკოპი, შეისწავლა სინათლის ინტერფერული ცის მოვლენა და შექმნა შემდეგში სპეციალური „ნიუტონის რგოლებად“ წოდებული ხელსაწყო, დაადგინა კავშირი თხელი ფირფიტების სისტემა და ფერებს შორის. 1672 წელს წარმოადგინა ჰიპოთეზა სინათლის შესახებ, რომელსაც შემდეგში სინათლის კორპუსულური თეორია ეწოდა, რომელმაც ახალი განვითარება სინათლის უკანასკნელ — კორპუსულურ-ტალურ თეორიაში ჰპოვა.

უფრო მნიშვნელოვანი იყო ნიუტონის შრმები მექანიკაში და მათ შორის კი — შრმა მსოფლიო მიზიდულობის შესახებ. მართალია ნიუტონის ამ საკითხზე მუშაობდნენ სხვა ფიზიკოსებიც (ბულაილი, ბორელი და სხვ.), მაგრამ ნიუტონმა მათგან განსხვავდით, ჭერ ერთი, მათემატიკურად ჩამოაყალიბა მსოფლიო მიზიდულობის კანონი და, მეორეც, დამტკიცა დედაიწაზე არსებული სიმძიმის ძალისა და მსოფლიო მიზიდულობის ძალის იჯივეობა.

ასევე დიდია ნიუტონის დამსახურება კლასიკური მექანიკის ჩამოყალიბებაში. დღესაც მას ზოგვრე ნიუტონის მექანიკას უწოდებენ. ნიუტონმა ცდით დაამტკიცა ინერტული მასის და მიზიდულობის მასის თანაწირობა; ჩამოაყალიბა მოძრაობის სამი კანონი — ინერციის, მოძრაობის რაოდენობის ცვლილებისა და ქმედებისა და უკუმედების ტოლობის კანონები. ამ კანონებმა შესაძლებელი გახდა მექანიკური ამოცანების ამოხსნა ისე, რომ საჭირო აღარ იყო ძალი ძალების ფიზიკური შინაარსისა და კარტეზიანული ფიზიკური ეთერის გრიგალების შესწავლა. თავისი

კანონების გამოყენებით ნიუტონმა გამოთვალია ბევრის სიჩქარე სხვადასხვა გარემოში.

ნიუტონის აღმოჩენები მთემატიკაში — დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა, უსასრულოთა მწერივების მეთოდი, ზოგადი ბინომიალური მწერივის, მესამე რიგის მრუდთა კლასიფიკაცია და სხვ. — დამაგვირგვინებელი აღმოჩნდა იმ მოსაზღვრელი მუშაობისა, რომელსაც აწარმოებდნენ მისი წინამორბედნი: დეკარტი, კავალეური, ფერმა და სხვაბი.

თავის ფიზიკურ გამოკვლევებში ნიუტონი მატერიალიზმის დამცველად გვივლინება. მას დასაშვებად მიაჩნია მატერიის დამუკიდებელი არსებობა და სწამე მატერიის ატომური აღნაგობა. მაგრამ მისი მატერიალიზმი მეტაფიზიკური და არათომიმდევრულია. მისი აზრით მოძრაობა მატერიის დამახასიათებელ თვასებას არ წარმოადგენს. მექანიკაში მიღებული შედეგებით ფრთხებშესხმულმა ნიუტონმა კველა ფიზიკური მოვლენა მექანიკური ძალების ურთიერთქმედებაზე დაიყვანა. ნიუტონისა და მისი მოწაფეების მიერ შემოტანილ იქნა მექანიკური ძალის მატარებელი მატერია, რაც საფუძვლად დაედო სხვადასხვა ფლუიდების ანუ უწინადო სითხეების: სითბომბადის, სინათლის, მაგნიტური და სხვა სითხეების ცრუ თეორიების შექმნას. ნიუტონის ამ წამოწევამ გარკვეული ზინი მიაყენა ფიზიკის განვითარებას. მეტაფიზიკურია აგრეთვე ნიუტონის წარმოდგენა სივრცისა და დროის შესახებ.

ნიუტონის კვლევის მეთოდი ინგლისური ემპირიზმის ფუძემდებლის ბეკონის გავლენით განვითარდა. ნიუტონი პოლიტიკში მკაცრი კანსერვატორი დარჩა, თუმცა პოლიტიკურ ცენვრებში თითქმის არ მონაწილეობდა. ზოგი ამას სინის ერთგვარი ევალმყოფობით, რომელიც მას 1690 წელს გაუჩნდა სანდრის შედეგად მისი ხელნაწერების უმრავლესობის განადგურების გამო.

ნიუტონი თვითონ მოესწრო საკუთარი შრომების დაფასებას, ჭერ ევროპასა და ამერიკაში (1727 წლიდან), ხოლო შემდეგ რუსეთშიც: დ. ბერნულიმ, ლ. ეილერმა და

მ. ლომონოსოვმა ნიუტონის შრომებს ფართო გზა მისცეს. რუსეთში ნიუტონისადმი რწმენა ლომონოსოვის სახელთან არის დაკავშირებული. მისთვის ნიუტონი უდიდეს ავტორიტეტს წარმოადგენდა. როდესაც ლომონოსვი თავისი სამშობლოს ახალგაზრდობის შესახებ ლაპარაკობდა, იგი საზომად, ნიმუშად ნიუტონს იხსნიებდა.

ასევე წარმატებით სარგებლობდა ნიუტონის შრომები XVIII საუკუნის შუა წლებიდან საქართველშიც. კათალიკოსი ანტონ I, დავით რექტორი (დავით ალექსის ძე მესხიშვილი), დავით და იმანე ბაგრატიონები და სხვნი საკუთარი ფიზიკური შეხედულების განტკუცების მიზნით მრავალჯერ იმოწმებდნენ ნიუტონის ამა თუ იმ შრომას, რომელთა ლათინური ვარინტები ჩვენში უკვე 1760-იანი წლების დასაწყისიდან იქნა შემოტანილი. აი ერთი მაგალითი ანტონ I-ის მიერ წამდლვარებული კომენტარებიდან, რომელიც მან ვოლფის თეორიული ფიზიკის ქართულ თარგმანს დაურთო: "...უკეთუ არა გეგეროს იხილე ნევტონისა დეოცტრიკასა შინა გვ. 42 და მუნ სცნობ, რომელ ეს არს. ანტონი".

ნიუტონის შრომებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩვენში საბჭოთა ხელისულების დამყარების შემდეგ. ორ მაგალითს მოვიყვან: 1) 1927 წელს განსვენებულმა აკადემიკოსმა ს. ი. ვაკილოვმა ლათინურიდან რუსულ ენაზე თარგმანი. ნიუტონის „ოპტიკა“. მანამდე ეს შრომა არც ერთ სხვა ენაზე არ ყოფილა თარგმნილი, ასე გასინჯეთ, ინგლისურ ენაზეც კი. 2) ნიუტონის შრომების ტრადიციის შემდეგი თარგმანი ს შესწავლილა. ნიუტონის დაბალებიდან 300 წლის თავთან დაკავშირებულ საუბილეო სესიაზე ლონდონში იმავე ს. ვაკილოვმა წარადგინა შრომა — „ატომიზმი ნიუტონის შრომებში“. რომელმაც მსოფლიო ფიზიკოსთა შორის დიდი აღტაცება გმოიწვია და ერთხმად იქნა გადაწყვეტილი, რათა საიმპილეოდ შეკრებილი ფიზიკოსების სახელით მაღლობის დეპეშა გამოეგზავნათ ს. ი. ვაკილოვისათვის.

დოც. 3. პარადიგმა

— • —

კრიტიკა

ს ა ე უ რ ა დ დ ე ბ ა გ ა მ ა კ გ ლ ე ბ ა

ქართული მატერიალური კულტურისა და ტექნიკის ისტორიის მრავალი ფურცელი ჭრაც დაუშერელია. ძნელია გადავაფასოთ ის მნიშვნელობა, რომელიც ამ მიზნით სათანადო ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლის ენტება. ხალხი ხომ ემპირული ცოდნის, შრომითი ჩვევების, ტრადიციებისა თუ ცოცხალი სიტყვის სახით გულმოდგინედ ინახავს ბევრ ისეთს, რაც ათასეული წლების წინ შექმნა და რაზედაც ღუმს ძევლი წერილობითი ძევლები.

ამიტომაც გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც იწვევს ქართული მატერიალური კულტურის ამა თუ იმ ელემენტისადმი მიძღვნილი ყოველი ახალი ეთნოგრაფიული გამოკვლევა.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იყერობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მიხეილ გეგეშიძის ვრცელი მონოგრაფია „ქართული ხალხური ტრანსორტი, ნაწილი I, — სახმელეთო საზიდო საშუალებანი“, რომელიც ამას წინათ გამოცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომტკიცებობაში.

ავტორის თქმისა არ იყოს, „გადასაზიდ-გადასაყვან, ანუ სატრანსპორტო საშუალებებს საზოგადოების ისტორიაში ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სატრანსპორტო საშუალებანი ადამიანის სამეცნინო საქმიანობისა და ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი პირობათაგანი იყო, ამიტომ ტრანსპორტის განვითარებაზე დიდად იყო და არის დამოკიდებული საზოგადოების განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული წინსვლა“. ამის გამო სავსებით კანონზომიერია, რომ ქართული ხალხური ტრანსპორტი მონოგრაფიული შესწავლის საგანი გახდა.

სარეცენზიო მონოგრაფია ავტორის მიერ წლების მანძილზე წარმოებული კვლევის ნაყოფს წარმოადგენს. მასში ძირითადად გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალა, აგრეთვე მდიდარი შესაბარებელი ისტორიული, არქეოლოგიური და სხვა მონაცემები.

ნაშრომი შესავლისა და 4 თავისაგან: თავი I — ქართული ხალხური საზიდო საშუალებების სახეები და მათი გავრცელება, თავი II — ქართული ხალხური ბორბლანი საზიდო საშუალებების აგებულება და მათი დამზადების ტექნიკა, თავი III — საზიდო საშუალებების გამოყენება და თავი IV — ბორბლის უძველესი სახეების საკითხისათვის. წიგნს დართული აქვს. ვრცელი რეზიუმე რუსულ და გრამანულ ენაზე, საძიებლები, მთხობელთა და კორესპონდენტთა სია, ბიბლიოგრაფია და ნახატებისა და ფოტო-სურათების ტაბულები.

როგორც წიგნის პირველივე ფურცლებიდან ვრწმუნდებით, საქართველოს რელიეფის სამი ძირითადი ზოლიდან — თითოეულში გარკვეული ტიპის საზიდო დამკვიდრებულა: მაღალმოთანაში ფეხი მოუკიდია თრევა-სრიალის პრინციპზე დამყარებულ უბორბლო ტრანსპორტს — ძირითადად მარხილებს; ბარში — მგორავ ბორბლიან საზიდოს, მთხობინაციაზე დამყარებულ — შერეული ტიპის ტრანსპორტის ტრანსპორტისა და საქართველოს ცალკეულ კუთხებში გამოიმუშავებულია საზიდოს აღნიშვნული სამი ძირითადი ტიპის სხვადასხვა სახეები.

კონკრეტული სამეცნინო-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად საქართველოს ცალკეულ კუთხებში გამოიმუშავებულია საზიდოს აღნიშვნული სამი ძირითადი ტიპის სხვადასხვა სახეები.

წიგნში განხილულია ქართული ხალხური საზიდოს თითოეული სახეობა, მოცემულია მათი მეცნიერული კლასიფიკაცია, დეტალური აღწერილობა და ზუსტი კონსტრუქციული დახასიათება. ახსნილია ყოველი მათვანის თავისებურებანი, დაღვნილია მათი გავრცელების ფარგლები.

მეტაზე ეცნობა საქართველოს ბარის უმთავრეს საზიდა — ობიბრძლიან ურების, რომელიც უაღრესად მდგრადია მისთვის დამახასიათებელი სამი საყრდენი წერტილის (ორი ბორბლებათან და ერთიც ულეოლზე) წყალობით და აღვილზე შემობრუნების შესანიშნავი უნარის მქონეა ღერძზე ყრუდ დამაგრებული ერთ-ერთი ბორბლის გამო; დასავლეთ საქართველოს მთაგორების პირზომის, შერეული ტაპის (გორგისა და თრევის კომბინაციაზე დამყარებულ), ტანძორჩილ აჩაბა ურების, რომელიც დაღმართში თავის დასაცერად (სამუხრაული) მარტივი და ორიგინალური „ფრჩხილებით“ ღამურვილია; აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირის ზოლის ბინაფარს „ბორბლობრიას“, რომელიც აჩაბა ურმისაგან განსხვავებით, მიწაზე თავით კი არ „ეორევა“, არმედ ბოლოთი, როგორც ამას მისი სახელწოდებაც მიუთითებს; ღიღი ქვევრების გადასაზიდად განკუთვნილ, არქაული ხასიათის, საგორავებზე შედგმულ ფრჩხილებიან „პურის ურების“ — „თუშს“ და სხვ.

სავსებით მართებულია შრომაში გატარებული შეხედულება, რომ სატრანსპორტო საშუალებათა ცალკეულ სახეობათა კონსტრუქციულ თავისებურებებს განსაზღვრავს დაგილობრივი სამეცნინეო-გეოგრაფიულ პირობათა ერთობლიობა.

მ. გვეშიძის მონოგრაფიაში განვითარებულია, რომ ქართული ხალხური სატრანსპორტო საშუალებანი საუკუნეთა მანძილზე უშუალო კავშირში იყო მეცნიერების ცალკეულ — უმთავრესად კი წამყვან და ინტენსიურ დარგებთან, მემინდვრებობასა და მევენაცხობა-მეღვინეობათან. დაგვნილია, რომ ამ დარგთა გაზრდილი მოთხოვნილების საუცხველზე შექმნილია საგანგებო საზიდოს ორიგინალური და თვითმყოფი სახეები.

არანაკლებ საინტერესოა ნაშრომში უხვად წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მონაცემები საზიდთა დამზადების შესახებ. აქ ნაშვნებისა ყველა მომზრტი სამასალ ხის შერჩევიდან, ვიდრე გამზადებული ნაწილებისაგან საზიდოს აწყობა-ასემამდე. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ურმის თვლების დამზადების რთულ ტექნოლოგიას.

ეს მასალა კიდევ ერთხელ გამოკლენს ქართველ ტომებში სხვადასხვა გიშის ხის თვისებათა ზედმიწევნით ცოდნას და ხის დამუშავების მაღალ ხელოვნებას.

ამ მხრივ განსაუთრებებით აღსანიშვნავია საურბო მასალის ორი ნედლი და გამხმარი — სახით გამოყენება: „ნედლი მასალისაგან კათედება საზიდოს ის ნაწილები, რომლებშიც ხის სხვა ნაწილების მოთხავები, ხმელი უნდა იყოს. ნედლი ხე თანაბათობით შეჩება, იკუმშება და მასში ჩამჯდარ ხის სხვა ნაწილებს უჭერს, „მოლავების“ საშუალებას არ იძლევს; თავის მხრივ ხმელი ხე დროთა განმალებაში არ იკუმშება, სიღიღეში არ კლებულობს და არც ლაღდება“ (გვ. 57).

საინტერესოა აგრეთვე უჩიშის ზოგიერთი წაწილის „გატუსისა“ და მატივით გაგრძელის ხალხური წესი — ხის გასკდობისა და ჭიის გასტინაღმდევობდ.

ურმის თელების ტექნოლოგიიდნ საგულისხმოა მასივურ-სეგ-ჭენებიან ბორბლებში სეგმენტების შინაგანი სოლებით დაკავშირების უაღრესად ორიგინალური ხერხი და სხვ.

საქართველოში გავრცელებული ტრანსპორტის სახეების კონსტრუქციისა და მათი დამზადების ტექნიკის შესახებ წიგნში მოტანილი ეთნოგრაფიული მასალის სახით მკითხველი ეცნიბა ტრანსპორტის დარგში ქართული ხალხური ტექნიკური აზრის მნიშვნელოვნების მონაბეჭრს: არა ერთ და ორ შესანიშნავ გამოგონებას, საუსაღებო მიგნებასა და დაკავირვებას, ტექნიკის ურთულეს პრობლემთა გონიერამახვილ გადაწყვეტას.

ქართული ხალხური სატრანსპორტო კულტურის მაღალ დონეს მომზადების წიგნში წარმოდგენილი უაღრესად მდიდარი და ნაირფეროვანი ტექნიკური ტერმინოლოგიაც. საქართველოს თითქმის ყველა ერთეულში შეკრებილი ეს ერობრივი მასალა საგულისხმოა აგრეთვე ქართული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით და ამიტომაც ენათმეცნიერთა სერიალური ყურადღების ღირსა.

წიგნში ღიღი ადგილი აქვს დამთბობილი საქართველოში სახმელეთს საზიდის გამოყენებას. პირველ რიგში განხილულია ეთნოგრაფიული მასალა საზიდში გამოყენებული გაშევი ძალის შესახებ. გრძელია ხარის, კამეჩის, ცხენისა და სახედრის ტერიტორიული ფარცელებისა და საზიდის ამა თუ იმ სახეობაში მათი გამოყენების ფარგლები. მოცემულია თითოეული მათგნის სათანადო დახსინითება. ნაშრომში უხვადა საინტერესო ცნობები სეკონლის გამოქვნა-გახედვნის, მისი ნორმალური ექსპლორაციის მიზნით ტვირთის განაწილებას, უღელში შესაფერისი ადგილისა და მეუღლების შერჩევის, სენტრლის კვების, მუშაობაში მისი შეყვირების, სიგნალიზაციისა და სხვათ შესახებ.

ევტორი ფართოდ ეხება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში საზიდო გამოყენების შემთხვევებს. დადგნილია ტრანსპორტის ცალკეულ სახეობა სამეურნეო ფუნქცია, სათანადო ტვირთის სახეობანი, მათ წნა და მოცულობა, შრომის ორგანიზაცია, საზიდის დატევირთობა; გზში მისი მოცულა-ცატრანსპორტისა და სხვადასხვა რელიეფის პარმეტში ტარების წესები და ა. შ.

დასასრულ, წიგნში განხილულია ბორბლის წარმოშობისა და მის უძველესი სახეების ზოგადი პრობლემა. ამასთან დაკავშირებით ტრიტიულადა გარჩეული საკითხის შესახებ არსებული თეორიები. სტრუქტურული მატერიალური სტრუქტურული სტრუქტურული მნიშვნელოვან განსხვავებული ელემენტებია, ამიტომაც კონსტრუქციული განვითარების ერთასი გზას ისინი ვერ გაიკავიან.

ეს გარემოება ცხადყოფს, რომ საქართველოში გავრცელებული ტრანსპორტის სახეების შესწავლა საყურადღებოა არა მარტო ქართული კულტურის, არამედ აგრეთვე ზოგადი კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

მასალის ზუსტი და ყოველმხრივი აღწერა, ისტორიზმი, საკითხების ზოგად-კულტურულ ასექტში განხილვა, ნათელი, საინტერესო თხრობა წიგნის უდავო ღირსებებია.

წიგნის განსაკუთრებული ღირსებაა აგრეთვე კარგად შერჩეული და მხატვრულად დამუშავებული ნახატებისა და ფოტოსურათების მრავალრიცხვობინი ტაბულები (70-ზე მეტი). ოღონდ დასანაია, რომ მათი საგრძნობი ნაწილი ცუდადა დაბეჭდილი.

სარეცეპტო ნაშრომს ნაკლოვანებებიც გააჩნია. მივუთიერებთ ზოგ მათგანზე: წიგნის სერიოზული ხარვეზია მასში უბორბლო ტრანსპორტის შესახებ აღწერილობითი მასალის სიმცირე. მართალია, ნაშრომის პირველ თავში ქართულ უბორბლო საზიდს გარკვეული აღგირებული ეთმობა (მოცემულია მისი ზოგადი კონსტრუქციული დახასიათება, დადგნილია გავრცელების ფარგლები და სხვ.), მაგრამ მეორე თავში, სადაც თავმოყრილია კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალა ქართული სახმელეთი საზიდის აგებულებისა და დამზადების ტექნიკის შესახებ, თითქმის არაფერია ნათელად უბორბლო საზიდან დაკავშირებით. უდავო, რომ წიგნში, რომელიც ქართული სახმელეთი საზიდისადმია მიღებილი, შესაფერისი ადგილი უნდა მიჩნეოდა უბორბლო ტრანსპორტსაც.

უძველეს საქართველოს ტერიტორიაზე ოთხბორბლიანი საზიდის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით ავტორი არ დგას ერთ გარკვეულ პიზიციაზე. მონოგრაფიას პირველ თავში აღნიშნული საკითხი უარყოფითადა გადაწყვეტილი, ხოლო წიგნის დასკვნით ნაწილში ავტორი აღიარებს საქართველოს ტერიტორიაზე მესამე ათასწლეულში ოთხბორბლიანი ტრანსპორტის არსებობს და გამოყენებას.

ძნელი გასაზიარებელია წიგნის რამდენიმე ადგილას გამოთქმული აზრი (გვ. 39-40, 76-77), თითქოს საქართველოში ხალხურ სახმელეთი საზიდა და სახენელ ასაღებს განვითარების ერთნაირი გზა გაევლოთ. საზიდი და სახენელი ერთმნეობისაგან ფუნქციონალურ-კონსტრუქციულად მნიშვნელოვან განსხვავებული ელემენტებია, ამიტომაც კონსტრუქციული განვითარების ერთასი გზას ისინი ვერ გაიკავიან.

მოტანილი შენიშვნები არ სცემს წიგნის საერთო ღირსებას. მ. გეგმშიძის მონოგრაფია ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაცემისა. იგი დამსახურებულად მიიღებობს ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა, ტექნიკის სპეციალისტთა ურადღებას.

სასურველია, რომ ავტორმა, დაპირებისამებრ, განავრობს ამ მიმართულებით მუშაობა და სათანადო დამუშავოს ქართული ხალხური ტრანსპორტის დანარჩენისათვის — სასპალენტრანსპორტო ტრანსპორტი და წყლის ტრანსპორტი.

პ. ლეკიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

კულტურული მდგრადი

არაჩეულებრივი ენა

ბევრ ადამიანს შეუძლია სტენა, ხოლო ზოგი ვირტუოზულად უსტევნ. მაგრამ ძნელად თუ მოუგა გინმეს აზრად სტენა გამოიყენოს როგორც ლაპარაკის საშუალება. ჩვენ შეიძლება ამ გზით გამოვეხმაროთ ადამიანს, მიციცეთ სიგნალი, თუმცა სტენით ლაპარაკი სიტყვის სრული მნიშვნელობით არც ერთმა ჩვენთაგანმა არ იცის. კანარის კუნძულებიდან კუნძულ გომერის მცხოვრებნი კი დაუფლებული არიან ამ არაჩეულებრივ ხერხს.

კუნძულის მცხოვრებნი ესპანური ენის ერთ-ერთ ღიალებტე ლაპარაკობენ. თუ ვინმეს სასწრაულ ცნობის გადაცემა უნდა ადამიანისათვის, რომელიც მისგან რამდენიმე კმ-ითაა დაცილებული, იგი იმავე ესპანურ ენას იყენებს, მაგრამ გადატანილს სტენაზე

როგორ შეიძლება წარმოშობილიყო ეს დინგვისტიკური ფენომენი?

შერიდან კუნძული უზარმაზარ კარავს მოგაგონებთ: კუნძულის ცენტრში ალმართულია 1500 მ-მდე სიმაღლის მთა. მისგან ყოველბრივ გადაჭიმულა ფლატებიანი ხეობები, რომლებიც ხევითაა დაფარული. სოფლებს შორის სავალი რთული და სახიფათაა. კუნძულზე არის მხოლოდ ერთი გზა, რომელსაც ეს სახელი შეიძლება გაჭირვებით უწოდოს.

უსსოვარ დროში, როცა კაცობრიობას ჯერ კიდევ წარმოდგენა არ ჰქონდა ტელეგრაფისა და ტელეფონზე, კუნძულზე გამოგონებულ

იქნა თავისი „უმავთულო კაგშირი“ — სტენის ენა. ისტორიას არ შემოუნახავს პირველი „ლინგვისტი-გამომგონებლის“ სახელი.

1402-1405 წლებში ესპანეთის ჯარებმა დაიძყრეს კანარის კუნძულები. როგორი იყო ახალმოსულთა გაოცება, როცა მათ ნახეს, თუ როგორ ელაპარაკებოდნენ გუანჩასები (ასე უწოდებდნენ თავის თავს კუნძულის მეციდრი) ერთმანეთს სტენით. შემდეგ ესპანელი კოლონისტები შეერივენ ადგილობრივ მცხოვრებთ და მათგან შეიოვისეს სტენის მეშვეობით სიტყვების გამოთქმა, მხოლოდ შეუცარდეს თავიანთ ესპანურ ენას. ამ არაჩეულებრივა ენა მიიღო ესპანური სახელწოდება — სილბო, ხოლო ამ „ენაზე“ მოსაუბრებ — სილბალორი.

რაშა სილბოს საიდუმლოება? „მოსაუბრე“ ენის შვერს აჭერს კბილებს და იწყებს სტენას, წარმოთქვამს რა იმავდროულად სიტყვებს ისე. როგორც ეს ხდება ჩვეულებრივი საუბრის დროს. ამასთან ზოგი სილბალორი პირში იდებს ერთ ან ორ თითს. არის ისეთებიც, რომლებიც ხელის გულს როგორც მეგაფონს იყენებს. გამოცდილ სილბალორს შეუძლია იოლად დაუსტენინს და გადმოსცეს ყველაფერი, რის თქმაც ესპანურად შეუძლია.

მრავალი მოგზაურის ცნობით სილბალორები (როგორც კაცები, ასევე ქალები) ძალიან

მძღვრად უსტევნენ, ისინი ამტკიცებენ, რომ მათი სტენია ძნელად თუ ჩამორჩება... ორთქლმავლის სტენას! ამიტომაა, რომ სილბალორს თავისუფლად შეუძლია თანამოსაუბრეს ელაპარაკოს 5—6 კმ მანძილზე.



სილბალორად გახდომა არც თუ ძნელია. ერთ-ერთი ფრანგი მოგზაური სილბოს დაუუფლა სამ თვეში.


კუნძულელი ბავშვები სილბოს დიდი მოყვარულებია: 11—12 წლიდან ისინი მთელი ფრაზების სტენის იწყებენ. გადის წლები და თითოეული სილბალორი გამოიმუშავებს სტენის საკუთარ სტილს.

შექსიისა და ეკვატორული აფრიკის ზოგ რაიონში არსებობს სტენის ენა, მაგრამ ისინი ისე ზუსტი არაა, როგორც სილბო.

ქართველი კუნძულები

კამბოჯში, ტბა ტონ-პე სანის ჩრდილოეთით, ჯუნგლებში არსებობს ძეელი ქალქეუს ღიდებული ნანგრევები. მის სასახლეებსა და ტაძრებს 9 კვ. კმ-ზე მეტი ფართობი უკაია.

ცნობები ამ შესანიშნავ ქალქეზე ცოტაა. მას ანგერის უწოდებენ; ის დედაქალაქი იყო კხმერებისა, რომელთა სახელმწიფომ თავის აყვავებას IX—XIV საუკუნეებში მიაღწია. კხმერები გულადღინ გამოირჩიოდნენ. მცირე ხნის განვითარებაში მათ დამორჩილეს მეზობელი ტომები და უზარმაზარი სიმდიდრე



მუსო თუ არა თქვენ,

რომა..

შეგროვეს. თავიანთი დედაქალაქის აგებისას მათ გამოიყენეს მონების მრავალრიცხვოვანი არმია, რომელიც ხელში ჩაიგდეს მძარცველური თავდასხმების დროს.

მაგრამ დაახლოებით XIV საუკუნის ბოლოს უზარმაზარი ქალაქი, რომელშიც თითქმის მიღონიამდე მოსახლეობა იყო, უცირად განად-



გურდა და ჯუნგლების ნადავლი გახდა. კხმერების სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. არ არსებობს ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა მოუვიდა ანგკორს. ზოგიერთი სწავლული ამტკიცებდა, რომ ქხმერების მეზობელმა ტომება, რომელთა შორის სიამელებიც იყვნენ, ერთმანეთს შორის შეკრეს სამხედრო კავშირი, საერთო ძალებით დაპყრეს დედაქალაქი და მისი მოსახლეობა გაფიქტეს. მაგრამ ქალაქის ნანგრევებში თავდასხმის ან ალყის მაჩვნენებელი არაური აღმოჩნდა. სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს ჰიპოთეზა, რომ ქალაქში გაჩნდა ეპითემია: მოსახლეობის უმრავლესობა დაიხიცა, ხოლო დანარჩენები გადასახლდნენ სამხრეთში, სადაც დაარსეს ქალაქი პნო-პენი — კამბოჯის დედაქანდელი დედაქალაქი. ასეა თუ ისე, მაგრამ ანგკორი გაპარტახდა და შრავალი საუკუნის მანძილზე ევროპისათვის უწონო იყო. მხოლოდ 1911 წლიდან დაწყო მუშაობა მისი ნანგრევების გასწმენდად.

ანგკორის ყველაზე საინტერესო ნაგებობაა ტაძარი ბაონი, მიძღვნილი ინდუსტბის ღმერთის შივას კულტისადმი. ესაა უზარმაზარი ორსართულიანი შენობა 49 კოშეთ.

ეჭვი არაა, რომ ამ ძველი ქალაქის ქეგლთა შემდგომი შესწავლა ტვირფას მასალას მოგცემს კამბოჯის ხალხის კულტურისა და ისტორიისათვის.

...სიტყვა მიღიონი, რომელიც ათასერ ათასს ნიშნავს, დიდი ხანი არაა. რაც შეიქმნა, იგი გამოიგონა ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა მარკო პოლომ. იტალიური სიტყვა mille (მილე) ათასს ნიშნავს, ხოლო one (ონე) გამადიდებელი დაბოლობაა.

...საბჭოთა სწავლულებმა გამოიაწარიშეს, რომ სსრ კავშირის მდინარეებს ერთი წლის განმავლებაში შეუძლიათ გამოიმუშაონ 2500 მლრდ კილოვატსათი ელექტროენერგია. სსრ კავშირის ყველა ელექტროსადგური 1960 წელს გამოიმუშავებს სულ 320 მლრდ კილოვატსათ ელექტროენერგიას, რაც ჩვენი ჰიდროენერგეტიკული რესურსების მერვედ ნაწილს შეადგენს.

...ყველაზე ზუსტ ბუნებრივ „საათად“ დედამიწა ითვლება, მაგრამ გამოირკვა, რომ იგი ყველთვის თანაზომიერად არ ბრუნავს: ყველაზე სწრაფად იგი აგვისტოში ბრუნავს, ხოლო ყველაზე ნელა — მარტ-აპრილში.



ამასთან ეს ცვლილება მარტი წლის განმავლობაში როდი ხდება, არამედ საუკუნეების მანძილზეც. როდესაც დედამიწა უფრო სწრაფად ბრუნავდა, ვიდრე ახლა.

...ანტარქტიდაში არსებული ყინული რომ დამდინარიყო, მაშინ მსოფლიო ოკეანის დონე 30-50 მეტრით აწევდა.

...ვეგებერთელა კენგურუ 6-დან 10 მ-მდე სიგრძისა და 2-დან 3 მ-მდე სიმაღლის ნატომს აკეთებს, მაგრამ ხტომაში რეკორდი



ჩრიულს ეკუთვნის: მისი ნახტომი 200-ჯერ აღემატება თვით მწერის სიგრძეს.


...მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობის ტანკერი ააგეს იაპონიაში. მისი წყალწუა 84730 ტონას უდრის.

...ლონდონის ველოსიდებების ერთ-ერთ გამოიყენება ასაწინათ წარმოდგენილი იუთ ველოსიდების ჩარჩო პლასტმასისა და მინაბუჟვისაგან. ასეთი ჩარჩო 5-ჯერ ნაკლებს იწონის, ვიღრე ჩვეულებრივი ფოლადის ჩარჩო.

...1954 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტომატებმა 730 ათასი მუშის შრომა შეცვალა და უფრო მეტი პროდუქცია მისცა, ვიღრე იმავე რაოდენობის მუშებმა.

...ტელეფონისა და ტელეგრაფის ბძები შეიძლება დაზიანდეს მინაბოჭვოვნი მილებისაგან. ისინი კარგად ძლიერ წყალში და მათი სიმტკაცე უახლოვდება ფოლადის მიღებისას.

...პლატინა იშვიათი ლითონია. ყველა სახელმწიფოს მიერ (გარდა სსრ კავშირის) მისი მსოფლიო მონაპოვარი შეიძლება მოვათვით სატვირთო ავტომობილის ძარაზე. ეს იმ დროს, როცა ნიკელის მსოფლიო მონაპოვრის გადასატანად საჭირო იქნებოდა 30-ვაზონიანი 100 სარკინიგზო შემაღებლება.



სეტყვა და ჭიქა-ძუხილი*

სეტყვა წარმოიშობა მძღავრი, ე. წ. გრივაზიმის ღრუბლებისა-
გან, რომელიც ჩვეულებრივად წლის თბილ პერიოდში ცითარებდა.

ასეთი მძღავრი (ვერტიკალურად მეტად განვითარებული) ღრუბ-
ლების შესაქმნელად უცილებელი პირობას წარმოადგენს პაერში ძლი-
ერი აღმავალი დინების არსებობა. სუსტი აღმავალი დინების დროს
მხოლოდ თხელა (ვერტიკალურად ნაკლებად განვითარებული) ღრუბ-
ლების წარმოშობა შეიძლება. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს პა-
ვრის და მასში შემავალი წყლის ორთქლის მოძრაობას ქვევიდნ
ზევით. სიმაღლის მატებასთან ერთად ატმოსფერული წნევის შემცი-
რების გამო პაერი ფართოვდება, რაზედაც იხარჯება სითბო და იგი
ყოველ 100 მეტრზე 10°-ით ცივდება. ამის შედეგად პაერის ტემპერა-
ტურამ შეიძლება ისეთ დონეს მიღწიოს, როდესაც იგი გაფრებული
გახდება წყლის ორთქლით, რის შედეგები იწყება ამ უკანასკნელის წვე-
ოთხად გადატევა, პაერის ტემპერატურა ამ დროს 0°-ზე მაღალია.
0°-ზე დაბალი ტემპერატურის შემთხვევაშიც შესაძლებელია თხიერი
მდგმარების ფაზის გაუვლელად წყლის ორთქლის უშუალოდ ყი-
ნულის კრისტალებად გადატევა.

აღმავალი დენა პაერში იქნება უმთავრესად იმის გამო, რომ
მზისაგან გამოხარი დედამიწის ზედაპირი ათბობს მის მახლობელ პა-
ვრის ფენას, რომელიც ამის გამო თავისითავად მიისწრაფების მაღლა.

პაერის აღმავალი დინების წარმოშობა შესაძლებელია გრძელე-
ობულებით ხდებოდეს — თბილ პაერში ცვი პაერს შემოტრით, ან
კიდევ მშინ, — როდესაც მთისაკენ მოძრავი პაერის მასა იძულებუ-
ლი ხდება აკვეს მის ფერდობებს.

კველა ამ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს სხვადასხვა სახის
ღრუბლები, რომლის ნაწილაკობრივი შედგენილობის (წყლის, თუ გა-
ყინული) მიხედვით შეიძლება მოვიდეს წვიმა ან თოვლი. სეტყვის
წარმოშობა კი მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში ხდება.

სეტყვის მარცვლების შესაქმნელად საჭიროა პაერის ისეთი ძლი-
ერი აღმავალი დენა, რომელიც შეძლებს წყლის გაყინული წვეთების,
ასიგნაც შედგება სეტყვის მარცვლები, უარყოფითი ტემპერატუ-
რის მქონე პაერში შეჩერებას ან კიდევ უფრო მაღლა ატანას. ამ
დროს ეს კი წული ნაწილაკები მასთან სხვა სეტყვები ნაწილაკების
შეერთება. მათ სულ მეტად და მეტად იზრდება (მსხვილება) და
იწყებს ვარდნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი გარდნის ძალა პა-
ვრის აღმავალი დინების ძალას გადატებებს.

ასეთი ძლიერი აღმავალი დენა უმთავრესად წარმოიშობა წლის
თბილ პერიოდში, როდესაც მზე მეტად აცხეუბებს. ზღვებზე და მის
სანაპიროებზე (მაგალითად, ბათუმში, ფოთში, სოხუმში და სხვ.) სეტ-
ყვის წარმოშობა შესაძლებელია ზამთარშასაც, როდესაც ზედა-
პირი და მასზე მდებარე პაერის ფენა უფრო თბილია, ვიდრე გარე-
მო პაერი. ამის გამო, ამ დროს აქ შეიძლება წარმოიშვას პაერის იძ-
ლენად ძლიერი აღმავალი დენა, რომელიც განაპირობებს სეტყვის
მსაკუთრებულ მარცვლებში კი — ზამთარში, მოუხედავად პაერის მე-
ტად დაბალი უარყოფითი ტემპერატურისა, რომელსაც ადვილად შე-
უძლია გამოწვიოს წყლის წვეთისა და წყლის ორთქლის გაყინვა,
სეტყვის წარმოშობამდე საქმე არ მიღის. ეს იმიტომ, რომ ჩვეულებ-
რივად ამ დროს პაერის აღმავალი დენა იძლენად მცირეა, რომ თოვ-
ლის მჩატე ფიფქებიც კი ვერ ჩერდება პაერში და დაბლა ცვივა.

* იმეტება ამს. უ. საბანაძის შეკითხვის პასუხად.

ელჭექის (ცექა-ქუხილის) გამომწვევი მიზეზები დაკავშირებულია
ჰარეში (ღრუბლებში) ელექტრომუხტების წარმომაბათან, რომელ-
საც აღვილი აქვს ყოველგარი სახის ნალექის დროს, მაგრამ ელჭე-
ქისათვის საჭირო პირობები ყოველთვის არ იქნება. ელჭექი რომ
წარმოშვას, საჭიროა ღრუბლები შედგებოდეს რაც შეიძლება მსხვი-
ლი წვეთებისაგან, რადგან წვრილი წვეთები იმდენად ნაკლებ ელექ-
ტრომუხტებს შეიცავს, რომ მისი რაოდენობა საკარისის არ არის
ელჭექის წარმოსაშობად.

მსხვილი წვეთების შესაქმნელად, როგორც ზევით იყო მითითე-
ბული, საჭიროა პაერის ძლიერი აღმავალი დინების არსებობა, რო-
მელიც ჩვეულებისგან წლის თბილ პერიოდში უფრო ვითარდება. ამიტომაცა, რომ ელჭექი უმეტესად ამ დროს იცის და მისი წარმო-
შობის პირობები თითქმის ისეთივეა, როგორიც — სეტყვის; ელჭექი
შესაძლებელია ზამთარშიც ზღვებზე და მის სანაპიროებზე, სადაც ამ
დროს პაერის აღმავალი დინების გამაძლიერებელი პირობებია შექ-
მნილი.

პ. გოგიზილი გეოგრაფიის შეცნიერებათა კანონდატი

დუშათის რ-ნი, სოც. ბარისახო. ს. ხორნაულს

კითხვა: რა ხელსაწყოების საშუალებით იჩვევა პლანეტებზე
ამა თუ იმ ქიმიური ელექტრის არსებობა? შეიძლება თუ არა პლანე-
ტებზე უფრო ძლიერი იქნეს აღმოჩენილი უცნობი ელექტრები, ვიდ-
რე დაღმიშვილება?

პასუხი: საზოგადოდ ციური სხეულების ქიმიური შედგნილო-
ბის შესწავლა ხდება სპექტრული ანალიზის საფუძველზე. ციური
სხეულების სპექტრებს სპექტროსკოპებისა და სპექტროგრაფების
საშუალებით ღებულობრივია. არის შემთხვევა, როცა რომელიმე ქიმი-
ური ელემენტი პირველად ციურ სხეულზე აღმოჩინება.

ქ. თბილისი. ი. ცვალისიდეს

კითხვა: არის თუ არა მიზიდულობის კანონი მზის სისტემის ძი-
რითადი კანონი?

პასუხი: მსოფლიო მიზიდულობის კანონი წარმოადგენს უალ-
რესად მნიშვნელოვან კანონს არა მატო მზის სისტემაში, არამედ
ბურებაში, სამყაროში. ის ერთ-ერთი ძირითადი და განვითარებული
კანონია, რომლიდნაც გამოყენებით მრავალი სხვადასხვა შედეგი და
მოვლენათა უამრავი ფაქტი. ყველა ციური სხეულის მოძრაობა ამ
კანონით ისხსება. მზიდულობის ძალა მომენტებს არა მატო ცი-
სათობებს ზორის, არამედ ყველა სხეულს ზორის. მიზიდულობის
ძალის ფიზიკური ბუნება ნიუტონმა ჩამოყალიბა მატემა-
ტიკური ფორმულით.

მზის სისტემაში პლანეტების მზის გარშემო მოძრაობა აიხსნება
ამ კანონით.

რაც შეეხება კითხვას, თუ როგორ ავსნათ ამ კანონის საფუძ-
ველზე მზის სისტემის წარმოშობა სხვადასხვა ჰიპოთეზებით, გიჩჩევთ
წიკითხოთ ე. ხარაძის ბრძოლა „საბჭოთა კოსმოგონიის მიღწე-
ვები“.

გოგის რ-ნი, სოც. ბარისახო. ი. გუგულისიდეს

კითხვა: რატომ ციმციმებს ვარსკვლავები?

პასუხი: ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია უზრნალ „მეცნიერება
და ტექნიკას“ 1957 წლის № 4-ში.

გ. კალანდაძე

ფიზიკა-მარებატიკის შეცნიერებათა კანონდატი, ბათუმის პედა-
გოური ისტიტუტის ფიზიკის კათედრის დაბლა ცედენია.

Зему бъз

క్రింది ప్రాంతములు

ტენიანი ჰაერი წარმოადგენს შშრალი ჰაერისა და
წყლის ორთქლის ნაკვეპს. გამოკლევება კი აჩვენა, რომ
წყლის ორთქლი ატმოსფერულ აირებზე უფრო მსუ-
ბუქია. ამიტომ ლიტრი შშრალი ჰაერი ერთი და იმავე
ტემპერატურისა და წნევის დროს უფრო მძიმე იქნება,
ვიდრე ლიტრი ტენიანი ჰაერი.

ଓଡ଼ିଆ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ପ୍ରୟାଳି ମନେଶ୍ଵରେଲୁଙ୍ଗାବାନୀ ରାଖଦ୍ରବ୍ୟବିଧିରେ ଶେରାପ୍ରାୟ ଗାବ୍ଲେ-
ବିଲ କ୍ଷେତ୍ରରେ, ରହମେଲୁଚ ତବିଲ ତାତକଶି ଶେତ୍ରାବିନୀର ଧରିବୁ
ମିଲଗାନ ଗମନ୍ତ୍ରସଂଗ୍ରହ ଦୁଶ୍ଶୀଲାବ୍ୟବରେ ସାବିତ. ଏ ମିଠାଟ ଆକ୍ଷେଣ୍ଯ-
ଦ୍ୱା, ରହମ ଶ୍ରୀପତିରାତ୍ରିଭୁବି ମନେଶ୍ଵର୍ବିଧିର ଅର୍ଥବିଳା କ୍ଷେତ୍ରଫଳରୁ
ପ୍ରୟାଳିଶି ମହିନରେବା. ତୁ ପ୍ରୟାଳି ଉପବାଦ ଅଗ୍ରିଲେକ୍ଟ ପ୍ରୟାଳ-
ଶାଲେନୀର ନେବାନିର୍ଦ୍ଦାନ, ମିଲଗାନ କ୍ଷେତ୍ରରେ ଦୁଶ୍ଶୀଲାବ୍ୟବରେ ଗମନ-
ଶ୍ରୀପତି ଉପରେ ନିର୍ମିନ୍ଦ୍ରିୟରେ ଜ୍ଞାନବା, ରାଖଦ୍ରବ୍ୟ ପ୍ରୟାଳିଲାଶରେ ମି-
ଲେବଶି ପ୍ରୟାଳି ଅତିମନ୍ତ୍ରସଂଗ୍ରହରୁଲକ୍ଷ୍ୟ ମେତି ନେବାବା ଗାନ୍ଧିତ୍ରିନୀ
ରୁ ମାଶି ଗାବ୍ଲେନିଲୀ କ୍ଷେତ୍ରର ରାଖଦ୍ରବ୍ୟବିଧି, ଦ୍ୱାରା.

ორი სითხე

ჭურჭელში უნდა ჩავთვატოთ წყალი. ოუ წყალი ზე-
და სითხეა, ჩამატებული წყალი შეერევა მსა და ქვედა
სითხე უცვლელი იქნება. ოუ წყალი ქვემოთაა, ჩამა-
ტებული წყალი გაივლის ზედა სითხეს და შეერევა-
ქვედას.

ეპრაციალური გამოცანა

ცნობილია, რომ თუ მბრუნვა იმიერტის კუთხური
სიჩქარე შეტანა მისი კანგაღალების სიჩქარეზე, მაშინ
პროექციონური გადასახვა ხშირად წარმოაშობა „ფას
მოძრაობის“ ეფექტი; მაგალითად, წინ მოძრავი ავტო-
მობილის თვლები ბრუნვას უკეთ მიმართულებით.

ტრაქტორის წინა თვლების დღამეტრი ნაკლებია, ვიღებულია თვლებისა. ამიტომ მოძრაობისას წინა თვლების კუთხური სიჩქარე შესაბამისად მეტია, ვიღებული გადასახლება და, უპირველია, მოცულეულ შემთხვევაში იგი რამდენადმე აჭარბებდა კინგადაღების სიჩქარეს, რას გამოც ეკრანზე ტრაქტორის წინა თვლები ბრუნავდა საწინააღმდეგო მიმართულებით.


ବେଳୀରେ ଲାଗିଥାଏ

ტემპერატურის დაკლება იმიტომ ხდება, რომ სეტივა
გადანობისას მის ირგვლივ არსებულ სხეულებს (ჰაერი,
მიწა, ბალაზი და ა. შ.) ართმევს სითბოს. როგორც
ცნობილია, თითოეული გრამი ყინვის გასაღნობად საჭი-
რო 80 კალორია სითბო.

ପ୍ରକାଶନ ଓ ମେଲିଙ୍ଗାର

გატეპნილ გზებზე ნიაღავი გამკვრიცებულია და გა-
დიღებული კაბილარბა ქვეს. წყალი შეაღწევს გზის
ზედა ფრებს და სწრაფულ ირთქმლება.

Հ Ա Յ Ա Խ Ո Ջ Ո



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶନ

3. თვითმფრინავის ნაწილი;
 4. სეკურტების შემაქროდებული ნაგებობა;
 8. ლითონის დამუშავების პროცესი;
 9. საბრტყის ან ხაზის ჰორიზონტალურად გასამართვი ხელსაწყო;
 13. რუების კრებული;
 14. ქიმიური ელემენტი;
 15. ატ-მოსფეროს მდგომარეობა განსაზღვრულ დროსა და ადგილზე;
 16. სიძმინის ასაწევი მოწყობილობა;
 18. ლანათნიდი;
 20. ბუნებაში ფართოდ გავრცელებული ლითონი;
 24. საზენკლო იარაღი;
 25. თმის საღებავი;
 26. სქელი მაგარი ქაღალდი;
 29. საზღვაო ტრანსპორტი;
 30. წყლის ხელოვნური კალაპოტი;
 32. ელექტრული ლენის ძაბვის საშომი ერთეული;
 33. კორძისებრი გამაკრება შენაძნებები;
 34. ამავის ნაწარმი;
 39. ძველებური წონის ერთეული;
 40. ტრანსპორტის სახე;
 41. მოვერცხლისფრო ლითონი;
 46. დახურული ცარიელი სივრცე ხელსაწყოს შიგნით;
 48. ციური სფეროს დიდი წრე;
 49. მუდმივი, რომელისკენაც მიისწრავის ცვლადი სიღილე;
 50. ლითონის ხაწილების შესამაგრებელი დეტალი;
 51. უმცირესი ოდენობა ზოგიერთი ფიზიკური სიღილისა;
 52. შენობის ნახევარჩრიული ნაწილი;
 53. საგანგებოდ დამუშავებული ტყვავი, რომელიც ძველად საჭრე მასალად იხმარებოდა.

ବ୍ୟାକୁଳ ପରିଚୟ

- ტუმშერატურის დაკლება იმიტომ ხდება, რომ სეტყვა ცალნობისას მის ირგვლივ არსებულ სხეულებს (პაერი, მიწა, ბალახი და ა. შ.) ართმეტეს სითბოს. როგორც ცუნძობილია, თითოეული გრამი ყინვის გასაღნობად საჭირო 80 კალორია სითბო.

ზუალი და ნიადაგი

გატეპნილ გზებზე ჩიაღავი გამკარიცვებულია და გა- დიალებული ქაპილარობა აქვს. შუალი შეაღწევს გზის ხედა ფენებს და სწრაფად ორთქლდება.

- ქოთხურა -

...1875 წელს კოლეგის დირექტორთან საუბარში ერთი ამერიკელი მღვდელი ამტკიცებდა, რომ მეცნიერებას ათარ შეუძლია წინ წაიდეს იმდენად, რამდენადც ყველაფერი, რაც აღმოსაჩენი იყო, აღმოჩენილიაო. დირექტორი არ დაეთანხმა მას.

— ორმოცდათი წლის შემდეგ, — თქვა მან, — ადმინისტრი იურენერ ისე, როგორც ჩიტები.

მღვდელი შეშტოთდა ასეთი გაბედული განცხადებით და მან გაგულისებით თქვა:

— ფრენა მხოლოდ ანგლოზებს შეუძლიათ, და ყველა, ვინც სხვანარად ფიქრობს, ღვთის მემობელია.

ეს მღვდელი იყო მიღ რაიტი. მას ჰყავდა ორი შვილი, ცნობილი ძმები ორველი და ვილბური, რომლებმაც კოლეჯში მომხდარი ზემოაღნიშნული პატრიოტიდან იცდათი წლის შემდეგ სახელი გაითქვეს თვითმფრინავშე თავიათი გაფრინით.



...ფრანგი მეცნიერი ბუდე იჯდა და მუშაობდა თავის კაბინეტში. უცხად მასთან შემოკრა ფრიად შეშფოთებული მსახური ყვირილით — „ხანდარი!“

— მათხენ ამის შესახებ ჩემს მეუღლეს, თქვენ ხომ იცით, რომ მე საოგაზო საქმეებში არ ვერვი... — მშვიდად უთხრა სწავლულმა მსახურს და ისევ თავის ქალალებს მიუბრუნდა.



...ალბერტ აინშტაინს ჰქოთხეს, რატომ ვერავინ შენაშა ის უდიდესი ენერგია, რომელიც, თუ მის მიერ გამოყვანილ ფორმულას დაუუკრებთ, იმალება თითოეული ნივთის თვით უმცირეს ნაწილაკშიც კი.

დიღმა ფიზიკოსმა მაშინევ უპასუხა. „ძალიან უბრალოდ, — თქვა მან, — ვიდრე ენერგია გარეთ არ გამოვლინდება, მას ვერ შევნიშნავთ. ასე: რომელიმე პირი შეიძლება ზღაპრულად მდიდარი იყოს, მაგრამ, თუ იგი არაფრის დახარჯავს, მისა სიმღირის ფაქტის დადგენა შეუძლებელი იქნება.“

გარეკანის 1-ლ და მე-4 გვ.: იხ. სტატია — „ატომის ბირთვების დაყოფა“; გარეკანის მე-2 გვ.: თბილისის ჩას გარამწონი ფარიკა. ჩას გადამწონი და შემუცუთავი სამეცნიერო ხელი; გარეკანის მე-3 გვ.: თბილის. საბჭოს ქუჩა რეკონსტრუქციის შემდეგ.

საქართველოს კოლეგია: პროფესორი პ. ბარამიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკუსი რ. დგალი, ტექნიკის მეცნიერებათა კანციდატი ა. გლიაშვილი, პროფესორი ვ. კაკაბაძე, არქიტექტორი გ. ლორთიშვილიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკუსი გ. მახალავაშვილი (რედაქტორი), ლიკურგისტი გ. მირიან გიგაშვილი, ინიანერი გ. ნიშან გიგა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კარგსპონდენტი ო. ლ. მინაშვილი (რედაქტორის მოადგილი), დოკორი ი. ხ. ხოლომაშვილი (რედაქტორის პასუხისმგებელი მდივანი).

მთატვრული რედაქტორი — კ. გურაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლეხელიძის ქ. № 22. ტელეფ. № 3-46-49

‘ Ежемесячный научно-популярный журнал «Мецнериба да техника» (на грузинском языке)

ქალალის ზომა 60×92, საბ. ფ., 1 ფურცელზე 73 000 სასტამბო ნიშანი.
ხელმოწერალია დასაბეჭდად 17.1.58 წ., ფ. 00812, შეკვ. № 2096, ტირაჟი 9500, ფასი 5 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, ა. წერელის ქ. № 3/5.

Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР ул. Ак. Церетели 3/5

ს ა რ ჩ ე ვ ი

გ. ჩანგაშვილი, ზ. ტინტილოზოვი — ჩევნი ქვეყნის მეცნამების უდიდესი რაიონი	1
პირველი ატომური ყინულმჭრელი	4
ა. ფოცხვილი — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი	5
პ. ისაკოვი — სიცოცხლის პრობლემები კოსმოსში	8
საანგარიშო მანქანები მტკ-ებში	11
გ. დონდუა — ფერადი ფოტოგრაფია	15
გ. მახალდიანი — ჩეხოსლოვაკური დიზელები	18
თ. გაჩეჩილაძე — ატომის ბირთვების დაყოფა	21
ნ. ტუღუში — მთის ბროლი	23
ა. ბასილაძე — კოსმოსის არენაზე	26
ვ. ჯაფარიძე — ფერადი ტელევიზია	30
საპარო ექსპრესი	33
უცხოეთის ტექნიკა	35
კ. ჩოლოყაშვილი — შერდული	37
საშენი ქვები მინისაგან	39
მეცნიერებისა და ტექნიკის კალენდარი	40
ა. ლეკიაშვილი — საყურადღებო გამოკვლევა	42
თავისუფალ დროს	44
პასუხი შეკითხვებზე	46
პასუხები. კოსმოსორდი	47



